

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სლავისტიკის დეპარტამენტი

ზეინაზ ახვლედიანი

**თანამედროვე ქართულ-თურქული
ლექსიკოგრაფია და თარგმნის პრობლემები**

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო

ხელძღვანელები:

პროფესორი მარინე არაშიძე

ასოც. პროფესორი ლილე თანდილავა

ბათუმი

2018 წ

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზეინაბ ახვლედიანი -----

(ხელმოწერა)

(თარიღი)

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I. ლექსიკოგრაფია და მისი როლი თანამედროვე საზოგადოებაში	
1.1 ლექსიკოგრაფიის არსი	9
1.2 ლექსიკონები წარმოშობიდან დღემდე	14
1.3. ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან	21
1.4. თურქული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან	26
თავი II. თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული ლექსიკონების ანალიზი	
2.1. ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფიის თანამედროვე მდგომარეობა	33
2.2. განმარტებითი ლექსიკონების ანალიზი	38
2.3.ორენოვანი ლექსიკონების სტრუქტურა და მათი ანალიზი	46
თავი III. ახალი ტიპის ლექსიკონების როლი თარგმანში	
3.1. სპეციალიზირებული ლექსიკონები მთარგმნელის სამსახურში.....	73
3.2. ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონების შემუშავების აუცილებლობა.....	86
დასკვნა	114
ბიბლიოგრაფია	118

შესავალი

თანამედროვე ეპოქა, როგორც მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, ლექსიკოგრაფიისადმი მეცნიერთა დიდი ინტერესითა და შესაბამისად, ლექსიკოგრაფიული საქმიანობის მკვეთრი აღმავლობით გამოირჩევა. დღეს, ლექსიკოგრაფიული სიახლეები არა მარტო თეორიული დახვეწით შემოიფარგლება, არამედ ეს არის ეპოქა ლექსიკოგრაფიული გამოცდილების პრაქტიკაში წარმატებით განხორციელებისა.

რამ განაპირობა ლექსიკოგრაფიის აღმავლობა? ამის ბევრი ფაქტორი არსებობს, მათგან ერთ-ერთი პირველია - თანამედროვე ლინგვისტური პარადიგმის ანთროპოცენტრული ხასიათის ჩამოყალიბება. ენათმეცნიერების განვითარებაში ეს პირველი თეორიული პარადიგმაა, როდესაც ადამიანი ექცევა ყურადღების ცენტრში.

21-ე საუკუნე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვან პერიოდად იქცა: დასრულდა საბჭოური იმპერიის ბატონობა, საქართველო დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგა და ამავდროულად ევროპისკენ აიღო გეზი. ამან ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი ქვეყნის ცხოვრება.

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების შედეგად, ენობრივი ლექსიკა ყოველდღიურ ცვლილებებს განიცდის, რასაც რასაკვირველია ენის ლექსიკოლოგიური ცვლილება მოჰყვება. ენისთვის, როგორც ცოცხალი ორგანიზმისთვის, არ არის დამახასიათებელი ფიქსირებული მდგომარეობა; სოციუმის მოღვაწეობა, კულტურა, სხვა ერებთან კომუნიკაცია, რასაკვირველია პირველ ანარეკლს ახალ-ახალი რეალიების სახით ენაში ჰპოვებს, რის გამოც, აუცილებელია ენის ლექსიკური მარაგის დროული და სისტემატიური აღწერა-დაფიქსირება, რომელიც ლინგვისტთა მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებასა და მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული დამწერლობა და ლექსიკოგრაფია უძველესი დროიდან იღებს სადავეს, მთელი რიგი ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების გამო დღევანდელი ქართული ლექსიკოგრაფიის სახე მსოფლიო ლექსიკოგრაფიული აქტივობის, თანამედროვე საინფორმაციო ბუმის, მეცნიერულ-ტექნიკური

რევოლუციისა და საზოგადოებაში არსებული კულტურული ურთიერთობების გაფართოების ფონზე მეტად ღარიბულად გამოიყურება.

ადამიანზე ორიენტირებულმა კომუნიკაციურმა ლინგვისტიკამ კომუნიკაციის ეფექტურობის გაზრდის საშუალებების ინტენსიური ძებნა დაიწყო. რა თქმა უნდა, ლექსიკოგრაფიული კვლევები, ახალი ტიპის ლექსიკონების შექმნა ემსახურებოდა ამ რთულ საქმეს. ეს პროცესი კიდევ უფრო რთული და აქტუალური გახდა საქართველოსთვის, ვინაიდან საბჭოური ბატონობის პერიოდში, „რკინის ფარდის“ გამო, ჩვენი ქვეყნის ურთიერთობები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ძირითადად რუსული ენისა და კულტურის მეშვეობით ვითარდებოდა, რაც რასაკვირველია რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული თარგმანისა და ლექსიკოგრაფიის განვითარების მიზეზი გახდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პარადიგმის შეცვლამ, საქართველო ახალი გამოწვევების, პირველ რიგში კი მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირების დამყარების აუცილებლობის წინაშე დააყენა.

ჩვენი განხილვის თემას ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფია წარმოადგენს, რომლის თანამედროვე სახე, არსებული კრიზისული მდგომარეობის გამო, ვფიქრობთ, ნამდვილად უნდა იპყრობდეს ლექსიკოგრაფთა ყურადღებას. დღეს, როცა საქართველოსთვის თურქეთთან პარტნიორული თანამშრომლობის საკითხი ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებასა და ეკონომიკური კავშირების გაზრდას ემსახურება, დამეთანხმებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია წარმატებული თარგმანი და შესაბამისად ლექსიკოგრაფიული განვითარება, რომლის საშუალებითაც დაპირისპირებული ენა და კულტურული ფასეულობები ხელმისაწვდომი და ადვილად აღსაქმელი ხდება საზოგადოებისათვის.

ერებს შორის კომუნიკაციის გააქტიურება, როგორც წესი, საგრძნობი ბიძგია ენათმეცნიერების ისეთი დარგების განვითარებისთვის, როგორცაა ენის სწავლება და ლექსიკოგრაფია. მართალია გაჩენილი მოთხოვნის საპასუხოდ მომრავლდა სახელმძღვანელოები, ლექსიკონები და სასაუბროები, მაგრამ, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ეტაპზე მინიმალურ დონეზე ხდება.

სამწუხაროდ, დღევანდელი ქართულ-თურქული ლექსიკონები უმეტესად ცნობარის სახეს ატარებენ და მხოლოდ ზედაპირული და მცირე საილუსტრაციო

მასალის მქონე ლექსიკით შემოიფარგლებიან. თურქული ენის მომხმარებელთა მზარდი ბაზრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კი, ეს ლექსიკონები საჭიროებენ სერიოზულ დახვეწას სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ლექსიკური მარაგის დაფიქსირება და სხვა ენობრივი კოლექტივისთვის მაქსიმალურად დეკოდირებული სახით მიწოდება, სიტყვის არა მარტო სემანტიკური მნიშვნელობების განმარტებას, არამედ სიტყვის გამოყენების მზა მაგალითების მკითხველზე დიდი რაოდენობით მიწოდებას ითვალისწინებს. ვინაიდან ერის ენა და კულტურა ერთმანეთთან და სოციუმის განვითარებასთან პირდაპირ კავშირშია, სიტყვის ლექსიკური ფონდის აღწერა სემანტიკურ-გრამატიკული მნიშვნელობების განმარტების გარდა, ენის კულტურულ ფონზე ფარდის ახდასაც უნდა ისახავდეს მიზნად. სწორედ ასეთი ტიპის უნივერსალური ლექსიკონების შექმნაა დღევანდელი ლექსიკოგრაფების მთავარი საზრუნავი, რადგანაც ენის შესწავლა და სრულყოფილი თარგმანის განხორციელება მხოლოდ მსგავსი ლექსიკონებითაა შესაძლებელი.

არსებული ჩამორჩენა რასაკვირველია ქართველი კარგი მთარგმნელების მწირ რაოდენობასაც განაპირობებს. თარგმანის, ანუ ერთ ენაში არსებული ტექსტის მეორე ენაში გადმოტანა და მისი ადაპტაცია ითხოვს როგორც მთარგმნელის კომპეტენციურ ცოდნას, ასევე ისეთი ლექსიკონების გამოყენებას, რომელთა ღირებულება სიტყვების არამარტო სემანტიკური მნიშვნელობით შემოიფარგლება, არამედ ფართოდ იქნება გაშლილი ამა თუ იმ სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობა; ქართულ-თურქული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით, იზრდება თემატურ-ტერმინოლოგიურ, სპეციალიზირებულ ლექსიკონებზე მოთხოვნა, რომლის არსებობაც ვიწრო პროფილის მქონე ტექსტის სრულყოფილი ადაპტაციის საშუალებას იძლევა. წარმატებული თარგმანის, მკითხველზე ადეკვატურ-ემოციური ზემოქმედების მოხდენის მიზნით, აუცილებელია ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონების შექმნა-განვითარება, რომლებიც შეგვიქმნიან წარმოდგენას ენის კონცეპტუალურ სამყაროზე, მის ეთნო-კულტურულ სივრცეზე და საშუალებას მოგვცემენ გავშიფროთ და სწორად გავიაზროთ ის სოციალური და ეთნოკულტურული სტერეოტიპები, რომელიც მოცემული ენის ენობრივ კოლექტივთანაა დაკავშირებული.

ზემოჩამოთვლილი ლექსიკოგრაფიული პრობლემები, ამ ტიპის ლექსიკონთა არარსებობა, დამეთანხმებით, უარყოფითად აისახება საქართველო-თურქეთის კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე. სწორედ ზემოხსენებული ფაქტორებიდან გამომდინარეობს ჩვენი ნაშრომის აქტუალურობა, რადგან კარგად განვითარებული ლექსიკოგრაფია, წარმატებული თარგმანისა და ორ ქვეყანას შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების წინაპირობაა.

ჩვენი ნაშრომის სიახლე შემდეგში მდგომარეობს: ჩვენ, არა მარტო თურქულ-ქართულ და ქართულ-თურქულ ლექსიკოგრაფიაში არსებული მდგომარეობის მიმოხილვას და ანალიზს ვაკეთებთ, არამედ ვიკვლევთ თურქულ და ქართულ ენებში არსებულ ლინგვოკულტურულ ერთეულებს, რათა თარგმანმცოდნეობის წარმატებული განვითარებისთვის, ლინგვოკულტუროლოგიული ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა დავასაბუთოთ.

ამ მიზნის მისაღწევად, კვლევის პროცესში დასახული გვქონდა შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- 1) ლექსიკოგრაფიის ისტორიის მიმოხილვა თარგმანმცოდნეობის ჭრილში;
- 2) არსებული ლექსიკონების კრიტიკული ანალიზი თურქული და ქართული ენების მასალაზე;
- 3) თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფიის თანამედროვე პერიოდის ტენდენციების შესწავლა;
- 4) ქართული და თურქული კულტურული რეალიების აღქმის პრობლემების დახასიათება ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე;
- 5) ქართულ-თურქული ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონის მასალების დაგროვება და რეკომენდაციების შემუშავება.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს მთელი რიგი ცნებების დაზუსტებასა და დახვეწაში (კულტურული სივრცე, რეალიები, კონოტაციური მნიშვნელობა, ახალი ტიპის მონოლინგვალური ლექსიკონები და სხვ.). განხილულია ნაკლებად შესწავლილი ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკოგრაფიის პრობლემები თარგმანმცოდნეობის ჭრილში.

პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა უდავოა, ვინაიდან ნაშრომში გაანალიზებული მასალა და დასკვნები წარმოადგენენ ინტერესს ლინგვისტიკისთვის, მთარგნელებისთვის, ლექსიკოგრაფებისთვის და მათი გამოყენება შეიძლება მთელი რიგი დისციპლინების პრაქტიკულ მეცადინეობებზე (ლექსიკოლოგია, სოციოლინგვისტიკა, ზოგადი თარგმანის თეორია, ლინგვოკულტუროლოგია, ტექსტის ლინგვისტიკა, კულტურათაშორისი კომუნიკაცია და სხვ).

ჩვენი კვლევის **მეთოდოლოგიურ საფუძველს** წარმოადგენს კომპლექსური მეთოდიკა, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურობას და მიღებული დასკვნების სანდოობას, კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები და ხერხები: ლინგვისტიკური აღწერის მეთოდი, შედარებით-ტიპოლოგიური კვლევის მეთოდის ძირითადი ხერხები, ინტერპრეტაციისა და განზოგადების მეთოდი, ანალოგიების მეთოდი, ენათშორისი ეკვივალენტობის დადგენის მეთოდი და გერმენეტიკის ძირითადი მეთოდი - განმარტებითი ანალიზი.

კვლევის მიზანმა და ამოცანებმა განაპირობა მისი შემდეგნაირი სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან (ნაშრომს თან ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონის პრაქტიკული მასალა და რეკომენდაციები).

თავი I ლექსიკოგრაფია და მისი როლი თანამედროვე

საზოგადოებაში

1.1. ლექსიკოგრაფიის არსი

თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის, საინფორმაციო ბუმისა თუ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, მთარგმნელობითი საქმიანობა და კერძოდ მთარგმნელობითი ლექსიკოგრაფია, წარმოადგენს საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზრუნავს, რადგანაც კარგად განვითარებული ლექსიკოგრაფია ქვეყანათა შორის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე კავშირების გაღრმავების მიზნით, მაღალკვალიფიციური მთარგმნელობითი კადრების მომზადების წინაპირობაა.

მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისს „ლექსიკონების ეპოქას“, „ლექსიკოგრაფიულ ბუმს“, ხან კიდევ „ლექსიკოგრაფიის ოქროს ხანას“ უწოდებენ (Фесенко, 2013:1).

პირველ რიგში, უნდა ავლნიშნოთ, რომ ლექსიკონები - ერის კულტურის, ეთნოსის რელიგიური, პოლიტიკური, ფილოსოფიური, მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების, საზოგადოებაში წარმოქმნილი ურთიერთობის პროდუქტია. იგი ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც ადამიანი თარგმნის, ამ ურთულესი და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე პროცესის დროს დახმარებისთვის მიმართავს. თარგმანი კი ენობრივი გაუგებრობის გაქარწყლების, ანუ სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობის გაგებინების გარდა, კულტურული ბარიერის გადალახვის, სიტყვის მიღმა არსებული უზარმაზარი ფონური სამყაროს შეცნობის ერთადერთი საშუალებაა, რომლის რეალიზაციასაც ადამიანი ხშირ შემთხვევაში ლექსიკონების საშუალებით ახორციელებს.

ამა თუ იმ ქვეყანაში ლექსიკოგრაფიული განვითარების დონე, ერის კულტურის, საზოგადოებრივი მიღწევების, ამა თუ იმ დროის მონაკვეთში ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური განვითარების განმსაზღვრელად გვევლინება.

საერთოდ ლექსიკონი იქმნება ახალი ადრესატის, ახალი მოთხოვნების შესაბამისად, რადგანაც მოვლენები, რომელიც ხდება საზოგადოებაში, აისახება ენაში ლექსიკური კორექციის, სინტაქსისა და სიტყვათა ფორმირებების ელემენტების სახით. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ლექსიკოგრაფიული შემოქმედება ყოველთვის შედარებით ახალია.

უთვალავი წელია რაც ლექსიკონები იწერება და შესაბამისად უთვალავჯერ მოხდა მისი სტილისა და ფორმის შეცვლა. ლექსიკონის შექმნა მუხლჩაუხრელ შრომასა და სისტემატურ კვლევებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, მისი შექმნა სხვა ტიპის წიგნების შექმნაზე ბევრად უფრო რთულია, რადგან, ლექსიკონი წარმოადგენს არა მარტო ამა თუ იმ ენაში არსებულ ლექსიკურ მარაგს, არამედ ის დეტალურად უნდა გადმოგვცემდეს თითოეული სიტყვის წარმოშობის ისტორიასა და მათი გამოყენების უზარმაზარ სპექტრს. სრულყოფილი ლექსიკონი სოციუმში არსებულ ყველა სფეროს, მათ შორის: ლიტერატურას, რელიგიას, ისტორიას, კანონს და ა.შ. სფეროებს უნდა ემსახურებოდეს. ლექსიკონური ფორმა უნდა წარმოადგენდეს ენციკლოპედიას, რომლის ძირითად პრინციპს როგორც ენობრივ ელემენტთა თავისებურება, ასევე სიტყვის მიღმა არსებული კონცეპტუალური სამყაროს გათვალისწინება წარმოადგენს.

ლექსიკოგრაფიული მეცნიერების ძირითად სახასიათო პრინციპებს ლექსიკონთა მოთხოვნა-მიწოდების ბალანსზე თვალყურის დევნება წარმოადგენს. ამ ბალანსის უზრუნველსაყოფად, კომპეტენტურმა პირებმა ლექსიკონების საერთო თავისებურებების გამოაშკარავება, მომზადებული გეგმების განხორციელება და შესაბამისი პროდუქციის პირდაპირ მომხმარებელზე მიწოდების ყველა საფეხური წარმატებით უნდა განახორციელონ (Baskin, 2014:2).

ნებისმიერი ლექსიკონი, მიუხედავად ავტორისეული ინდივიდუალიზმისა თუ ქვეყნის განვითარების ამა თუ იმ საფეხურის შესაბამისი ენობრივი ცვლილებებისა, განსაზღვრული ლექსიკონური მასალის აღწერისას, არსებული ლექსიკოგრაფიული ტრადიციების საფუძველზე იქმნება. ამის გარდა, არცთუ ისე იშვიათად, ლექსიკონი, რომელიც მრავალი მიზეზის გამო ვერ აკმაყოფილებს შემდგენელის თავდაპირველ ჩანაფიქრს, შემდგომში სხვა ლექსიკონის შედგენისას საჭირო მასალას (წყაროს) წარმოადგენს.

რაც შეეხება ლექსიკოგრაფიული ნაშრომების სახასიათო პრინციპების განსაზღვრას, წარსულიდან დღემდე საორჭოფოა მისი როგორც ხელოვნებისა თუ მეცნიერების შტრიხებში განხილვა. წარსულში დაწერილი ლექსიკონური ნაშრომები (განსაკუთრებით ლიტერატურული ლექსიკონები) მხატვრული ღირებულებიდან გამომდინარე ხელოვნების ნიმუშად აღიქმებოდა, ხოლო დღეს კი, როცა ლექსიკონები, მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად, ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ-გრამატიკული მხარის მაქსიმალურ სიზუსტეს ითვალისწინებს, ლექსიკოგრაფიის ხასიათი უფრო ხშირად მეცნიერულ შტრიხებში გვევლინება (Boz, 2011:12).

ზოგ კვლევაში ლექსიკოგრაფია აკადემიური შრომების დამოუკიდებელი მეცნიერების დარგად მიიჩნევა. თარპის მიხედვით, ლექსიკოგრაფია, სოციალური გამოყენების სფეროს წარმოადგენს და ამავედროულად ლინგვისტიკისა და ლიტერატურული შრომების მსგავსად დამოუკიდებელ მეცნიერებად გვევლინება: ლექსიკოგრაფია, ლექსიკონების მეცნიერებაა. თარპი ამას გარდა, ლექსიკოგრაფიის მცნებას შემდეგნაირად განმარტავს: „ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში არსებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს“ და ამ განმარტების შემდეგ მის სამუშაო არეალს შემდეგნაირად განმარტავს:

1. ლექსიკოგრაფია: ლექსიკონებსა და სოციალურ მოთხოვნებს შორის კავშირს, ლექსიკონების გამოყენებას, სტრუქტურას და საბოლოოდ სააშკარაოზე გამოტანილ პროდუქციას შეიცავს;
2. ლექსიკოგრაფია, მისი სფერო, კატეგორიები, თეორიებისა და ჰიპოტეზების საფუძველზეა გამყარებული;
3. ლექსიკოგრაფია ლექსიკონთა ისტორიასა და თან ახალ-ახალ თეორიულ ხედვებს მოიცავს;
4. ლექსიკოგრაფიასა და მის სფეროში წარმოშობილ იდეებს, გამოყენების მეთოდების შემუშავებაში დამოუკიდებელი წვლილი შეაქვთ.

5. ლექსიკოგრაფია ლექსიკონების პრაქტიკაში წარმატებით გამოყენებისთვის საჭირო განმარტებებსა და მცნებებს მოიცავს (Boz, 2011:11).

ლექსიკოგრაფიის ყველაზე გავრცელებული განსაზღვრება, ორი ძირითადი სამუშაო სფეროს აღწერით ხასიათდება. „ლექსიკონებსა და მასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაო სფეროში მიმდინარე აკადემიური და პროფესიონალური კვლევები“ - ამგვარად ახასიათებს ჰატმან გრეგორი ლექსიკოგრაფიას და ზემოხსენებულ ორ ძირითად სამუშაო სფეროს შემდეგნაირად განმარტავს: ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა, ან ლექსიკონის სტრუქტურა და ლექსიკოგრაფიული თეორია და ლექსიკონის კვლევა. რის შემდეგაც „პირველს - წიგნის კომერციულ გამოცემას და მეორეს - ენათმეცნიერულ და ენათმეცნიერებასთან ახლოს მყოფ მეცნიერულ შრომებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ჰატმან-გრეგორი, ლექსიკოგრაფიის ზემოხსენებულ ორ ძირითად სფეროს შემდეგნაირად ახარისხებს:

1. ლექსიკონების კვლევა

1.1. ისტორია

1.2. ტიპოლოგია (ლექსიკონის ტიპები, დახასიათება და განმასხვავებელი მეთოდები)

1.3. კრიტიკული შეფასება

1.4. გამოყენება

2. ლექსიკონის სტრუქტურა (გამოყენება)

2.1. ამ სფეროში შესრულებული სამუშაო

2.2. დახასიათება, განსაზღვრება

2.3. წარდგენა

(Boz, 2011:10)

მიუხედავად ზოგიერთი წყაროებში ლექსიკოგრაფიის ლექსიკოლოგიის ტერმინთან ერთად მოხსენიებისა, ამ ორი ტერმინის დახასიათება მაინც ცალ-ცალკე განსაზღვრებით კეთდება. კრისტალის განსაზღვრებით: ლექსიკოლოგია „ლექსიკონების ლექსიკურ მარაგთან დაკავშირებულ სამუშაოთა შესახებ, სემანტიკაში გამოყენებული ტერმინია“, ხოლო ლექსიკოგრაფია „ლექსიკონთა ავტორების მხრიდან განხორციელებული ლექსიკონის შექმნის მეცნიერება და ხელოვნება“. ამ განსაზღვრებით იგი მათ შორის არსებულ განსხვავებაზე აკეთებს

ფოკუსირებას, რის საფუძველზეც მიიჩნევს, რომ „ლექსიკოგრაფია პრაქტიკული ლექსიკოლოგიის დარგად წარმოჩნდება“ (Crystal, 2003:267) (Boz, 2011:10).

ლექსიკონების კვლევა, ლექსიკონების შექმნამდე შესრულებული ყველა მოსამზადებელი სამუშაოს, ლექსიკონების გამოცემა-გამოყენებისა და ლექსიკონებზე განხორციელებული კრიტიკა-შეფასების ყველა პროცესს მოიცავს.

ამ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში (განსაკუთრებით ევროპაში) 4 ძირითადი მიმართულება იკვეთება. ჰ. იაშარ იუქსექქაიამ, ჰ. ე. ვიგანდმა (Wiegand) 1998 წელს გამოქვეყნებულ წიგნში კვლევის ეს მიმართულებები შემდეგნაირად განსაზღვრეს:

- ა. ლექსიკონების გამოყენებასთან დაკავშირებული კვლევები;
- ბ. ლექსიკონის შეფასება-კრიტიკასთან დაკავშირებული კვლევები;
- გ. ლექსიკოგრაფიის ისტორიის შესახებ კვლევები;
- დ. ლექსიკოგრაფიის თეორიასთან დაკავშირებული კვლევები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკასა და ევროპაში ლექსიკოგრაფიული საქმიანობა მნიშვნელოვნად განვითარდა და სხვადასხვა თეორიების შემუშავების საფუძველზე, სამეცნიერო-კვლევითმა ექსპერიმენტულმა საქმიანობამ უწყვეტი სახე მიიღო (Usta, 2010:8).

მიზნები:

ლექსიკოგრაფიული მიზნების ძირითადი პუნქტები შემდეგნაირად განლაგდება:

1. ლექსიკური მარაგის ლექსიკონში ასახვა-განმარტების მთავარი პრინციპისა და მეთოდების მეცნიერული დამუშავება და ენაში სიტყვების სხვადასხვაგვარი გამოხატვის ფორმების სააშკარაოზე გამოტანა;
2. ლექსიკონების ტიპოლოგიის განსაზღვრაც ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ წამყვან მიზანს წარმოადგენს. პრაქტიკული ლექსიკოგრაფიის

თანამედროვე ორიენტაცია (კომპიუტერიზაცია, გამოყენების მეცნიერული მეთოდები, ლექსიკონების საერთო მიზნები და ა.შ.) ლექსიკონური ტიპების განვითარებას უწყობს ხელს, რომლის განსაზღვრაც ლექსიკონური პრინციპების გამოვლენის ძირითადი საშუალებაა.

3. ლექსიკოგრაფიული თეორია ლექსიკონების შექმნის კვალდაკვალ, თეორიული დისციპლინის სახით ვითარდება. ამ დისციპლინის განსაკუთრებით სამ მიმართულებაში შეინიშნება წინსვლა: სწავლა-სწავლების მიზანი, მრავალენოვნობა და სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულება (Usta, 2010:6).

1.2. ლექსიკონები წარმოშობიდან დღემდე

პირველი ლექსიკონი სად და რა მიზნით შეიქმნა, უცნობია. აღმოჩენილია ბაბილონელების მიერ შუმერების ენის გასაშიფრად, თიხის ფირფიტებზე დაწერილი, სინონიმური ლექსიკონის ფორმით მოცემულ სიტყვათა ჩამონათვალი.

ეს ნაწერები ამავედროულად იყო წინაპირობა ორენოვანი ლექსიკონების შექმნისა. 1990 წლამდე, ამ ფირფიტებზე მოცემული სიტყვათა განმარტებები პირველ ლექსიკონებად ითვლებოდა. მხოლოდ 1990 წლის შემდეგ შექმნილ ნაშრომებში გაჩნდა ვარაუდი ორენოვანი ლექსიკონების დაბადებამდე, საკმაოდ დიდი ხნით ადრე, საკუთარი ენის გაგებისა და დაცვის მიზნით ერთენოვანი ლექსიკონების არსებობის შესახებ. ამ ვარაუდის საფუძველზე, პირველ ლექსიკონად არა ორენოვანი, არამედ ერთენოვანი ლექსიკონები იქნა მიჩნეული. როგორც აღმოჩნდა, ლექსიკონების ისტორია ძველი ეგვიპტის პერიოდს უკავშირდება (Baskin, 2014:2).

საერთოდ ლექსიკოგრაფიული ნაშრომები პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და ერის ისტორიულ განვითარებასთან. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ამ მძიმე სამუშაოზე შეჭიდების, ახალი ტიპის ნაწარმოებებზე მუშაობის საჭიროება უკავშირდება ადამიანის თავდაცვით ინსტიქტებს. ანუ დასაბამიდან, პირველი ლექსიკონების წარმოშობა უკავშირდება ერთა შორის საომარი მოქმედებების არსებობას.

როგორც აღვნიშნეთ, მტრის საომარი გეგმების გამოაშკარავების ერთადერთ საშუალებად დაპირისპირებულ ერთა ლექსიკური მარაგის სემანტიკური გაშიფრვა წარმოადგენდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ლექსიკონური ტიპის ნაშრომთა დაბადებას. სწორედ ეს იყო მიზეზი მრავალენოვანი ლექსიკონების შექმნისთვის უპირატესობის მინიჭებისა.

4-5 ენის ლექსიკური მარაგის ერთ წიგნად გამოცემას შემდეგი პრივილეგიები გააჩნდა: გარდა იმისა, რომ იგი მომხმარებლისთვის მეტად პრაქტიკულ ცნობარს წარმოადგენდა, დღევანდელი გადმოსახედიდან, მის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას მონათესავე ენებს შორის საერთო ნათესაური კავშირის დადგენა და სემანტიკურ-გრამატიკული დამთხვევების მოძიებაც წარმოადგენს. თუმცა რაც არ უნდა ერთი წარმოშობა ჰქონდეს ენებს, სიახლოვე აბსოლუტურად გამორიცხავს ერთნაირობას. რაც არ უნდა ახლოს იყოს ენები ერთმანეთთან, მაინც საჭიროა ცალ-ცალკე მათი ენობრივი ელემენტების შესწავლა. ზემოხსენებული ტიპის ლექსიკონებში სწორედ ეს პრობლემა იჩენდა თავს. ლექსიკური ერთეულების დაპირისპირებულ ენაში ზუსტი შესატყვისების არქონამ და შესაბამისად არაადეკვატურმა თარგმანმა, ლექსიკონთა შემქმნელები საბოლოოდ დაარწმუნა ამგვარი ტიპის ლექსიკონების გამოუყენებლობის პრობლემაში. ლექსიკონური გამოცდილების დაგროვებისა და მომხმარებელთა მოთხოვნის საფუძველზე, აქცენტი გამახვილდა არა ენობრივ რაოდენობებზე, არამედ გრამატიკული, სემანტიკური და სხვა ინფორმაციების სიზუსტის დაცვაზე. სისტემატიურად დაიწყო როგორც ორენოვანი, ასევე განმარტებითი ერთენოვანი ლექსიკონების გამოშვება, რამაც უკვე უზრუნველყო მომხმარებლების მოთხოვნათა შესაბამისად, ლექსიკონებში ცვლილებების აქტუალური პროცესის უწყვეტობა.

მოვლენათა განვითარების ისტორიულ თანმიმდევრობასთან, ანუ დიაქრონულ პროცესებთან ერთად, ლექსიკონებში შეტანილი იქნა ლექსიკური ცვლილებები, ფიქსირდება არსებულ ლექსიკურ ერთეულთა ახალი მნიშვნელობები, ხოლო ძველი კი ამა თუ იმ მიზეზის გამო „ცვივა, როგორც გამხმარი ფოთლები ცოცხალი ენობრივი ხიდან“ (Липовска, 2009:27).

ერთ-ერთ პირველ ლექსიკონურ ნაშრომს თუ ლექსიკონის შექმნის მცდელობას, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3 ათასი წლის ბოლოს, შუმერული ენის

შესასწავლად, აქადების მხრიდან შექმნილი სამენოვანი შუმერულ-აქადურ-ქეთ-ის თიხის ფირფიტები წარმოადგენს. ქრისტეშობამდე VI საუკუნეში, ინდოეთში დაწერილ წმინდა სარიტუალო ტექსტებში და ქრისტეშობამდე V საუკუნეში ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“ - ში გვხვდება „გაუგებარი“ სიტყვების ამხსნელი *glossar*, ქრისტეშობამდე, 1750 წელს ეგვიპტეში სიტყვათა ჩამონათვალი *vocable-ები*, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1 საუკუნეს ეკუთვის ლათინური ენის ყველაზე ძველი მაგალითებით, ვერიუსფლავუს'ტუნ-ის 10 ტომიანი *“De Verborum Significaty”* („სიტყვათა მნიშვნელობები“), ქრისტეშობამდე III საუკუნეში ჩინეთში და ქრისტეშობის შემდეგ VIII საუკუნეში იაპონიაში შექმნილი განმარტებითი იეროგლიფური ლექსიკონი (Cumakunova, 2011:15).

ლექსიკური ფონდის აღწერამ დღევანდელი სახე დაახლოებით XVII საუკუნის ბოლოდან მიიღო.

მე-18 საუკუნის ბოლოს, გამოჩნდა მასალები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ლექსიკონის სახე, მაგრამ წარმოადგენდნენ წინა სალექსიკონო სამუშაოებს. ეს იყო ეტაპი ლექსიკონური გამოცდილების დაგროვებისა, ანუ მცდელობა პირველი ლექსიკონის შექმნისა.

წინა პლანზე წარმოჩნდა ბეჭდური ჯიბის ფორმატის ორენოვანი ლექსიკონი, რომელიც, გამომდინარე პოლიტიკური ვითარებისა, ძირითადად სამხედრო ხასიათის მასალებსა და ინსტრუქციებს შეიცავდა. ასეთი ტიპის წიგნებში ხშირ შემთხვევაში მოთავსებული იყო ასევე ლექსიკონი, სასაუბრო და მოცემული ენის მოკლე გრამატიკა. ამ ტიპის ლექსიკონებს მიეკუთვნება 1877 წელს გამოცემული „სამხედრო სასაუბრო რუსული ენიდან თურქულზე, ბულგარულზე და რუმინულზე - შექმნილი რუსული არმიის სამხედრო-სამეცნიერო კომიტეტის მთავარი შტაბის მიერ. რუსულ-თურქულ, ბულგარულ და რუმინულ სამხედრო სასაუბროში შედის: ოთხენოვანი ლექსიკონი, ოთხენოვანი სასაუბრო, თურქული, ბულგარული და რუმინული ენის მოკლე გრამატიკა, საზომი, წონისა და მონეტების სისტემა და ასევე მუსლიმანური კალენდარი. წიგნის ლექსიკონური ნაწილი ხდება სწორედ ლექსიკოგრაფების ყურადღების ობიექტი. ის მოიცავს დაახლოებით ჯიბის ფორმატის წიგნის 180 გვერდს და განკუთვნილია რუსულენოვანი მკითხველისთვის,

წინასიტყვაობა, შენიშვნები და დაზუსტებები მოცემულია რუსულ ენაზე (Липовска, 2009:17).

წინასიტყვაობაში წერია, რათა გაიოლდეს მოძებნა ერთი სფეროში არსებული სიტყვების, ამიტომ, სიტყვები განლაგებულია არა ანბანის მიხედვით, არამედ, სფეროსა და დაჯგუფებების მიხედვით. ლექსიკონში არსებული ლექსიკა ითვლის დაახლოებით 3500 ლექსიკურ ერთეულს, რომელიც განლაგებულია 55 რუბრიკის მიხედვით (მაგალითად: თემატიკა „ომი“). ეს განყოფილებები ერთმანეთისაგან განსხვავდება ხასიათის მიხედვით: ერთ-ერთი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც „ლექსიკურ-გრამატიკული“, ხოლო სხვები - როგორც „ლექსიკურ-სემანტიკური“. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი სიტყვათა ჯგუფები და მისი შესატყვისები მიმღებ ენაზე, როგორცაა: ანგარიში, ფრაქციული, რიგობითი; ნაცვალსახელი, კავშირი, ზმნიზება (ქვეჯგუფებით: დროის, ადგილის ზმნიზება და ა.შ.), შორისდებული, არსებითი სახელები, ზმნები და ა. შ. სხვა რუბრიკის განყოფილებაში შედის ისეთი სიტყვები, როგორცაა: კვირის დღეები, დრო, წელიწადის დროები და თვეები, სახელმწიფოები, ქალაქები, ზღვები და მდინარეები, ხალხები, ტოპოგრაფიული და გეოგრაფიული დასახელებები (ქვეჯგუფებით: ხმელეთი: მთები, ტყეები, გზები; წყლები და ზღვები; მადანი ა. შ. (Липовска, 2009:18).

ლექსიკის შემადგენლობა განისაზღვრებოდა „საომარი სასაუბროს“ დავალებების მიხედვით: მაგ: (რუსულ-თურქული ომის დროს 1877-1878 წწ). სწორედ ამ დავალებებთანაა დაკავშირებული ლექსიკონის საერთო თემა და ასევე ლექსიკონის საერთო-ზოგადი თემის ჩარჩოებში თემატური ჯგუფების გამოყოფა (ლიპოვსკა, 2009:18).

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო გრამატიკული ლექსიკონების გამოცემა, რომელშიც არის სტატიები, მიძღვნილი ლინგვისტურ ტერმინებსა და მკითხველისთვის მის გაგებინებაზე. ასეთი ტიპის ნაშრომები ლინგვისტურ ენციკლოპედიას წარმოადგენს და ემსახურება ენის გრამატიკულ აღწერა-გაგებინებას: ლექსიკონში არის ამგვარი სახის 30 სტატია: მომავალი დრო, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვები, დამატებები, ზმნის განუსაზღვრელი ფორმა, ბრძანებითი კილო, უღლებები, ზეთსართავი და რიცხვითი სახელები და ა. შ. (ლიპოვსკა 2009:28).

ბოლო წლებში განვითარებული ტექნოლოგიური შესაძლებლობები, ლექსიკონურ თეორიებთან, მეთოდებსა და პროდუქციასთან დაკავშირებით, ძალიან დიდი ცვლილებების მიზეზი გახდა. შესრულებული სამუშაოების კოორდინირებისა და ლექსიკოგრაფიაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, საერთაშორისო საზოგადოებები მსოფლიოს მასშტაბით არსებულ ლექსიკოგრაფიულ განვითარებას თვალყურს ადევნებენ. მაგალითად: America (DSNA), African Association for Lexicography (Afrilex), Asian Association for Lexicography (Asialex), Australasian Association for Lexicography (Australalex), ასეთი საერთაშორისო საზოგადოებები მსოფლიოს ლექსიკოგრაფიული მეცნიერების წინსვლისთვის ძალისხმევას არ იშურებენ (Baskin, 2014:2).

თანამედროვე ლექსიკოგრაფია. როგორც ო. ფასენკო აღნიშნავს, ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის განვითარება ოთხი ძირითადი მიმართულებით განისაზღვრება: **პირველი:** ესაა ყველაზე აქტიურად გამოყენებადი ტერმინოლოგიური, სასწავლო ლექსიკონები (სკოლის მოსწავლეების, სტუდენტების და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისთვის), ორენოვანი ლექსიკონები (უცხო ენის შემსწავლელთათვის) და ა.შ. **მეორე მიმართულება** ლექსიკოგრაფთა მოღვაწეობისა - ახალი ტიპის ლექსიკონების შემუშავებაა, რომელიც გამოხატავს ენობრივი სისტემის არა სტატიკას, არამედ დინამიკას. ცვლილებები, რომელიც ხდება ენაში, ეხება მისი განვითარების დონეს და რასაკვირველია გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით. ამიტომ, ყოველი ახალი ლექსიკონი, რომელიც ასახავს ენობრივ ცვლილებებს - განსაზღვრული ფორმით სისტემატიზირებული მონაკვეთია ენობრივი და მეტყველებითი რეალობისა. უპირველეს ყოვლისა, ენა იცვლება ისტორიულ ასპექტში. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში ლექსიკოგრაფიული გამოცემა (ისტორიული ლექსიკონები) დაკავშირებულია მოცემული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპებთან (Фесенко, 2013:2).

მესამე მიმართულება თანამედროვე ლექსიკოგრაფიისა, ესაა კომპლექსური ლექსიკონების მეცნიერებასთან კვეთაში შექმნა. უპირველეს ყოვლისა, ესაა ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონები, რომელიც ასახავს მოცემული ენის კონცეპტუალურ სფეროს, ლექსიკონები, რომლებიც მიმართულია „ენობრივი სურათის რეკონსტრუქციასთან“, ლინგვოკოგნიტური ლექსიკონები. ასეთი მიდგომით მკვეთრად იცვლება ენობრივი მასალის განლაგება ლექსიკონებში.

ეს ლექსიკოგრაფიის ის სფეროა, რომელიც ითხოვს ცალკეულ და განსაკუთრებულ დამუშავებას და ისეთი მკითხველის აღზრდას, რომელიც შეძლებს პროდუქტიულად გამოიყენოს ახალი ღირებული მასალა სხვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის.

ჩვენი გადმოსახედიდან ყველაზე რთული და ამავდროულად პროდუქტიული არის **მეოთხე მიმართულება** თანამედროვე ლექსიკოგრაფიისა - კომპიუტერული ლექსიკონის შექმნა. ზუსტად ეს ლექსიკოგრაფიული ფორმა საშუალებას მოგვცემს უახლოეს მომავალში გავაერთიანოთ კვლევების შედეგები, რომლებიც მიმართულია ზემოჩამოთვლილი ლექსიკონების შესაქმნელად (Фесенко, 2013:5-6).

თანამედროვე ლინგვისტურ მეცნიერებას გააჩნია ნაშრომები, რომლებიც გვიდასტურებენ, რომ ლექსიკოგრაფები ცდილობენ ლექსიკონში ენობრივი ერთეულების ანტროპოცენტრული აღწერის ძირითადი დებულებების შემუშავებას:

- 1) დასაწყისში - ადამიანი და მისი ენობრივი ცნობიერება;
- 2) ანტროპოცენტრული ლექსიკონი - ეს არის ლექსიკონი ადამიანისთვის, რომელმაც იცის ენა და იყენებს მას;
- 3) ანტროპოცენტრული ლექსიკონის მიზანი - დაეხმაროს ადამიანს ენის ფორმირებასა და მის ეფექტურად გამოყენებაში;
- 4) ლექსიკონის ორიენტაცია, მომხმარებლის მიერ ლექსიკონისადმი წინასწარ შემუშავებული ურთიერთობის მოტივების შესახებ;
- 5) ზუსტი ადრესაციის ლექსიკონები განსაზღვრული ენობრივი გამოვლინებების აღსაქმელად.
- 6) ლექსიკონში აღწერის ობიექტი - ლინგვოცენტრული და ანტროპოცენტრული ერთეულები.

ამის გარდა, მკვლევარები თვლიან, რომ ანტროპოცენტრული ლექსიკონები უნდა ემსახურებოდნენ მკითხველის არა მარტო ინფორმირებასა და სწავლებას, არამედ, უნდა განავითარონ ადამიანის ენობრივი ფიგურა „ლექსიკოგრაფიული საშუალებებით“. ამ ფორმით, ანტროპოცენტრული ლექსიკონი სასწავლო ლექსიკონთან მჭიდრო კავშირში გვევლინება (Фесенко, 2013:4-5).

კომპიუტერული ლექსიკოგრაფია. მსოფლიოში დღევანდლამდე ათასობით პროგრამა შეიქმნა და დღემდე მიმდინარეობს შექმნის პროცესი. განსაკუთრებით

დიდია ლექსიკონების და ტექსტების ელექტრონულ სისტემაში გადაყვანის მოთხოვნილება, რომელიც ადამიანისთვის, ისეთი მძიმე და შრომატევადი სამუშაოს განხორციელებისას, როგორცაა თარგმანი, უზარმაზარი შეღავათია. დღეს, როცა 21-ე საუკუნე კომპიუტერული ტექნოლოგიების ინოვაციებითა და სწრაფი საფეხურეობრივი განვითარებით ხასიათდება, სერიოზული მუშაობა მიდის ონლაინ ლექსიკონის საჭიროებისამებრ გამოყენების უზრუნველსაყოფად. ონლაინ ლექსიკონი არის კომპიუტერული პროგრამა, თანამედროვე მოთხოვნილებებს მორგებული ვებ-აპლიკაცია, რომელიც განთავსებულია ინტერნეტში და თარგმნითი შრომის სწრაფად განხორციელებისა და დაპირისპირებულ ენაზე შესატყვისების ადვილად მოძიების ბრწყინვალე საშუალებას იძლევა.

მიუხედავად დღევანდელი ტექნოლოგიური განვითარებისა და ონლაინ ლექსიკონზე მეცნიერთა ჯგუფების მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად ტექნოლოგიური თეორიების შემუშავება-მორგებისა, დღემდე აღმოუფხვრელი რჩება რიგი ხარვეზები, რომელიც სრულფასოვანი კომპიუტერული თარგმანის ხელისშემშლელ პირობად რჩება.

მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში გადაყვანა რასაკვირველია მნიშვნელოვანია, თუმცა მთავარი ამ მონაცემთა სტრუქტურის დეტალური დამუშავებაა. მაგალითად: ელექტრონულ ლექსიკონში მონაცემთა გადატანისას სიტყვათა ფორმაცვალების (არსებითი სახლი, ზედსართავი, ნაცვალსახელი და ა. შ) თავისებურებანი (მხოლოდ უცხო ენიდან შემოსული სიტყვა შეიძლება გამოირიცხოს), სინონიმური და ანტონიმური ანალიზი, მართლწერა, სიტყვის წარმოშობა, გამოყენების სპექტრი, ზმნების უღლებები და ა.შ. ყველა ენობრივი თავისებურება ცალ-ცალკე უნდა დამუშავდეს. ეს ყველაფერი მხოლოდ სიტყვისა და განმარტებისთვის გამოყოფილი ორი გრაფით არ უნდა შემოიფარგლოს, ყველა ენობრივი თავისებურებისა და ფორმაცვალებისათვის მონაცემთა ბაზაში ცალკე გრაფა უნდა შეიქმნას და სისტემას უნდა გაეცნოს, რადგან კომპიუტერს მხოლოდ მიცემული კრიტერიუმების მიხედვით შეუძლია ანალიზის გაკეთება და დასკვნის გამოტანა (Sarigül, 2011:42).

სასურველი ფინანსის მისაღწევად მეცნიერებს უამრავ წვრილმანზე უხდებათ მუშაობა: როგორ უნდა ამოიციოს კომპიუტერმა პოლისემანტური სიტყვის

კონტექსტური მნიშვნელობა, როგორ განსაზღვროს თუ გაითვალისწინოს ზმნის უღლებები, ხმოვნების ამოვარდნა, თანხმოვნების შეცვლა და ა. შ. როგორ უნდა მოხდეს არა სიტყვის, არამედ მთლიანი წინადადების თარგმნის განხორციელება. ამ პრობლემის აღმოფხვრას, კომპიუტერული ენათმეცნიერების განვითარებისკენ სავალ მეტად რთულ და ჯერ კიდევ არარეალურად დასახულ გზას, კომპეტენტური პირების მიერ ენობრივი, განსაკუთრებით სინტაქსური წესების კომპიუტერულ სისტემაზე ზუსტად მორგებასთან მივყავართ.

კომპიუტერულ-ენათმეცნიერული საერთო პრობლემის მოგვარების გზად მხოლოდ ერთობლივი ინფორმაციის გაზიარებითი მუშაობა გვესახება: პროგრამისტებისა და ენათმეცნიერების ცოდნის გაერთიანების შემთხვევაში დაუჯერებელ დონეზე იქნება განვითარება, უთვალავი პროგრამა შეიქმნება, სხვადასხვა ადამიანების მხრიდან შექმნილი პროგრამები, დაგროვილი გამოცდილება და კომპიუტერული ენათმეცნიერების სასურველ შედეგზე მიღწევა კი იქნება საფუძველი შემდგომში ავტომატური ტექნოლოგიებისა და სისტემების, მომენტალური თარგმანის, ტექსტის კომპიუტერული ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფისა (Sarigül 2011:52).

1.1. ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან

ქვეყნის ლექსიკოგრაფიული განვითარება უპირველეს ყოვლისა ენის ლექსიკოლოგიური განვითარების, რომელიც ამა თუ იმ ენის სიტყვათა მარაგის დახასიათებას გვაძლევს, შემდგომ ეტაპად გვევლინება. ლექსიკა ენის ცვალებად ნაწილის წარმოადგენს, მისი ფორმაცვალება უშუალო კაშირშია გარეენობრივ, კონცეპტუალურ სამყაროსთან. ენის ლექსიკურ მარაგში საჩინოდ აისახება სამყაროში მიმდინარე მოვლენები. ახალ რეალიებს ახალი ლექსიკური ერთეულის გაჩენაც მოსდევს თან.

ლექსიკოლოგიური მუშაობა ძველ საქართველოში მწიგნობრობის წარმოქმნისთანავე უნდა დაწყებულიყო. ამას მოწმობს უძველესი ხელნაწერი ძეგლები (ორიგინალური და ნათარგმნი), რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს თან ახლავს სქოლიო, სადაც წარმოდგენილია სიტყვათა - ცნებათა განმარტებანი.

ქართული ტერმინთშემოქმედება ერთ-ერთი უძველესი პროცესია, შესაბამისად, მეტად ფასეულია მსოფლიოს ლინგვისტური აზროვნების ისტორიისთვის. "შუშანიკის წამების" დახვეწილი ლიტერატურული ენა მოწმობს, რომ V საუკუნისათვის უკვე არსებობდა კარგად განვითარებული ქართული საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ტერმინოლოგია. VIII-IX საუკუნეებში გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით შექმნილმა ტაო-კლარჯეთის ლიტერატურულმა სკოლამ ახალი ეტაპი შექმნა ტერმინოლოგიის განვითარებისათვის (ფუტკარაძე:2006 http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/links/4.1.htm).

ქართულ ლექსიკოგრაფიას უდიდესი ტრადიციები და ხანგრძლივი ისტორია აქვს. ქართულ ლექსიკონთაგან უძველესია 3084 სიტყვიანი სტეფანო პაოლინის და ნიკიფორე ირბახის მიერ შედგენილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი (გამოცემულია რომში 1629 წელს; იგი პირველი ქართული ნახეჭდი წიგნია). ლექსიკონი 3 სვეტიანია: 1) ქართული სიტყვები, 2) ამ სიტყვების ლათინური ტრანსლიტერაცია და 3) ქართული ლექსიკური ერთეულების იტალიური შესატყვისები.

XVII საუკუნის დამდეგამდე, საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყნის კულტურულ-ლიტერატურული წინსვლა აღარ იგრძნობა. ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული წინსვლები ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბას საგანმანათლებლო მოღვაწეობით XVII საუკუნიდან იწყება.

საბას "ლექსიკონი ქართული" მრავალი კუთხითაა საინტერესო (დიდი ლექსიკოგრაფი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ქართველებს მანამდეც ჰქონიათ ლექსიკონი, რომელიც "ჟამთა ვითარებითა უჩინოდ ქმნილიყო"); საბას ლექსიკოგრაფიული შედეგრი დღესაც ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ამა თუ იმ დარგის ტერმინების შემუშავების დროს. ქართული ლექსიკის ისტორიისათვის ასევე მნიშვნელოვანია ვახტანგ მეექვსის, ვახუშტი ბატონიშვილის, ანტონ კათალიკოსის, დავით რექტორის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების მემკვიდრეობა (ფუტკარაძე: 2006, http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/links/4.1.htm).

მე-19 საუკუნეში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა, რაც მაშინვე აისახა ქართულ ლექსიკოგრაფიაზე. იქმნება ორენოვანი, ძირითადად რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები. ამ პერიოდს განეკუთვნება

ფრანგულ-ქართული ლექსიკონებიც, რაც ასახავს ქართული არისტოკრატის გატაცებას ფრანგული ენით (მარგალიტაძე, 2011:3).

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შემადგენელი წევრი გახდა. ქვეყნის ნებისმიერი პოლიტიკურ-ისტორიული ცვლილება, ბუნებრივია, პირდაპირპროპორციულ კავშირშია ერისა და შესაბამისად ენის განვითარებასთან. ისტორიული ცვლილებები სარკისებურ ანარეკლს ჰპოვებს ენის ლიტერატურულ შემოქმედებაში. საბჭოთა კავშირმა საბჭოური ელფერი შესძინა და საბჭოთა აზროვნებითა და მენტალიტეტით გაჯერებული პროდუქცია წარმოშვა, ახალმა რეალიებმა გამოხმაურება ჰპოვა ლექსიკოლოგიაში და შესაბამისად ლექსიკოგრაფიაზეც გარკვეული გავლენა იქონია. ქართული ლექსიკოგრაფია მხოლოდ, ქართულ-რუსული ლექსიკონებით შემოიფარგლა. სხვა ენებთან ურთიერთობა კი მხოლოდ რუსულენოვანი ლექსიკონების საშუალებით ხორციელდებოდა. ამ გადმოსახედიდან, ქართული საბჭოთა ლექსიკოგრაფია შეზღუდულ, პასიურ ეპოქად გვევლინება საქართველოს ლექსიკოგრაფიულ ისტორიაში.

როგორც თინათინ მარგალიტაძე აღნიშნავს: მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს, მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურას ძირითადად რუსული თარგმანებით ვეცნობოდით. ჩვენ ნამდვილად არ გვქონდა ხარისხიანი ინფორმაციის მიღების დეფიციტი, შედეგი კი იყო განათლებული, ერუდირებული თაობები. დღეს ქართველი ახალგაზრდების უმრავლესობას არ შეუძლია რუსულენოვანი წყაროების გამოყენება. ჯერჯერობით ვერც ინგლისური ენის სწავლებამ მიაღწია იმ დონეს, რომ ჩვენი ახალგაზრდებისთვის ის ფუნქცია იტვირთოს, რაც რუსულ ენას ჰქონდა თავის დროზე. თუ ჩვენი თაობა ინგლისურ ენას ილია გალპერინის ბრწყინვალე ინგლისურ-რუსული ლექსიკონით სწავლობდა (თუმც ერთი უცხო ენის მეორე უცხო ენის მეშვეობით შესწავლას თავისი სერიოზული უარყოფითი მხარეებიც აქვს), ჩვენი ახალგაზრდობა იძულებულია მიმართოს მდარე ხარისხის მოძველებულ ინგლისურ-ქართულ ან სხვა თარგმნით ლექსიკონებს, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება. ეს ვითარება ჩვენი ახალგაზრდობის განათლებულობის დონის დაწევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება (მარგალიტაძე: <http://blog.dictionary.ge/archives/248>).

საბჭოთა პერიოდის ქართულ ორენოვან ლექსიკოგრაფიასთან დაკავშირებული ზემოხსენებული ნაკლოვანებების პარალელურად, ცალკე და განსაკუთრებული სიამაყით უნდა აღინიშნოს საბჭოთა ლექსიკოგრაფიის ისეთი ღირსეული და უნივერსალური ხასიათის მქონე ენციკლოპედიური ნაშრომები, როგორცაა მაგალითად: 12 ტომიანი ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1981 თბილისი), რომელი მოიცავს 70 ათასამდე ტერმინ-სტატიას (მთავარი რედაქტორი — ირაკლიაბაშიძე, რედაქტორი — როინ მეტრეველი) და სოციუმის აზროვნებისა თუ მოღვაწეობის ყველა სფეროს ასახავს. ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი - (ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია 1985 წელი); საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი - (ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია 1987 წელი), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი - (შემოკლ. ქ.ე.გ.ლ. ანქეგლ) — რვატომიანი აკადემიური ლექსიკონი (გამოცა 1950-1964 წწ). მასზე მუშაობდა 150 მეცნიერი, მთავარი რედაქტორი იყო არნოლდ ჩიქობავა. საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი - (ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1989 წელი) და ა.შ.

კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის საფუძველზე, საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს შესანიშნავი ლიტერატურული ურთიერთობები და შესაბამისად მთარგმნელობითი ტრადიციებიც გააჩნდათ. საბჭოთა კავშირი, როგორც ტოტალიტარულ-ავტორიტარული სახელმწიფო, თავისი პოლიტიკური მრწამსიდან გამომდინარე, უდიდეს ყურადღებას აქცევდა უცხოეთიდან შემოდინებულ ლიტერატურას, მკაცრად აკონტროლებდა და ხშირ შემთხვევაში ბლოკავდა კიდევ მას. საბჭოთა ხელისუფალნი, აცნობიერებდნენ რა ლიტერატურული ურთიერთობებისა და მთარგმნელობითი საქმიანობის როლს საბჭოთა იდეოლოგიის გაღვივების საქმეში, დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ კულტურის ყველა პროდუქტს, მათ შორის ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარებას.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა პერიოდში, აღმოსავლურ და ევროპულ ენებთან მთარგმნელობითი ურთიერთობა უმეტესად რუსულ ენაზე

წარმოებდა. ამიტომ, საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ საქართველოს მიერ ევროპული გეზის აღებამ და ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების მცდელობამ, ქართული ლექსიკოგრაფია ქართულ-უცხოენოვანი ლექსიკოგრაფიის სწრაფი განვითარების საჭიროების წინაშე დააყენა.

დღეს, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როცა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ურთიერთობებზეა დამყარებული ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა, როცა გარე სამყაროსთან ურთიერთობისას კულტურულ გაუგებრობზე ფარდის ახდის ერთადერთ საშუალებად თარგმანი და მისი ხერხემალი - ლექსიკონები გვევლინება, ქართული ლექსიკოგრაფიის ორენოვანი ნაშრომები მეტწილად საყოფაცხოვრებო ლექსიკის მქონე და დაბალი ხარისხის ლექსიკონებით შემოიფარგლება.

ქართველი ლექსიკოგრაფების მიერ, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა საქართველოში მოქმედი რუსულენოვანი ლექსიკონების, ახალი, სამეცნიერო-ტექნიკური, თუ ხელოვნების სფეროებთან დაკავშირებული ლექსიკონებით ჩანაცვლება, რისი განხორციელებაც ლექსიკოგრაფების ერთობლივი, მულჩაუხრელი შრომითაა შესაძლებელი.

როგორც ეროვნული სულისკვეთებით სავსე, შეიძლება ითქვას ქართული მიძინებული ლექსიკოგრაფიის გამაცოცხლებელი და სულისჩამდგმელი, დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ ლექსიკონის მთავარი რედაქტორი თინათინ მარგალიტაძე აღნიშნავს: „ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად გამოცხადება ქვეყანაში და ლექსიკოგრაფიის ეროვნული პროგრამის შემუშავება, საშუალებას მოგვცემს რამდენიმე წელიწადში დავძლიოთ არსებული ჩამორჩენა და შევქმნათ კომპეტენტური განმარტებითი, თარგმნითი, დარგობრივი ელექტრონული და ონლაინ-ლექსიკონები (<http://blog.dictionary.ge/archives/114>).

1.4. თურქული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან

თურქული ლექსიკოგრაფიის საფუძვლის ჩაყრა, ისტორიული განვითარება და დღევანდლამდე არსებული ლექსიკონების პრინციპისა და მეთოდების ჩამოყალიბება, პირდაპირ თუ ირიბად საფუძველს განსაზღვრული ისტორიული წყაროებიდან და ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენებიდან იღებს. თურქეთის პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა: აღმოსავლური და დასავლური გავლენა უზარმაზარ როლს თამაშობს თურქული ენისა და შესაბამისად მის ლექსიკოგრაფიულ განვითარებაზე. თურქული ლექსიკოგრაფიის აღმოსავლურ გავლენად არაბული, სპარსული, ხოლო დასავლურ გავლენად ევროპულ ენებთან ერთად რუსული ენის ლექსიკონური ტრადიციები გვევლინება.

მე-11 საუკუნეში Kaşgarlı Mahmut'un "Divanü lugat-it-Türk" ლექსიკონით დაწყებული, ყივჩაღური, ჩადათაური, ოსმალური, რუსული ცარიზმის, მე-20 საუკუნის საბჭოთა ეპოქის ქრონოლოგიურად პერიოდებგამოვლილი თურქული ლექსიკოგრაფიული ისტორია, მსოფლიო ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობისათვის მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი ლექსიკონებით დღემდე გრძელდება (Cumakunova:2011:17).

თურქულ ლექსიკოგრაფიაზე საუბრისას, შეუძლებელია არ ვისაუბროთ მისი საფუძვლის ჩამყრელ არაბულ ლექსიკოგრაფიაზე. რადგან, პირველი თურქოლოგიური ნაშრომი მთლიანად არაბული მეცნიერების თეორიასა და მეთოდოლოგიურ პრინციპებზეა აგებული. ქრისტეშობის პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლური, განსაკუთრებით არაბული და სპარსული ენათმეცნიერების, ლექსიკოგრაფიის სწრაფი განვითარების მიზეზი ძალიან ბევრი პოლიტიკური და სოციალური მიზეზი გახდა.

632 წელს არაბული სახალიფოს შექმნის შემდგომ, ისლამური სარწმუნოების გავრცელების, დაპყრობილ ქვეყნებში არაბული ენის ოფიციალურ ენად გამოცხადების, ყურანის სწორად წაკითხვისა და წერის მიზნით, არაბული ენათმეცნიერების სწრაფი განვითარება დაიწყო. არაბი მეცნიერები სალიტერატურო ენასა და ნორმებთან, ფორმასა და გრამატიკასთან დაკავშირებით სიღრმისეულ კვლევებს აწარმოებდნენ. არაბული ენა, დაპყრობილ დიდ მიწებზე სახელმწიფო

საქმეების, რელიგიის, მეცნიერების ენად ქცევის მიზნით სწრაფად განვითარდა (Cumakunova, 2011:17).

არაბული ლექსიკოგრაფიის თეორიულმა საფუძვლებმა გარკვეულ საფეხურზე ლექსიკოგრაფიული პრინციპების დამუშავება განაპირობა. მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, მსოფლიოს ენათმეცნიერების უდიდესი განვითარება, არაბული ენის თეორიის განვითარებით მოხდა. ამ თეორიის განმავითარებელი ბასრელი მეცნიერი, ოსმალურ პერიოდში ლექსთწყობის მამად ცნობილი აბდ არ-რაჰმან ალ-ჰალილ იბნ აჰმად ალ ფარაჰიდი იყო. ალ-ჰალილ ფარაჰიდის არაბული ენის პირველი განმარტებითი ლექსიკონი „Kitap' l-Ayn“, პირველი განმარტებითი ლექსიკონებიდან ერთ-ერთია (Cumakunova, 2011:19).

თურქული მეცნიერების სამყაროში ლექსიკოგრაფიული ტრადიცია საკმაოდ ძველია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღევანდელი ინფორმაციის მიხედვით, პირველი თურქული ლექსიკონი ქაშგარლი მაჰმუდის მიერ შედგენილი “Divanü Lügat-it Türk”-tür (1072-1074)-ია. ამ ლექსიკონის მომზადება არაბებზე თურქულის ენის სწავლებას ისახავდა მიზნად.

მე-19 საუკუნის შემდეგ, თურქულ სამყაროში არსებული, ყივჩაღური, ჩაღატაური და ოსმალური ლექსიკონების კვლევა, სამ განყოფილებად მიმდინარეობს. ებულ ქასიმ ზემაჰშერის მიერ შედგენილი და ყივჩაღური ლექსიკონებიდან ერთ-ერთი ყველაზე ძველი „Mukaddimet-ül Edep“ სახელწოდებით ცნობილი ლექსიკონი, არაბულ-სპარსულ-თურქულ-მონღოლურ ლექსიკონს წარმოადგენს (Bingöl, 2006:6).

ოსმალური სტამბის დაარსებამდე არსებული ყველა ლექსიკონი არაბული ლექსიკოგრაფიის საფუძველზეა შედგენილი. ამ ხელნაწერი ლექსიკონების ერთი ნაწილი ლექსის სახითაა მოცემული. აფიონქარაჰისარი მუსტაფა აჰტერის შედგენილი “Ahteri Kebir” (1545) 40 000 ზე მეტი სტატიის შემცველი არაბულ-თურქული ლექსიკონია.

მე-16 საუკუნის მეცნიერი ვანქულუ მეჰმედი საკუთარი სახელით დასათაურებული “Kitab-ı Lügat-ı Vankulu” (1729) ლექსიკონით გახდა ცნობილი. ფარაბლი ჯეჰვერის “Sihah-ı Cevher” სახელწოდებით ცნობილი არაბული ლექსიკონიდან განხორციელებული თარგმანი თურქეთში დაარსებული სტამბის პირველი ნაბეჭდი წიგნია (Bingöl, 2006:7).

მე-18 საუკუნემდე, ძირითადად თურქული ლექსიკის მქონე ლექსიკონები არ გვხვდება. ესას მეჰმედის მე-18 საუკუნეში შედგენილ “Lehçet-ül Lugat” სახელწოდების ლექსიკონში (1732) ძირითადი ადგილი უკვე თურქულ სიტყვებს უჭირავს და ამ სიტყვების არაბული და სპარსული ეკვივალენტებია მოცემული (Bingöl, 2006:7).

თერბიზლი ჰუსეინ ბინ ჰალეფის მიერ დაწერილი “Burhan-ı Katı” (1652 წელს დაწერილი, 1836 წელს გამოქვეყნებული) სახელწოდების სპარსული ლექსიკონი მუთერჯიმ ასიმმა “Tıbyan-ı Nafi der Tercüme-i Burhan-ı Katı” სახელწოდებით თურქულად თარგმნა. თარგმანის გაკეთებისას, ინფორმაცია სხვა წყაროებიდან გადაამოწმა, ახალი ინფორმაცია დაამატა, სპარსულ სიტყვებს კი სუფთა თურქული წარმოშობის შესატყვისები მიუწერა.

თურქეთში ლექსიკონური ნაშრომების გამოქვეყნების პროცესი სტამბის დაარსებამ დააჩქარა. ამ პერიოდში მომზადებული თითქმის ყველა ლექსიკონი ოსმალური თურქულის ლექსიკური მარაგის დაფიქსირებას ისახავდა მიზნად.

აჰმედ ვეფიკ ფაშას ორტომეული “Lehçe-i Osmani” (1876) ამ პერიოდის თურქულ ლექსიკურ მარაგს არაბული ანბანური სისტემის აღწერით და მაგალითი-წინადადებებით გადმოგვცემს. ჯეიმს უილიამის “Redhause” და “kitab-ı maani-ül-lehçe” სახელწოდების ორტომეულ თურქულ-ინგლისურ ლექსიკონში, არაბული და სპარსული სიტყვებიცაა თავმოყრილი. მუალლიმ ნაჯინის “lugati Naci” (1890) სახელწოდების ნაწარმოები კი ოსმალური ლექსიკონია. ეს ლექსიკონი ოსმალურ ენაში არაბული და სპარსული სიტყვებისა და მისი ეკვივალენტების აღწერას ისახავს მიზნად. ამ პერიოდის ყველაზე წარმატებული ლექსიკონი შემსეთინ სამის ეკუთვნის. ეს წარმატებული ნაწარმოები “kamus-ı türki”-ია. შემდგომ ეს ნაწარმოები ორჯერ “Hayat-Büyük Türk Sözlüğü” (1969-1971) და სამ ტომიან “Temel Türkçe Sözlük kamus-ı Türki” (1985) სახელწოდების ლექსიკონებად გარკვეული ცვლილებებითა და გამარტივებული სახით გამოქვეყნდა (Bingöl, 2006:7).

შემსეთინ სამი ამ პერიოდის თურქული ადგილობრივი და უცხო სიტყვების მნიშვნელობების აღწერასა და მათ გამოყენების მაგალითებს წარმოგვიდგენს. იგი ზოგიერთ სტატიაში უცხო სიტყვების ადგილას იშვიათად გამოყენებად, გაუზრცელებელი თურქული სიტყვების გამოყენებას გვთავაზობს (Bingöl,2006:8).

რესპუბლიკის დაარსების შემდგომი ნაშრომები ცხადყოფს წერილობითი (1928) ხანის დადგომას. წერილობითი ეპოქა აღმოსავლური აზროვნებიდან დასავლურ აზროვნებაზე გადასვლის პირველ საფეხურს წარმოადგენს და თურქული ენის სრულფასოვანი ლექსიკონების არსებობის აუცილებლობას წარმოშობს. ახალი ლექსიკონები უნდა იყოს აუცილებლად მიზანმიმართული, ემსახურებოდეს: თურქული საზღვრების დაცვას, ლექსიკური მარაგის დაფიქსირებას, უცხოური სიტყვების ადგილზე თურქული შესატყვისების გამოყენებას. ენობრივი კომისიამ 1928 წელს, მართლწერითი პრობლემების გადასაჭრელად, არაბული და ლათინური ასოებით შედგენილი “İmla Lügati”-ს სახელწოდების ლექსიკონი გამოაქვეყნა.

წერითი რეფორმების შემდგომი პირველი ლექსიკონი იბრაჰიმ ალაეთინის ხელმძღვანელობით, ალი სედათის, ს. თევფიკის, ქერიმ სადის მიერ 1930 წელს გამოიცა, ლექსიკონს “Yeni Türk Lügati”, ანუ „ახალი თურქული სიტყვა“ დაერქვა. ლათინური ასოებით შედგენილ ამ ლექსიკონში 30 000 სიტყვაა აღწერილი. ასევე აღსანიშნავია ენათმეცნიერ ჰუსეინ ქაზიმ ქადრის მიერ ამ პერიოდში შედგენილი 4 ტომიანი „Büyük Türk Lügat“. პირველი და მეორე ტომი არაბული ასოებით (1927-1928), ხოლო ბოლო ორი ტომი კი ლათინური ასოებითაა (1943-1945) დაწერილი. ეს ლექსიკონი ოსმალურში გამოყენებული არაბულ-სპარსული სიტყვების გვერდით, ჩაღატაურ (ძველუზბეკურ), ყაზახურ, აზერბაიჯანულ, იაკუტელების, ალთაურ, ჩუვაშურ და ყირგიზულ დიალექტებზე არსებულ სიტყვებსაც მოიცავს. (Bingöl, 2006:8).

თურქული ენის საკითხებთან დაკავშირებული ნაშრომების ოფიციალურ და სამეცნიერო ჩარჩოებში მოქცევის მიზნით, შეიქმნა თურქული ენის კვლევითი საზოგადოება (შემდგომში, 1932 წელს სახელწოდება თურქული ენის საზოგადოებით შეცვალა). ამ საზოგადოებამ თავზე აიღო ლექსიკონების შექმნაც და თურქული ლექსიკური მარაგის დასაფიქსირებლად შეგროვება-მოძიებითი საქმეების წარმოებაშიც დიდი წვლილი შეიტანა. თურქული ენის საზოგადოებაში მოღვაწე, ლექსიკოგრაფ მეჰმედ ალი ალაქაის მიერ მომზადებული, 2 ტომისგან შემდგარი „Türkçe Sözlük“ (1983), მე-20 საუკუნის ახალი თურქული ენის ლექსიკური მარაგითა და ბოლო გამოცემაში მაგალითი-წინადადებების სახით მოცემული განმარტებებით, ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსიკონებიდან ერთ-ერთია (Bingöl, 2006:8).

შემდგომ წლებში გამოცემული ლექსიკონები, აშკარად ამ ლექსიკონის საფუძველზე იქმნება. 12 ტომიანი “Meydan-Larousse Büyük Lugat ve Ansiklopedi” -ის (1969-1973) ლექსიკონური ნაწილი, ტანზიმატიდან დღევანდლამდე სალაპარაკო და სამწერლობო ენაში გამოყენებულ თითქმის ყველა სიტყვის განმარტებასა და მაგალითებს მოიცავს.

ფარს თულაჯის მიერ 6 ტომისგან შემდგარი “Okyanus” სახელწოდების ლექსიკონი, სხვა ლექსიკონთა განმარტებებისა და მაგალითების გადმოტანით, უცხოური და ტერმინოლოგიური ხასიათის სიტყვათა მარაგით, მე-20 საუკუნის ენციკლოპედიური თურქული ლექსიკონის სპეციფიკას და სიტყვების ინგლისურ და ფრანგულ ეკვივალენტებს წარმოგვიდგენს. ალი ფუსკულოღლუმაც ენობრივი რეფორმების შედეგად თურქულ ლექსიკაში გაჩენილი სიტყვებს “Öztürkçe sözlük”-ში მოუყარა თავი. ამის შემდგომ წლებში გამოქვეყნებულ ლექსიკონთა შორის აღსანიშნავია ქემალ დემირაის “Büyük Türkçe Sözlük - დიდი თურქული ლექსიკონი” (1982) და 10 ტომიანი “Resimli ansiklopedik Büyük Sözlük” – „ილუსტრირებული დიდი ენციკლოპედიური ლექსიკონი” (1982). უნდა აღინიშნოს, რომ თურქული ენის საზოგადოების წვლილი, თურქული ლექსიკონების გარდა, შეგროვება-მოძიებასთან და ტერმინოლოგიებთან, თურქული დიალექტებსა და ძველი დიალექტებთან დაკავშირებული ნაშრომების შექმნაშიც უდიდესი იყო (Bingöl, 2006:9).

ამის მაგალითია, 8 ტომიანი „Tarama Sözlüğü - სამძიებლო ლექსიკონი“ (1963-1977), 18 ტომიანი „Derleme Sözlüğü - ლექსიკონთა კრებული“ (1963-1982), ქ.ქ. იუდაჰინის მიერ შედგენილი 2 ტომიანი “Kırgız Sözlüğü-ყირგიზული ლექსიკონი” (1945-1948), ჰ. ფაასონენის “Çuvaş Sözlüğü-ჩუვაშური ლექსიკონი” (1950), აჰმედ ჯაფეროღლუს “Eski Uygur Türkçe’si Sözlüğü - ძველი უიგურული თურქული ლექსიკონი”, ისმეთ სუნგურბეის “Medeni Hukuk Terimleri Sözlüğü - სამოქალაქო სამართლის ტერმინების ლექსიკონი”(1966), მეჰმედ თურან იარარის “Güzel Sanatlar Terimleri Sözlüğü- ხელოვნების ტერმინთა ლექსიკონი” (1970), ჰამით ნაფიზ ფამირისა და ონდერ ოზტუნალის “Yer Bilim Terimleri Sözlüğü - გეოლოგიური ტერმინების ლექსიკონი” (1971), სედათ ვეის ორნეის “Budun bilim Terimleri Sözlüğü- ეთნოლოგიური ტერმინების ლექსიკონი” (1973), მითჰათ ენჩის “Ruh Bilim Terimleri Sözlüğü - ფსიქოლოგიური ტერმინების ლექსიკონი”(1974), თაჰირ ნეჯათ გენჯანის,

ჰაიდარ ედიოქუნის, ბაზა დურდერის, ენვერ ნაჯი გოქშენის ერთობლივი ნაშრომი “Yazım Terimleri Sözlüğü-მართლწერის ტერმინთა ლექსიკონი”(1974), ბედია აქარსუს “Felsefe Terimleri Sözlüğü - ფილოსოფიური ტერმინების ლექსიკონი” (1975), ნ. გუზი, ე. ოზლოქათის “Dil Bilim ve Terimleri Sözlüğü-ენათმეცნიერების ტერმინების ლექსიკონი” და ა.შ. (Bingöl, 2006:9).

ლექსიკონი და ლექსიკოგრაფია ქვეყნებს შორის ვაჭრობისა და სხვა ქვეყნის ენის შესწავლის მიზნით ჩნდება. დღევანდლამდე მრავალი მნიშვნელოვანი ლექსიკონი შედგენილა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლური ლექსიკოგრაფიული განვითარება დასავლურზე უფრო ადრე დაწყებულია.

ყველა ცოცხალი ენა ცვლილებებს განიცდის, რის შედეგადაც მრავალი ახალი სიტყვა იქმნება. მთარგმნელმა და სპეციალისტმა ამ სიახლეებს თვალყური უნდა ადევნონ, წინა წლებში გამოცემული ლექსიკონები განაახლონ, თანამედროვე სალაპარაკო ენასთან დაკავშირებული ახალი ნაშრომები უნდა წარმოადგინონ. მაგალითად: გერმანულ-თურქული ლექსიკონები უკვე დიდი ხანია არსებობს, თუმცა ეს ლექსიკონები დღევანდელ პირობებს ვერ პასუხობს, რაც სასწრაფოდ განმახლებელ-შემავსებელი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს (Bingöl, 2006:10).

ლექსიკონების ძირითადი სახასიათო ბუნება ცნობარის სახეს ატარებს, იგი ერთი რომელიმე ენის ლექსიკური მარაგის განმარტების მომცემი შემოქმედებაა. ლექსიკონები განსაკუთრებით სასწავლო ცენტრებში და თარჯიმნების მხრიდან არის გამოყენებადი. ყველაზე პრაქტიკული ლექსიკონი ორენოვანი ლექსიკონია. თუმცა, ასეთი ლექსიკონების გამოყენება, ზოგ შემთხვევაში, მაგალითად სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე, პოლისემანტური სიტყვების განმარტებისას არასაკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს. სხვადასხვა ენობრივ კოლექტივს მიკუთვნებულმა სიტყვებმა შეიძლება ერთმანეთის სემანტიკური მნიშვნელობა ჯეროვნად ვერ ასახონ. ასეთ შემთხვევებში ერთენოვანი ლექსიკონები ორენოვანზე ბევრად უფრო ნაყოფიერია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთენოვანი ლექსიკონის ფუნქციას ენის შესწავლა ნაკლებად წარმოადგენს, შესაბამისად, ენის დაუფლების დროს, მოთხოვნა ერთენოვან ლექსიკონზე ნაკლებია.

მიუხედავად თურქული ლექსიკოგრაფიის საკმაოდ მრავალფეროვანი შემოქმედებისა, სხვა ქვეყნების ლექსიკოგრაფიული ტრადიციების გაზიარებისა და

უამრავი ისტორიული მოვლენებისა, რომლებმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანეს თურქული ენათმეცნიერების განვითარებაში, ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით, თურქული საზოგადოება ამ სფეროში არსებული ნაშრომების მკვეთრ დეფიციტს განიცდის.

თურქული ენათმეცნიერება ლექსიკოგრაფიულ თეორიასთან, ტერმინოლოგიასა და მიზნებთან დაკავშირებული მონოგრაფიების სასწრაფოდ შექმნას საჭიროებს. აუცილებელია დღევანდლამდე გამოქვეყნებული ყველა ლექსიკონის ყურადღებით გამოკვლევის, არსებულ უპირატესობებზე ხაზგასმისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების საფუძველზე, ლექსიკოგრაფიული განვითარების საკითხის დღის წესრიგში დაყენება. ამ ღონისძიებების გატარება კი არსებული კომპეტენტური საზოგადოების მოვალეობაა, რომელიც ზემოხსენებული სამუშაოების განხორციელებით, თურქულ ლექსიკოგრაფიულ განვითარებაში დიდი წვლილის შეტანას უზრუნველყოფს (Usta, 2010:9).

თავი II

თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული ლექსიკონების ანალიზი

2.1. ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფიის თანამედროვე მდგომარეობა

ჩვენი ინტერესის სფეროს, მსოფლიო ლექსიკოგრაფიული გავითარების ფონზე, ქართულ-თურქულ ლექსიკოგრაფიაში არსებული მდგომარეობა, თანამედროვე ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფიული საქმიანობის შედეგების შეფასება, ამ დარგში არსებული პრობლემების აღწერა-გაანალიზება, განვითარების გზებსა და პერსპექტივებზე მსჯელობა წარმოადგენს, რადგან, სწორედ განვითარებული ლექსიკოგრაფიაა წარმატებული თარგმანის წინაპირობა, რომელიც წარმოადგენს სამყაროსთან დამაკავშირებელ ხიდს და უზრუნველყოფს ქართული სახელმწიფო ენის მსოფლიოს მოწინავე ენებთან პარტნიორობას, ქვეყნის სხვა ერებთან კულტურულ-ეკონომიკური, პოლიტიკური ურთიერთობის წარმართვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლები საქართველოსა და თურქეთს შორის ეკონომიკური და სოციალური კავშირების გაღრმავებით გამოირჩევა. ამ ურთიერთობამ ფაქტობრივად, ყველა სფერო მოიცვა: ვაჭრობა, ტურიზმი, მშენებლობა, განათლება; გაიხსნა ბანკები, სკოლები, უნივერსიტეტები. სტუდენტები და მოსწავლეები ჩაერთვნენ გაცვლით პროგრამებში, გაიზარდა მოთხოვნა მთარგმნელებზე მშენებლობისა და ტურიზმის სფეროში. გამოცოცხლდნენ ბანკებისა და სასტუმროების თანამშრომლები, რომლებიც ინგლისური ენის პარალელურად აქტიურად ეუფლებიან თურქულ ენას, თურქეთის საკონსულოს უფასო კურსებმა თურქულის პოპულარიზაციას შეუწყო ხელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკოგრაფიული აქტივობა ევროპასა და ამერიკაში განვითარების უმაღლეს პიკს აღწევს, რაც გამოიხატება: უამრავი ლექსიკოგრაფიული ცენტრის შექმნაში, ტექნოლოგიების განვითარებაში, ლექსიკოგრაფიული თეორიის პრაქტიკაში წარმატებით განხორციელებასა და შედეგად, ლექსიკონური ხელოვნების მრავალფეროვნებაში.

მსოფლიოში არსებული ლექსიკოგრაფიული ბუმის ფონზე, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფიის თანამედროვე სურათი

აბსოლუტურად განსხვავებული სახით წარმოგვიდგება, ანუ, პირდაპირ და შეუღამაზებლად რომ აღვნიშნოთ, სერიოზული განგაშის საფუძველს იწვევს.

დღეს, როცა საქართველოსთვის თურქეთი პირველი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა და ამ ურთიერთობის გაღრმავებას ჩვენი ეკონომიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, დამეთანხმებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია წარმატებული თარგმანი და შესაბამისად ლექსიკოგრაფიული განვითარება, რომელსაც ყველანაირ საკითხში არსებულ ენობრივ და კულტურულ გაუგებრობაზე ფარდის ახდა შეუძლია.

ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფიის განვითარებაზე ძალიან დიდი გავლენა იქონია საბჭოთა პერიოდმა, რომლის დროსაც თარგმანები მხოლოდ რუსულ ენაზე იქმნებოდა.

მე-20 საუკუნის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლამ და საზღვრების გახსნამ, თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული ლექსიკონებისადმი დიდი მოთხოვნა გამოიწვია. ყველასათვის ცნობილი ისტორიული მოვლენების გამო, რუსულ-თურქული ლექსიკონები საქართველოში მრავლად მოგვეპოვება, ხოლო ქართულ-თურქული ლექსიკონების სიმწირეს კი, დღეს, თურქეთ-საქართველოს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების ფონზე, მწვავედ განვიცდით.

მთლიანად გადასამუშავებელია დარგობრივი ტერმინოლოგია, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში რუსული ენის გავლენით იქმნებოდა. შესამუშავებელია იმ დარგების ტერმინოლოგია, რომლებიც საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გახდა აქტუალური: ეკონომიკური, საბირჟო, საბანკო, საფინანსო, პოლიტიკური, სამხედრო და სხვა (მარგალიტაძე:2010).

საბჭოთა პერიოდში ქართველი ახალგაზრდები უცხო ენებს რუსულენოვანი ლექსიკონებით ეუფლებოდნენ. დღეს ქართველი ახალგაზრდების უმრავლესობას არ შეუძლია რუსულენოვანი წყაროების გამოყენება და იძულებულია მიმართოს მდარე ხარისხის მოძველებულ თარგმნით ლექსიკონებს, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება. ეს ვითარება ჩვენი ახალგაზრდობის განათლებულობის დონის დაწევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება (მარგალიტაძე, 2011:4).

გარდა ლექსიკონთა მწირი რაოდენობისა, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონების უმრავლესობა ძირითადად ცნობარის სახეს ატარებს, შეიცავს სიტყვათა მნიშვნელობების მწირ ინფორმაციას და ორიენტირებულია ენის ლექსიკური მარაგის ზედაპირულ ცოდნაზე. ხშირ შემთხვევაში, არსებული ლექსიკონები არ იძლევა სიტყვის კონტექსტუალურ განმარტებას, მოცემულია სიტყვის მხოლოდ ერთი ან ორი ძირითადი მნიშვნელობა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საილუსტრაციო მასალას, სიტყვის შესახებ ელემენტარულ მორფოლოგიურ ინფორმაციას და ა.შ. თურქული ენის მომხმარებელთა მზარდი ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ეს ლექსიკონები საჭიროებენ სერიოზულ დახვეწას სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.

თანამედროვე ეპოქაში, როცა თურქეთთან პარტნიორული თანამშრომლობის საკითხი ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებასა და ეკონომიკური კავშირების გაზრდას ემსახურება, დამეთანხმებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თურქულ-ქართული ეკონომიკისა და ბიზნესის განმარტებითი ლექსიკონები, განსაკუთრებით კი ენციკლოპედიური სახის ეკონომიკური ლექსიკონები, რომელებიც ეკონომიკური ტერმინოლოგიის უდიდეს ბაზას მოიცავენ.

ამგვარი ლექსიკონი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ეკონომიკის სფეროში მოღვაწე მეცნიერებსა და ექსპერტებს, ინვესტორებს, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებსა და ნებისმიერი პროფესიის ადამიანებს ყიდვა-გაყიდვისა და მრავალი სხვა ქმედებების განხორციელებაში.

ეკონომიკური ურთიერთობების გარდა, თემატური ლექსიკონები უნდა მოიცავდეს ისეთ სფეროებს, რომელიც თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში იკვეთება: პოლიტიკური, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, კულტურული და ა.შ.

ნებისმიერი ენის ლექსიკას ლექსიკური ერთეულები და ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია დიდი მოცულობის, თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შექმნა, რომელიც ერთ ენაში არსებული ფრაზეოლოგიზმების მეორე ენის ფრაზეოლოგიური ეკვივალენტებით ამომწურავად ჩანაცვლების საშუალებას იძლევა.

არ მოგვეპოვება სამწუხაროდ ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული გრამატიკული ლექსიკონები, რომელიც უცხო ენის შემსწავლელისთვის ნამდვილი მონაპოვარია.

ხშირად, როცა ფლექსიური ფორმები რაოდენობით სალექსიკონო ერთეულებს თითქმის უტოლდება, ძალიან ძნელია ცალკეული (სინტაქსური) სიტყვის მნიშვნელობის მოძებნა. დიდ სიძნელებს წააწყდება მაგალითად ქართულის ენის შემსწავლელი, როცა დააპირებს გაიგოს, რას ნიშნავს *მნდომებია*, *შესცივნია*, *შემოუნახავს* და ა.შ. რომელ ლექსიკონში უნდა მოძებნოს მსგავსი ფორმები? ამ დროს უცხო ენაზე ინფორმაციის მიღება ხშირად იმაზე ადრე გვიხდება, ვიდრე სრულ ფლექსიურ პარადიგმას გავეცნობოდეთ. ასეთი ლექსიკონები ონლაინ სახით არსებობს ინგლისურ და გერმანულ ენებში, სადაც თითოეულ სალექსიკონო ერთეულს ახლავს გრამატიკული დახასიათება. კერძოდ, მეტყველების ნაწილის გრამატიკული კვალიფიკაცია უშუალოდ მოსდევს სიტყვის ტრანსკრიფციას. შემდეგ, ყოველ მეტყველების ნაწილს ერთვის სათანადო გრამატიკული დახასიათება. აქ შეგიძლიათ მოძებნოთ ნებისმიერი სიტყვა ფორმის შესაბამისი სალექსიკონო ერთეული, ასევე სრული ფლექსიური პარადიგმა, (ლექსიკური) მნიშვნელობა, თეზაურუსი (სინონიმები, ანტონიმები) (გრამატიკული ლექსიკონი, [canoo.net](http://lexiconews.blogspot.com/2010/02/blog-post.html), <http://lexiconews.blogspot.com/2010/02/blog-post.html>).

გარდა იმისა, რომ ზემოჩამოთვლილი ლექსიკონების არარსებობა სერიოზულ პრობლემებს უქმნის მთარგმნელს ესოდენ რთული საქმიანობის განხორციელებაში, მთარგმნისას სამწუხაროდ, სხვა პრობლემებსაც ვაწყდებით: მაგალითად, გადასახედი და დასახვეწია თურქი ლექსიკოგრაფების მიერ შედგენილი ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონები, სადაც საკმაოდ ხშირია სიტყვათა სემანტიკური მნიშვნელობების დამახინჯების ფაქტებიც, რომელიც ენის არასაფუძვლიანი ცოდნით, ზოგ შემთხვევაში კი ფონური ცოდნის არქონითაა გამოწვეული.

ენის სისწორე და სიმდიდრე პირდაპირ პროპორციულადაა დაკავშირებული ეროვნულ კულტურასთან. პირველ რიგში ეროვნულ სულზეა დამოკიდებული თვით პრინციპი ენის განვითარებისა. კულტურული მდგომარეობა ერისა ვრცელდება ენობრივ სტრუქტურასა და მისი ფორმის განვითარებაზე.

როგორც ცნობილია, საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები მაშინვე ენაში ჰპოვებს ასახვას, რის შედეგადაც ენაში ჩნდება ახალი სიტყვები, ჩნდება უამრავი ახალი ეკონომიკური თუ კულტუროლოგიური უნივერსალია.

ამ უნივერსალიების სხვა ენისა და სხვა ფონური ცოდნის მატარებლისთვის გაგებინების ერთადერთ საშუალებად ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკოგრაფია გვევლინება, რომელიც ლექსიკოგრაფიის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონები შეგვიქმნიან წარმოდგენას ენის კონცეპტუალურ სამყაროზე, იმ უზარმაზარ კულტუროლოგიურ სივრცესა სულიერ ფასეულობებზე, რომელიც მოცემული ენის ენობრივ კოლექტივთანაა შესისხლხორცებული. მსგავსი ლექსიკონები მეტად დაეხმარება მთარგმნელს, რათა მისმა ნათარგმმა ტექსტმა წყარო ტექსტის მსგავსი ზეგავლენა მოახდინოს მკითხველზე, რადგანაც თარგმანის ადრესატი სხვა კულტურისა და განსხვავებული ფონური ცოდნის მატარებელია.

ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონების შექმნის ამოცანას მივყავართ თეზაურუსული, იდეოგრაფიულ-განმარტებითი ლექსიკონის კვალზე, რომელიც, როგორც ს. ნიკიტინა ამბობს, „კულტურულ-ენობრივი სურათის აღმოჩენის ინსტრუმენტად“ გვევლინება.

თეზაურუსი, მოცემული ენის ლექსიკური ერთეულების ამომწურავი მარაგით, ფოლკლორული და მეცნიერული ტექსტების მასალის საფუძველზე საშუალებას მოგვცემს კარგად გავიაზროთ და აღვიქვათ დაპირისპირებული ენის სიტყვათა როგორც სემანტიკური, ასევე სიტყვის მიღმა არსებული უზარმაზარი ფონური სამყარო, რომელიც ერის ენობრივ და სულიერ სამყაროს წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფია ზემოჩამოთვლილ ლექსიკონთა სახეობების მწვავე დეფიციტს განიცდის. არსებული ჩამორჩენის დაძლევა ლექსიკოგრაფების მხრიდან სერიოზული პროექტების დასახვასა და მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს, ვინაიდან კარგად განვითარებული ლექსიკოგრაფია წარმატებული თარგმანისა და შესაბამისად, ორ ერს შორის არსებული ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობის გაღრმავების წინაპირობაა.

2.2. განმარტებითი ლექსიკონების ანალიზი

ლექსიკონების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტიპად განმარტებითი ლექსიკონები გვევლინება. განმარტებითი ლექსიკონების მეშვეობით ხორციელდება ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – მშობლიური ენის აღწერის, ნორმალიზაციისა და დოკუმენტირების ფუნქცია. XVIII საუკუნიდან მშობლიური ენის აღწერისა და ნორმალიზაციის ფუნქცია იქცა ლექსიკოგრაფიის მთავარ ამოცანად ევროპის ქვეყნებში (margaliti.com/members/semasiology/lecture6.pdf).

ქრონოლოგიურად, ხშირ შემთხვევაში, განმარტებითი ლექსიკონების შექმნას ორენოვანი ლექსიკონების შედგენა უსწრებდა წინ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან განმარტებითი ლექსიკონების შექმნისათვის საჭიროა შესაბამისი პირობები: უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული წერილობითი ენის განვითარების მაღალი დონე, რაც აუცილებელი პირობაა სიტყვის მნიშვნელობის აღწერისათვის, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თვით მოცემული ენობრივი კოლექტივის საჭიროება ამგვარ ლექსიკონში. განმარტებითი ლექსიკონების შედგენა მეტყველებს მოცემულ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარების მაღალ დონეზე, ენობრივი კოლექტივის ლინგვისტურ “სიმწიფეზე”. აღსანიშნავია, რომ მრავალი ენის პირველ განმარტებით ლექსიკონებში დასტურდება რიგი განმარტებებისა, რომლებიც სხვა, უფრო განვითარებული ლიტერატურული ენის საშუალებებითაა შესრულებული (მაგალითად, ევროპული ენების პირველი ლექსიკონები შეიცავს სიტყვების განმარტებებს ლათინურ ენაზე; აზიის, ამერიკის, აფრიკის ხალხთა ლექსიკონებში არის განმარტებები ლიტერატურულ ევროპულ ენებზე) (margaliti.com/members/semasiology/lecture6.pdf).

როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდი განმარტებითი ლექსიკონის შექმნის უპირველესი მიზანია მშობლიური ენის ლექსიკური ფონდის მაქსიმალურად სრულად აღწერა და დოკუმენტირება. სიტყვის ეტიმოლოგიის, წარმომავლობის ანალიზს დიდ განმარტებით ლექსიკონებში დიდი ყურადღება ეთმობა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც გვაწვდის ინფორმაციას სიტყვების ეტიმოლოგიაზე. მაგ.: ჩანთა [თურქ. ჩანთა]. აღნიშნული ეტიმოლოგიით ირკვევა, რომ ქართული სიტყვა ჩანთა თურქული წარმომავლობისაა, ე.ი. თურქული ენიდანაა ქართულ ენაში შემოსული. თარჯიმანი [არაბ. თარჯუმან]. ეს ჩანაწერი კი ცხადყოფს, რომ ქართული

სიტყვა თარჯიმანი არაბული წარმოშობისაა, არაბული ენიდანაა შემოსული ქართულ ენაში (margaliti.com/members/semasiology/lecture6.pdf).

განმარტებით ლექსიკონებში დიდი ყურადღება ეთმობა საილუსტრაციო მასალას, ანუ საილუსტრაციო ფრაზებს, წინადადებებს, რომლებიც ადასტურებენ სიტყვის ამა თუ იმ მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს. განმარტებითი ლექსიკონის შექმნისათვის აუცილებელია სიტყვათა სიმფონიის შექმნა, რაც გულისხმობს ამა თუ იმ სიტყვის კონტექსტების, ანუ საილუსტრაციო ფრაზებისა და წინადადებების ამოკრებას წერილობითი ძეგლებიდან, ლიტერატურული და სამეცნიერო ნაწარმოებებიდან, დიალექტური თუ ზეპირი წყაროებიდან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან. განმარტებითი ლექსიკონების შემდგენლები მოცემული სიტყვის ხმარების პრაქტიკულად ყველა შემთხვევას აანალიზებენ უძველესი წერილობითი ძეგლებიდან დღემდე. ესოდენ დიდი მასალის მეცნიერული დამუშავება ლექსიკოგრაფს საშუალებას აძლევს სრულად გააანალიზოს და ლექსიკონში აღწეროს სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა, მისი ყველა მნიშვნელობა, ყველა შესიტყვება, ყველა სინტაქსური მოდელი, ყველა ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა.

მაგალითისათვის მოვიყვან რამდენიმე საილუსტრაციო ფრაზას ქართული სიტყვისათვის „გული“

1. კაკლის გული, თესლის გული
2. თბილისი – საქართველოს გულია
3. გადაეშვა ზღვის გულში
4. გული დაუდო
5. გული გაუტყდა, გული დაეჩაგრა და ა.შ.

თუ არა ეს კონტექსტები, ძნელი იქნებოდა სიტყვა “გულის” იმ მნიშვნელობების გამოყოფა, რომელიცაა:

1. მცენარის შიგნითა რბილი ნაწილი;
2. რისამე ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი ადგილი;
3. რისამე შუა / ცენტრალური ადგილი;
4. ყურადღება;
5. გრძნობები, ემოციები

და სხვა (margaliti.com/members/semasiology/lecture6.pdf).

განმარტებითი ლექსიკონი - ეს არის გამოცემა, რომელიც მოიცავს ტექსტის ყველა ატრიბუტს, განმარტავს სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას და განსაზღვრავს მის არსს. განმარტებითი ლექსიკონის შედგენისას, ყველაზე მნიშვნელოვანი

ფაქტორია სწორი აღწერა და განმარტება სიტყვისა და მისი გადმოცემის ნათელი, ვრცელი ფორმულირება, გასაგები მკითხველისათვის (Бацаева, 2015:12).

ქართული ენის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონი გასული საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში შეიქმნა დიდი ქართველი ენათმეცნიერის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქტორობით. ლექსიკონის შედგენაზე და რედაქციაზე მუშაობდნენ ქართული ენათმეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორცაა: გ. ახვლედიანი, ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ნ. კეცხოველი, ვ. კუპრაძე, ქ. ლომთათიძე, გ. წერეთელი და სხვა. ლექსიკონში განმარტებულია 113 000-მდე სიტყვა, რაც, როგორც ლექსიკონის წინასიტყვაობაშია ნათქვამი, არ ამოწურავს ქართული ენის ლექსიკურ სიმდიდრეს.

ლექსიკონის I ტომი 1950 წელს გამოვიდა, ხოლო ბოლო, მერვე ტომი - 1964 წელს. ლექსიკონის პირველი ტომის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ახალი სალიტერატურო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის დანიშნულებაა აღნუსხოს და განმარტოს ყველა სიტყვა, რაც კი არის დამკვიდრებული ამჟამად სიტყვაკაზმულ მწერლობაში, სამეცნიეროსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, - ერთი სიტყვით, წიგნის მეტყველებაში. ... ლექსიკონი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქართული სამწერლობო ენის ინტენსიური ზრდა-განვითარების პროცესს. განმარტებითი ლექსიკონი უკუფენს ენისა და - ენის მეშვეობით - კულტურის მდგომარეობას; ამდენად იგი ეპოქის დოკუმენტია“. გარდა სალიტერატურო ენისა, ლექსიკონში ვრცელი ადგილი უკავია დიალექტურ მასალას. „კუთხური ლექსიკა შენაკადია ჩვენი სალიტერატურო ენის სიტყვობრივი მარაგისა და ის მეცნიერების მიერ სამართლიანადაა მიჩნეული მის ამოუწყვეტ რეზერვად. ისევე, როგორც შენაკადი ასაზრდოებს მდინარეს, ადგილობრივი (დიალექტური) ლექსიკა ასაზრდოებს სალიტერატურო ენის საუნჯეს და მისი განუწყვეტელი გამდიდრების უშრეტ, სათავე კრიალა წყაროს წარმოადგენს“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ახლებურადაა გადაწყვეტილი ქართული ზმნის წარმოდგენის საკითხი. „ტრადიციულად ქართულ ლექსიკონებში ზმნა საწყისის (სახელზმნის) სახითაა შეტანილი. ქართული ზმნის სიმდიდრე ქართულ ლექსიკონში არ გამოჩნდება, თუ ზმნის წარმომადგენლად ნაზმნარი არსებითი სახელი (მოქმედებისა) გვექნება.

განმარტებითი ლექსიკონი უარყოფს ამ ტრადიციას
(margaliti.com/members/semasiology/lecture6.pdf).

ზმნა აქ ნაჩვენებია არა მხოლოდ საწყისის ფორმით, არამედ პირის, ქცევის, გვარის, კონტაქტის, დინამიკურობა-სტატიკურობის მიხედვით. ზმნის ლექსიკურ ერთეულად კომისიამ მიიღო აწმყოს (მყოფადის) მესამე პირი ყველა ზემოჩამოთვლილი წარმოებისა: თესავს, ითესავს, უთესავს, ათესვინებს, ეთესება, ითესება, თესია, უთესია“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის გამოცემა დაიწყო 2008 წელს. 2010 წელს გამოქვეყნდა ახალი რედაქციის მეორე ტომი. იმედია, ახალი რედაქციის რვატომეულის გამოცემა გაგრძელდება და რამდენიმე წელიწადში დასრულდება. ლექსიკონის ახალ რედაქციას ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ არაბული.
(margaliti.com/members/semasiology/lecture6.pdf)

რაც შეეხება თურქულ განმარტებით ლექსიკონებს, თურქული ენის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით შექმნილმა თურქული ენის საზოგადოებამ თავზე აიღო ლექსიკონების შექმნაც და თურქული ლექსიკური მარაგის დასაფიქსირებლად შეგროვება-მოდებითი საქმეების წარმოებაშიც დიდი წვლილი შეიტანა. თურქული ენის საზოგადოებაში მოღვაწე, ლექსიკოგრაფ მეჰმედ ალი ადაქაის მომზადებული, 2 ტომისგან შემდგარი „Türkçe Sözlük - თურქული ლექსიკონი“ (1983), მე-20 საუკუნის ახალი თურქული ენის ლექსიკური მარაგის სიმდიდრითა, ხოლო ბოლო გამოცემა კი სიტყვის გამოყენების მზა მაგალითებით მოცემული განმარტებებით, ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსიკონებიდან ერთ-ერთია (Bingöl, 2006:8).

უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომ წლებში გამოცემული ლექსიკონები, აშკარად ამ ლექსიკონის საფუძველზე იქმნება.

თანამედროვე, წიგნად დაბეჭდილ თურქულ განმარტებით ლექსიკონთაგან, თურქული ენის საზოგადოების მიერ „Türkçe sözlük“-ის მეათე გამოცემაა აღსანიშნავი, რომელიც პირველი გამოცემის 60 წლისთავზე გამოიცა. პირველი გამოცემა კი მოხდა 1945 წელს. 2005 წელს გამოიცა თურქული ლექსიკონის მე-10 გამოცემა, რომელშიც წინამორბედი გამოცემების მსგავსად დეტალურადაა ასახული ენაში მიმდინარე ცვლილებები. თურქული ლექსიკონის ლექსიკური მარაგი

სიტყვებით, ტერმინებით, გამოთქმებით, ნაწილაკებითა და სიტყვათა მნიშვნელობებით 104.481 ერთეულისაგან შედგება. 63.818 სამიბელი სიტყვითა და 13.589 სტატია (განმარტებებით) სულ 77 407 სიტყვას შეიცავს. ამ სიტყვათაგან 45.005 არსებითი სახელია, 11.305 ზედსართავი, 2.644 ზმნიზედა, 87 ნაცვალსახელი, 33 წინდებული, 289 შორისდებული, 53 კავშირი, 6.441 ზმნა. სიტყვათა განმარტება მოცემულია თურქული ლიტერატურიდან შერჩეული 29.040 წინადადება-მაგალითით. ლექსიკონის ტექსტი მთლიანად 1.236.484 სიტყვისაგან შედგება (Türk Dil Kurumu 2015:11).

ვრცელი კონტექსტური განმარტებებით, სიტყვის გამოყენების მზა მაგალითებით, გამოთქმებით, ფრაზეოლოგიზმებით, სიტყვის ლიტერატურაში გამოყენებული ვრცელი ამონარიდებით, თურქული ენის საზოგადოების მიერ გამოცემულ „Türkçe sözlük“-ს მთარგმნელისთვის უზარმაზარი დახმარების გაწევა შეუძლია.

ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებს შორის გამოირჩეული ადგილი უჭირავს ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონს ისტორიულ პრინციპებზე ოცტომად. ლექსიკონის ბეჭდური ვერსია 21 730 გვერდს მოიცავს. ლექსიკონში განმარტებულია 301,100 სიტყვა, 157,000 შესიტყვება და დერივატი, 169,000 ფრაზა, რაც მთლიანად 616,500 სიტყვა-ფორმას წარმოადგენს. ლექსიკონში მოცემულია 137,000 წარმოთქმა, 249,300 ეტიმოლოგია, 577,000 მითითება და 2,412,400 საილუსტრაციო ფრაზა და წინადადება.

დიდი ოქსფორდის ლექსიკონის შექმნის იდეა დაიბადა 1857 წელს ლონდონში, ფილოლოგიური საზოგადოების შეკრებაზე. ამ მიზნით შეიქმნა კომიტეტი, რომელიც შედგებოდა ჰერბერტ კოლრიჯის, რიჩარდ ტრენჩისა და ფრედერიკ ფურნივალისაგან (Herbert Coleridge, Richard Trench, Frederick Furnivall). კომიტეტის მუშაობის შედეგად გადაწყდა ახალი ლექსიკონის შედგენა და შეიქმნა მისი შედგენის ლექსიკოგრაფიული პრინციპები – ლექსიკონი უნდა შედგენილიყო ისტორიული პრინციპების გათვალისწინებით, საილუსტრაციო მასალა უნდა ამოკრებილიყო ინგლისურენოვანი წყაროებიდან წერილობითი ძეგლების ჩათვლით. ასეთი მასშტაბური სამუშაოსათვის საჭირო იყო ათასობით ტექსტის დამუშავება, ამობარათება, სიტყვათა სიმფონიის შექმნა. ფილოლოგიურმა საზოგადოებამ მიმართა მთელს ინგლისს და შედეგმაც არ დააყოვნა, ასობით მოხალისე აბარათებდა სიტყვებს

ლიტერატურული წყაროებიდან და უგზავნიდა ფილოლოგიურ საზოგადოებას (margaliti.com/members/semasiology/lecture6.pdf).

დიდი ოქსფორდის ლექსიკონზე მუშაობა 70 წელს გაგრძელდა, იგი წლების მანძილზე გამოდიოდა რვეულებად. ბოლო 125-ე რვეული 1928 წელს გამოვიდა და მას დაუყოვნებლივ მოჰყვა სრული ლექსიკონის გამოცემა იმავე წელს. ოქსფორდის ლექსიკონზე მუშაობა კვლავ გრძელდებოდა და გრძელდება დღესაც, გამოვიდა ლექსიკონის რამდენიმე გადამუშავებული ვერსია. გასული საუკუნის 80-იან წლებში ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაიწყო მუშაობა ლექსიკონის კომპიუტერული ვერსიის შექმნაზე. დღეისათვის გამოცემულია დიდი ოქსფორდის კომპიუტერული ვარიანტის მესამე ვერსია, შექმნილია ლექსიკონის ონლაინ-ვერსიაც (margaliti.com/members/semasiology/lecture6.pdf).

პროექტი Deutscher Wortschatz წარმოადგენს გერმანული ენის უნივერსალურ ბანკს, ესაა კომპლექსური ელექტრონული მეგარესურსი, რომელიც აერთიანებს ლექსიკოგრაფიული ბაზის ტექსტურ კორპუსს ონლაინ გრამატიკასთან. მისი გამოყენება ხდება სხვადასხვა ენობრივი მოვლენების შესწავლის დროს, მკვლევარის წინ იმლება უსაზღვრო შესაძლებლობები, მნიშვნელოვნად იზრდება რეზულტატთა ობიექტურობის შედეგები. ლექსიკონის მოცულობა შეიცავს 9 მილიონზე მეტ სიტყვა სტატიას და დაახლოების 160 მილიონს წინადადებას (2 მილიარდზე მეტ სიტყვათა შეთანხმებას). ასევე რაც მთავარია, უნდა აღნიშნოს ინტერნეტის მიშვეობით სამეცნიერო და საგანმანათლებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით, ლექსიკონის ბაზასთან თავისუფალი ხელმისაწვდომობა.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ამ ლექსიკონის სიტყვა სტატია არსებითად განსხვავდება ტიპური განმარტებითი ლექსიკონის სიტყვა-სტატიისაგან. აქ მოცემულია საძიებო სიტყვის მრავალი სახის ლინგვისტური ინფორმაცია: მისი გამოყენების რაოდენობა და სიხშირე, სიტყვის მორფოლოგიური შემადგენლობა, მისი გრამატიკული მონაცემები: გრამატიკული ნაწილის დასახელება, რომელსაც მოცემული სიტყვა ეკუთვნის (საუღლებელი და საბრუნებელი სიტყვის ფლექსიური ფორმები), სინონიმები და სემანტიკური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის საძიებო სიტყვა. სიტყვა სტატიაში მოყვანილია ასევე სიტყვათაშეთანხმება და კონტექსტები, რომელიც ლუსტრაციას უკეთებს სიტყვის ფუნქციონირებას და მის დისტრიბუციას. ლექსიკონის სიტყვა-სტატიაში წარმოდგენილი მორფოლოგიური,

სინტაქსური, სემანტიკური, პრაგმატული, სტატისტიკური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სემანტიკის სფეროში ჩატარებული კვლევებისთვის სინონიმების, ანტონიმების და ჰიპონიმების შესწავლის მიზნით და სხვადასხვა გრამატიკული და მორფოლოგიური ანალიზის ჩასატარებლად, ასევე უცხოელებისთვის გერმანული ენის შესასწავლად (Адамович, 2015:11).

თურქულ განმარტებით ონლაინ ლექსიკონთაგან აღსანიშნავია თურქული ენის საზოგადოების მიერ შექმნილი Büyük Türkçe Sözlük-ის სახელწოდებით ცნობილი ონლაინ ლექსიკონი (დიდი თურქული ონლაინ ლექსიკონი), სადაც საყოფაცხოვრებო ლექსიკის გარდა მოცემულია სამეცნიერო, ხელოვნების და სპორტის ტერმინები, ადგილისა და საკუთარი სახელები, დიალექტური ნაირსახეობები, გამოთქმები.

დიდი თურქული ლექსიკონის მონაცემთა ბაზის ონლაინ რეჟიმში გადაყვანა, მრავალი წლის განმავლობაში ასობით ადამიანის დიდი ძალისხმევის შედეგად მონაცემთა შეგროვების საფუძველზე, პროფესორების შუქრუ ჰალუქ აქალლინის, რეჯეფ ტოფარლის, იუჯელ დაღლისა და შ. ბილალ ჩავუშოლუს მიერ განხორციელდა. ლექსიკონი სიტყვის საკმაოდ ვრცელი თურქული განმარტების გარდა, რომელიც ობიექტის დეტალურ აღწერას ემსახურება, საკმაო მოცულობით კონტექსტურ მაგალითებს, ფრაზეოლოგიზმებს, გამოთქმებს მოიცავს. რიგ შემთხვევებში არის მოცემული მისი არაბული და ოსმალური განმარტებები. ძირითადი განმარტების ქვემოთ, მოცემულია სიტყვის სინონიმური განმარტებები მაგალითებითურთ. გარდა ამისა, ყოველ განმარტებას მითითებული აქვს წყარო, საიდანაც სიტყვა იქნა გამოყენებული. მაგალითისთვის ავიღოთ სიტყვა:

bağlamak

(-i, -e) 1. Bir şeyi bir yere veya bir şeye tutturmak: *Gemiyi iskeleye bağlamak.* 2. Dügümllemek: *İpi ipe bağlamak.* 3. (-i) Yara ilaç koyup bezle sarmak: *Yarayı bağlamak.* 4. (-i) Denk yapmak, paket yapmak: *Yatakları bağlamak.* *Eşyayı bağlamak.* 5. Anlaşma yapmak: *İşleri bugün sözleşmeye bağladı.* 6. (-i) Uyulması zorunlu olmak: *Anayasa hükümleri, yasama, yürütme ve yargı organlarını, idare makamlarını, diğer kuruluş ve kişileri bağlayan temel hukuk kurallarıdır.* - Anayasa. 7. (-i, -e) Ekleme, bir araya getirmek, birleştirmek: *Şu sonsuz mavilikte var mıydı onun eşi? / Kim söndürebilirdi o muhteşem güneşi?* -E. B. Koryürek. 8. Başka bir işle uğraşamaz durumda olmak: *Bu iş beni bağladı.* 9. (-i) Sona erdirmek, bitirmek, tamamlamak. 10. (-i) Geçiş engellemek: *Bütün yolları bağlamışlar.* 11. (-i) Birini söz veya yazı ile bağlamak, taahhüt etmek, angaje etmek. 12. (-i) Büyü, muska vb.nin aracılığıyla birinin birtakım isteklerini veya yetkinliğini engellemek, yok etmek. 13. *mec.* Gönlünü kazanmak: *Bu davranışınız beni size bağladı.* 14. *mec.* Birinde bir şeye karşı ilgi, istek uyandırarak o şeye ilgi, yakınlık duymasını sağlamak. 15. *mec.* Bütün ilgisini bir yerde yoğunlaştırmak: *Kızım, ne yapsak da seni bu eve bağlayabilsek acaba?* -R. N. Güntekin.

Güncel Türkçe Sözlük

bağlamak

1. Akan suyun önüne set yapmak. 2. Akışı istenilen tarafa çevirmek, yöneltmek.

Türkiye Türkçesi Ağızları Sözlüğü

bağlamak

1. Büyülemek, aldatmak. 2. Erkeği büyüleyerek cinsî bakımdan iktidarsız kılmak. 3. Kısmetine manî olmak.
Türkiye Türkçesi Ağızları Sözlüğü

bağlamak

Büyülemek.
Türkiye Türkçesi Ağızları Sözlüğü

bağlamak

Oluşturmak, tamamlamak."pağlavayı bağladuh."
Türkiye Türkçesi Ağızları Sözlüğü

bağlamak *İng.* attach (hardware)
BSTS / Bilgisayar Terimleri Karşılıklar Kılavuzu

bağlamak *İng.* bind
BSTS / Bilgisayar Terimleri Karşılıklar Kılavuzu

bağlamak *İng.* connect
BSTS / Bilgisayar Terimleri Karşılıklar Kılavuzu

bağlamak *İng.* link
BSTS / Bilgisayar Terimleri Karşılıklar Kılavuzu

bağlamak

ilzâm etmek, borçlandırmak.
BSTS / Medeni Hukuk Terimleri Sözlüğü [1966](#)

bağlamak *Osm.* Tezviç edilmiş devreler
BSTS / Teknik Terimler - Elektroteknik [1949](#)

bağlamak

Karşılaşma sırasında bir saz ozanının, karşısındakinin sorduklarını bilmemesi ya da aynı uyakla karşılık verememesi, bk. karşıberi.
BSTS / Yazın Terimleri Sözlüğü [1974](#)

bağlamak

Değirmenin çalışmasını durdurmak. (Köprü *Şarkikaraağaç -Isparta)
BSTS / Zanaat Terimleri Sözlüğü [1976](#)

bağlamak

1. Kapamak. 2. bk. kapu bağlamak 3. Durdurmak, alıkoymak, menetmek. 4. Sarmak. 5. Hasretmek, tahsis etmek, mütevakkıf bulmak. 6. Hasıl etmek.
Tarama Sözlüğü [1963](#)

Bağlamak *Fr.* Coupler
BSTS / Teknik Terimler - Elektroteknik [1949](#)

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი თურქული ლექსიკონის მოცულობა 616.767 სიტყვას შეადგენს. იგი, ზემოხსენებული ლექსიკონების მსგავსად, ვერც მოცულობით და ვერც

საძიებო სიტყვის ფლექსიურ ფორმათა და სიტყვის გამოყენებითი არეალის მრავალფეროვნებით გამოირჩევა, თუმცა როგორც შესავალ ნაწილში წერია, ლექსიკონს დღემდე არა აქვს დასრულებული ფორმა და მონაცემთა ბაზის ახალ-ახალი სიტყვა-გამოთქმებით შევსება დღემდე მიმდინარეობს.

2.3.ორენოვანი ლექსიკონების სტრუქტურა და მათი ანალიზი

დღეს, ტექნოლოგიური ევოლუციის პერიოდში, ლექსიკონის მზარდ მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესაბამისად, მაშინ, როცა ენის შესწავლის უაღრესად რთულ და სისტემატიურ პროცესს მნიშვნელოვნად ამრავალფეროვნებს ვიზუალური და აუდიო სემიოტიკური საშუალებები, ჩნდება სერიოზული პრეტენზია თანამედროვე ენციკლოპედიური სახის ონლაინ ლექსიკონზე, რომელიც შესასწავლი ენის ენობრივი კოლექტივის ლექსიკური მარაგისა და კულტურის შესახებ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას იძლევა.

ასეთი ლექსიკონია მაგალითად დიდი რუსულ-გერმანული ლექსიკონი (PHC). კონცეპცია ნებისმიერი ლექსიკონისა განსაზღვრავს მის საგანს და ფუნქციას, მის მომხმარებელთა წრეს, მის ლექსიკურ ბაზასა და მოცულობას. დიდი რუსულ-გერმანული ლექსიკონის (PHC-ის) პროექტი ითვალისწინებს მოიცვას რუსული ენის მაქსიმალური მოცულობა. ლექსიკონი ქვეყნდება 2003 წლიდან მაინცის ლიტერატურის და მეცნიერების აკადემიაში, ხოლო მისი კონცეფცია შემუშავებული იყო 1980-იანი წლების ბოლოს. როგორც რეცეფციული ლექსიკონი, PHC-ი უნდა დაეხმაროს გერმანულენოვან პროფესიონალ მომხმარებელს (ფილოლოგებს, მთარგმნელებს) ყველა ჟანრის რუსულენოვანი ტექსტების ამოხსნაში, დაწყებული XIX საუკუნის რუსული ლიტერატურიდან დამთავრებული დღემდე. ლექსიკონები გამოიყენება როგორც ორენოვანი კომუნიკაციის, ასევე მეცნიერული კვლევების დროს. ამის გარდა, PHC-ი მისი მოცულობის წყალობით საფუძვლად უნდა დაედოს შედარებით პატარა მოცულობის, განსაკუთრებით კი სასწავლო ლექსიკონების შექმნას.

ზემოხსენებულ კონცეპტუალურ ამოცანებს შეესაბამება სიტყვების რაოდენობა (250 000) და დიდი ლექსიკონური ბაზა. ლიტერატურული ლექსიკური მარაგის გარდა, სიტყვათა ბაზაში შერჩეულია სპეციალური ლექსიკა, რომელიც გვევლინება

რელევანტურად საერთო კომუნიკაციისთვის (მედიცინა, სპორტი, კომპიუტერი, ინტერნეტი და ა.შ.), ასევე ისტორიზმები და მოძველებული სიტყვები, სოციოლექტური და დიალექტური ლექსემები, ობსცენიზმებიც (ჟარგონული), ანუ ლექსიკური შრეები. გარდა ამისა, PHC-ის სიტყვა სტატიებში მოყვანილია ფრაზეოლოგიზმები და მრავალსიტყვიანი არაიდომატური გამონათქვამები.

მოცემული პარამეტრების მიხედვით, შემუშავებულია PHC-ის აბსტრაქტული მიკროსტრუქტურა, რომელშიც მთავარ როლს თამაშობს წყარო ენის ლექსემის ეკვივალენტების შერჩევა და მისი სემანტიკური და პრაგმატულ განმარტებები. ამასთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოცემული სიტყვის მომხმარებლისთვის ფილიაციის გამჭვირვალობას. მოცემულ სიტყვას (მის ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტებს) ეძლევა გრამატიკული დახასიათება, გამოყენების მაგალითები, წარმოთქმის თავისებურებები, ლიტერატურული, გრამატიკული, აქცენტოლოგიური და ორფოეპიული ანუ წარმოთქმითი ვარიანტები, ასევე, ილუსტრაციული მასალის სახით, თავისუფალი სიტყვათა შეთანხმება. PHC-ის რეცეფციული ხასიათის მიუხედავად, ადრესატთა წრისთვის, მოცემული ინფორმაცია იქნება მოთხოვნადი და მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ტექსტების აღქმას და გამოყენებული ენობრივი საშუალებების ნორმატიულ ნიშნებს. ამის გარდა, მნიშვნელოვანია, რომ მოცემული სიტყვა დახასიათებული იყოს თითოეული მეტყველების ნაწილის საერთო პარამეტრის აბსტრაქტული მიკროსტრუქტურის შესაბამისად (Беленчикова, 2015:14).

საერთოდ, რეცეფციული ბეჭდური ლექსიკონი ხასიათდება სიტყვათა ჩამონათვალის რაოდენობის შეზღუდვით. PHC-სთვის ეს შეზღუდვა არ არსებობს, რადგან თავიდანვე დაგეგმილი იყო როგორც ელექტრონული ლექსიკონი, თუმცა პატარა ტირაჟით (200 ეგზ.) გამოიცემა ბეჭდური სახით. 2010 წლიდან ლექსიკონი მუშავდება ონლაინ რეჟიმში ABBYY Lingvo™ Content-ის რედაქციულ სისტემაში. მონაცემთა ბაზის საფუძველზე გამოიცემა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ვერსია ინტერნეტ პუბლიკაციისთვის. დღევანდელი მდგომარეობით, ლექსიკონური მასალები პირველი ტომისა ქვეყნდება ელექტრონულად და ამავდროულად უზრუნველყოფილია მათი შენახვა სამომავლო შესაძლო მოთხოვნების შესაბამისად დასამუშავებლად (Беленчикова, 2015:15).

ორენოვანი ლექსიკონების აღწერისას, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ქართული თანამედროვე ლექსიკოგრაფიის სულისჩამდგმელის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი „ლექსიკოგრაფიული ცენტრი“-ს სამეცნიერო ხელმძღვანელის თინათინ მარგალიტაძის ინგლისურ-ქართულ ლექსიკონს. ამ ლექსიკონის გამოშვება უდიდესი მოვლენაა ქართულ ლექსიკოგრაფიაში, რადგან ეს პირველი დიდი ლექსიკონია, რომელიც 160 000 სიტყვას მოიცავს.

როგორც წინასიტყვაობაში წერია, ლექსიკონი განკუთვნილია ინგლისური ენის სპეციალისტებისათვის - პედაგოგებისათვის, ენათმეცნიერებისათვის, ლიტერატორებისათვის, მთარგმნელებისათვის და ა. შ. რომლებიც ინგლისურ ენას იყენებენ ყოველდღიურ პრაქტიკულ თუ სამეცნიერო მუშაობაში და რომლებიც ინგლისურენოვან ლიტერატურას კითხულობენ დედანში. ლექსიკონი ასევე განკუთვნილია სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის, ვინაიდან ლექსიკონში დიდი რაოდენობითაა შეტანილი სხვადასხვა დარგის - ძირითადად სამეცნიერო-ტექნიკური, აგრეთვე ბიზნესის, ხელოვნების და სხვ. ტერმინოლოგია. ლექსიკონი არცთუ ისე მცირე სამსახურს გაუწევს ქართული ენით დაინტერესებულ უცხოელებსაც.

ინგლისურ-ქართულ ლექსიკონი გამოდის ნაკვეთებად, რვეულების სახით. ლექსიკონის სიტყვანი ძირითადად აღებულია ი. გალპერინის საერთო რედაქციით გამოცემული დიდი ინგლისურ-რუსული ლექსიკონიდან. სიტყვა-სტატიების აგებულებაც მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნულ ლექსიკონს ეყრდნობა, მაგრამ გადამუშავებული და შევსებულია ოქსფორდის, უებსტერის, ლონგმენის, კობილდის და სხვა ლექსიკონებზე დაყრდნობით.

ლექსიკონში მოცემულია წინასიტყვაობა, ინფორმაცია ლექსიკონის შექმნის და მოცულობის შესახებ, სადაც ვრცლადაა განმარტებული ლექსიკონური სიტყვა-სტატიის სტრუქტურული აგებულება: მართლწერის წესების, სიტყვაზე თანდართული ტრასკრიფციის, მნიშვნელობათა ნუმერაციისა და სასვენი ნიშნების, სიტყვის გრამატიკული დახასიათების: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი

სახელების, ზმნების, დროისმიერი, სტილისტიკური, ადგილისმიერი, დარგობრივი კვალიფიკაციების შესახებ საკმაოდ დიდი მოცულობის მითითებანი, ლექსიკური ერთეულების თარგმნითი თავისებურებების, არსებული სიმბოლური ნიშნების შესახებ უზარმაზარი ინფორმაცია და ქართული შემოკლებანი.

რაც შეეხება ლექსიკური ერთეულის საილუსტრაციო მასალას, ლექსიკონურ სტატიაში ვრცლადაა მოცემული სიტყვის გამოყენების მაგალითები, შესიტყვებები, ფრაზეოლოგიზმები, ტერმინები, სლენგები და ა.შ. რითაც ქართველ მომხმარებელს ინგლისურენოვანი ყველა ჟანრის ტექსტების გაშიფრვის საშუალება ეძლევა.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ლექსიკონს თავისი მოცულობითა და უნივერსალურობით ნებისმიერი სფეროთი დაინტერესებული ადრესატისათვის უზარმაზარი სამსახურის გაწევა შეუძლია. თინათინ მარგალიტაძის მშობლიური ენისადმი უზარმაზარი სიყვარული და ერთგულება, მისი შემოქმედებითი ღვაწლი მისაბამი უნდა გახდეს ამ სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისათვის, რათა ქართველ მომხმარებელს საშუალება მიეცეს ამგვარი ტიპის ქართულ-სხვა უცხოენოვანი ლექსიკონით სარგებლობისა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი ინტერესის სფეროს თურქულ-ქართული ლექსიკოგრაფია წარმოადგენს. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მარგალიტაძის რედაქტორობით გამოცემული ინგლისურ-ქართული ლექსიკონის მსგავსი ნაშრომებით ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფია ვერ დაიკვეხნის. უფრო მეტიც, თურქული და ქართული ენის შესმწავლელები, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, თურქულ-ქართული ლექსიკონების სავალალო მდგომარეობას მეტად მტკივნეულად განიცდიან.

როგორც ვიცით, საქართველო საბჭოთა კავშირში შემადგენლობაში (მე-20 საუკუნის 20 წლები) შევიდა, მოექცა რუსული ენის გავლენის ქვეშ, სწორედ ესაა მიზეზი, რომ ლიტერატურის თარგმანი მხოლოდ რუსულ ენაზე ხორციელდებოდა, ლექსიკონებიც, შესაბამისად, რუსულ-უცხოურ ენაზე გამოიცემოდა.

მე-20 საუკუნის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლამ და საზღვრების გახსნამ, თურქეთ-საქართველოს შორის გააღრმავა ურთიერთობები. საქართველო თავად ეწეოდა მეზობელ ქვეყნებთან და მათ შორის თურქეთთანაც კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების პოლიტიკას. უშველებელი ნაკადი

ქართველი ტურისტებისა მიედინებოდა თურქეთში, რამაც გამოიწვია თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული ლექსიკონებისადმი დიდი მოთხოვნა. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ზუსტად მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა სერიოზული მოთხოვნა თურქულ-ქართული სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შექმნისა.

საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლამ, ენების ღრმად შესწავლისა და თარგმანის ადეკვატურობის მოთხოვნა განაპირობა. მსოფლიოში არსებულ ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ბუმის, ერთაშორისი კომუნიკაციის ფონზე, რომლის მოთხოვნებსაც სოციუმის მოღვაწეობის სფეროში არსებული რელევანტური ინფორმაციის, ძველი ეპოქიდან დღევანდლამდე ერის საერთო სურათის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მოძიება, უნივერსალური ლექსიკონების წარმოება წარმოადგენს, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონების საერთო სურათი სამწუხაროდ მეტად უზადრუკად გამოიყურება: სიტყვა სტატიის ღარიბ მოცულობას, რომელიც ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურად მოკლებულია სიტყვის საილუსტრაციო მასალას და მხოლოდ ცნობარს წარმოადგენს, მომხმარებლისთვის მხოლოდ გარკვეული ზედაპირული დახმარების გაწევა შეუძლია.

ამგვარი ტიპის ლექსიკონებს მიეკუთვნება, მაგალითად: ვ. ჯანგიძისა და ს. ჯიქიას მიერ შედგენილი ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი, გამოცემული 1998 წელს. ამ პატარა, ჯიბის ლექსიკონის თურქულ წინასიტყვაობაში მოკლედ მოთხრობილია საქართველო-თურქეთის სავაჭრო, კულტურული და ტურისტული ურთიერთობის შემდგომი გარდაუვალი განვითარების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად საკმაო დონეზე თურქოლოგიის განვითარებისა საქართველოში, თურქეთში ქართველოლოგია ჯერ კიდევ უცნობ სფეროს წარმოადგენს. ამ ლექსიკონის გამოცემა კი ამ სფეროს განვითარებისთვის საკმაოდ დიდი წვლილი იქნება და თანაც სავაჭრო, კულტურულ და ტურისტულ სფეროში არსებულ მოთხოვნებს გარკვეულწილად დააკმაყოფილებს. ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი ორი თურქოლოგის მიერ შედგენილი და რამდენჯერმე გამოცემულია. დაახლოებით 4 000 ლექსიკონისგან წარმოქმნილი ლექსიკონი უფრო დიდი მოცულობის მქონე ლექსიკონების შექმნის პირველი

ნაბიჯია. ეს ლექსიკონი 1973 წელს გამოცემული ლექსიკონის შემდგომი გამოცემაა, რომელიც პირველად 1998 წლის ივლისში, ხოლო მეორედ 2007 წლის მარტში თურქეთში გამოიცა. წინასიტყვაობას თან მოჰყვება ლექსიკონის შესახებ ინფორმაცია თურქულ ენაზე, სადაც გამომცემელი გვაუწყებს თურქულენოვანი მკითხველისთვის ლექსიკონის გამოყენების მიზნით ქართული ანბანის შესწავლის აუცილებლობას. აქ საკმაოდ ვრცლადაა მოთხრობილი ქართული ანბანის სიმწიფის, კერძოდ იმ ასოების შესახებ, რომელიც თურქულში არ გვხვდება. მოცემულია ზმნების დროების და სახელების ბრუნების შესახებ მოკლე მიმოხილვა, ანბანის ტაბულა და სიტყვათა შემოკლებები. დასასრულს, ლექსიკონს საქართველოში გავრცელებული ქალის და ვაჟის სახელების, გვარების, ქალაქების, სოფლების, სხეულის ნაწილების ჩამონათვალი, რიცხვითი სახელები და ნათესაური ტერმინები ახლავს.

რაც შეეხება ლექსიკონის მთავარ საბაზისო ნაწილს, ყველა სიტყვის წინ მითითებულია მისი გრამატიკული დახასიათება, სიტყვის განმარტება მხოლოდ ერთი-ორი სინონიმით შემოიფარგლება და ზოგ, იშვიათ შემთხვევაში, მოცემულია 1-2 შესიტყვების სახით განმარტება. თუმცა როგორც წინასიტყვაობაში წერია, ლექსიკონი ჯიბის ლექსიკონის სტატუსის მატარებელია, ამიტომ, როგორც მცირე ფორმატის ლექსიკონი, სიტყვის საილუსტრაციო მასალის მრავალფეროვნებითა და მოცულობით რასაკვირველია ვერ დაიკვეხნის.

მაგალითი ქართულ-თურქული ნაწილიდან:

ანგარიში: is. Hesap; hesaplama; f. Hesaplamak, hesap etmek (ჯანგიძე, ჯიქია 1972:21).

თურქულ-ქართული ნაწილიდან:

Taş s. ქვა. Taşçı ქვისმთლელი. Taşlık ქვიანი ადგილი (ჯანგიძე, ჯიქია 1972:246).

ეს არის მაგალითი ლექსიკონში არსებული ლექსიკური ერთეულების მეტად მწირი და ზედაპირული ინფორმაციის მქონე განმარტების შესახებ, ხოლო რაც შეეხება პოლისემანტური სიტყვის მეტყველებაში ადეკვატურად გამოყენების მცდელობას, დამეთანხმებით, რომ მსგავს ლექსიკონს მომხმარებლისთვის დახმარების გაწევა არ შეუძლია.

ასეთივე დახასიათება შეიძლება მიეცეს ექრემ ფოლათის თურქულ-ქართულ ლექსიკონსაც, რომლის შედგენისას ავტორმა იხელმძღვანელა ლია ჩლაიძისა და ორჰან მემიშიშის ლექსიკონებით, ლექსიკონის მოცულობა, როგორც წინასიტყვაობაში წერია, მოიცავს თურქული ენის ყველაზე ხშირად გამოყენებად 8 000 სიტყვას.

სიტყვების მნიშვნელობის მინიჭებისას აქცენტი გაკეთდა იმაზე, გამოიყენება თუ არა იგი თანამედროვე ქართულ ენაში. ამ მიზნით გამოყენებული იქნა არა მარტო ქართული ლექსიკონები, არამედ ყველა ის მასალა, რისი მოპოვებაც შესაძლებელი იყო: ჟურნალები, გაზეთები, ბროშურები, გამოქვეყნებული განცხადებები, რეკლამები და ა.შ. (ფოლათი 2010:6).

იქედან გამომდინარე, რომ ლექსიკონს სასწავლო დანიშნულება აქვს, მასში მიზნობრივად შეტანილია თურქული ენის გრამატიკულ ტერმინები. ზმნის გვერდით მითითებულია ქართული ზმნის უღლების ფორმაც, რომელიც ხშირ შემთხვევაში მომავალი დროის მესამე პირის ფორმით არის მოცემული. სიტყვის გვერდით მითითებულია ასევე სფერო, რომელსაც სიტყვა ეკუთვნის. ომონიმები ჩამოწერილია ცალ-ცალკე და აღნიშნულია რომაული ციფრებით. მაგ:

Kayıtsız I არარეგისტრირებული, ჩაუწერელი

Kayıtsız II 1. გულგრილი 2. გულგრილად (ფოლათი 2010:147).

გარდა წინასიტყვაობისა, ლექსიკონს თან ახლავს თურქული და ქართული ანბანი, სიტყვათა შემოკლებები, გამოყენებული ლიტერატურა.

რაც შეეხება სიტყვის განმარტების მოცულობას, მას საერთოდ არ გააჩნია საილუსტრაციო მასალა, რაც ნათელს მოჰფენდა მისი გამოყენების სპექტრს. სიტყვის განმარტება მოცემულია მხოლოდ ერთი-ორი სინონიმითა და იშვიათ შემთხვევაში გამოყენების რამდენიმე მაგალითით.

მაგალითისთვის მოვიყვან ლექსიკონის ერთ-ერთ შედარებით დიდი მოცულობის მქონე სიტყვა სტატიას:

Bağlanmak დაკავშირება (დაუკავშირდება) *canlı yayına* ~ პირდაპირ ეთერში დარეკვა (დარეკავს) *internete* ~ ინტერნეტის ქსელში ჩართვა (ინტერნეტის ქსელში ჩაერთვება) (ფოლათი 2010:22).

ნაწარმოები სიტყვები:

Bağlantı 1. კავშირი 2. ურთიერთობა. *Internet ~ si* - ინტერნეტის ქსელი, *Internet ~ si* - სატელეფონო კავშირი

Bağlı 1. დაბმული, *შეკრული 2.* დაქვემდებარებული 3. დაკავშირებული.

ხშირ შემთხვევაში კი სიტყვა სტატიის განმარტებას ასეთი ღარიბული მოცულობა აქვს:

Heyecanlamak ზმ. ღელვა (ღელავს) (ფოლათი, 2010:112).

როგორც ვხედავთ, ექრემ ფოლათის ლექსიკონური განმარტებები, ზემოხსენებული ლექსიკონის მსგავსად სათანადო დახმარებას ვერც რომელიმე დარგში მოღვაწე სპეციალისტს გაუწევს, რადგანაც ლექსიკონი ტერმინების მოცემულობა-განმარტებებით ვერ დაიკვეხნის, ლინგვისტური თვალსაზრისით, ვერც ენის შემსწავლელს გაუწევს სათანადო დახმარებას, რადგანაც განმარტებებში არაფერია ნათქვამი სიტყვის სინტაქსურ-მორფოლოგიურ ფლექსიურ ფორმათა თავისებურებების შესახებ. ამიტომაც, ასეთი ტიპის ლექსიკონებს ენის შემსწავლელისა თუ მთარგმნელისთვის, ენის ლექსიკური ფონდის მხოლოდ ზედაპირული აღწერა შეუძლიათ.

თურქეთში გამოცემულ ლექსიკონთაგან აღსანიშნავია ანკარაში, 2010 წელს თურქული ენის საზოგადოების მიერ გამოცემული ქართულ-თურქული ლექსიკონი, რომლის შემდგენელი იბრაჰიმ არისოია.

როგორც წინასიტყვაობაში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქოლოგიის განყოფილების პროფესორი ნოდარ ჯანაშია აღნიშნავს, მოცემული ლექსიკონი თურქი ავტორის მიერ თურქულ-ქართული ლექსიკონის შედგენის პირველი მცდელობაა. ლექსიკონის შემდგენელს ქართულ უმაღლეს სასწავლებელში თურქული ენისა და ლიტერატურის სწავლების გარკვეული გამოცდილება აქვს და ლექსიკონის შედგენის იდეაც აქედან მოდის.

ლექსიკონი 23000-ზე მეტ სიტყვას მოიცავს სხვადასხვა სფეროებიდან. ქართულ სიტყვებს თან ახლავს ტრანსკრიფცია თურქული ასოებით, მითითებული აქვს მეტყველების ნაწილი და აუცილებელი განმარტება ძირითადი მნიშვნელობის შესახებ. შეძლებისდაგვარად მოცემულია სინონიმები.

როგორც ნ. ჯანაშია აღნიშნავს, პირველი ცდის კვალობაზე, ლექსიკონი დაზღვეული არ არის უზუსტობისგან. მითუმეტეს, რომ მთელი რიგი მნიშვნელობებისა ფრაზეოლოგიის გარეშეა მოცემული და ერთი შეხედვით სირთულეს იწვევს. მიუხედავად ამისა, ლექსიკონი დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველს თურქული ენის ათვისების საწყის ეტაპზე (არისოი, 2010:8).

ლექსიკონში ქართულ და თურქულ ენებზე წინასიტყვაობის გარდა მოცემულია ქართული და თურქული ანბანი, ლექსიკონის გამოყენების ინსტრუქცია და სიტყვაშემოკლებათა განმარტებები.

როგორც იბრაჰიმ არისოი აღნიშნავს, ლექსიკონის შედგენის პროცესში, ამ სფეროში არსებული მასალების კვლევისას, მრავალი ქართულ-რუსული და ქართულ-ინგლისური ნაშრომის აღმოჩენა შეძლო, ხოლო რაც შეეხება ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფიული ნაშრომების მოძიებას, ავტორი გამაოგნებელ რეალობას წააწყდა: დიდი ჯაფის შედეგად, მან ქართულ-თურქული შრომების მხოლოდ მწირი რაოდენობის აღმოჩენა შეძლო. გეოგრაფიული, კულტურული, ისტორიული სიახლოვის მქონე ორი ერის ლექსიკოგრაფიული შრომების თითქმის არარსებობამ ავტორი საბოლოოდ მიიყვანა ამ ურთულესი საქმის შეჭიდების გადაწყვეტილებამდე, რომლის განხორციელებაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორ ნოდარ ჯანაშიას, აჭარის გონიოს კოოპერაციული ინსტიტუტის რექტორის შოთა ფუტკარაძისა და ამავე ინსტიტუტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა მხარდაჭერითა და დახმარებით შეძლო.

ზემოხსენებულ ლექსიკონს ენის შემსწავლელისთვის საწყის ეტაპზე გარკვეული დახმარების გაწევა მართლაც შეუძლია, მაგრამ ლექსიკონის ლექსიკური მარაგისა და მისი განმარტებების შესწავლისას, საკმაოდ დიდი რაოდენობის გრამატიკულ, სემანტიკურ და მართლწერის შეცდომებს ვაწყდებით როგორც წყარო, ასევე დაპირისპირებულ ენაში:

მაგალითად: ქართული სიტყვა აბუჩი (*აბუჩი* - უხამსი სტუმარი - საბას ლექსიკონის მიხედვით), როგორც თურქული განმარტებიდან ვგებულობთ, „აბუჩი - önemsiz, hafif“ (არისოი, 2010:4), რთული გასაგები არ უნდა იყოს, რომ ავტორმა არა საბასეული „უხამსი სტუმარი“ იგულისხმა, არამედ კონტექსტურ „აბუჩად

აგდება“სთან დაკავშირებული, სალაპარაკო ლექსიკაში გამოყენებული სიტყვა აბუჩი გამოიყენა. სიტყვის გრამატიკული დახასიათებად კი შემოკლება „S“ გვაქვს მოცემული - რაც ზედსართავ სახელს ნიშნავს. ენის არასაფუძვლიანი ცოდნის გამო ავტორს მკითხველი სერიოზულ სემანტიკურ ჩიხში შეჰყავს, თურქული შესატყვისიდან გამომდინარე, აბუჩის ნაცვლად ავტორს შემდეგი შესატყვისები: მსუბუქი და არასერიოზული უნდა გამოეყენებინა.

ხშირად გვხვდება მნიშვნელობა და ფორმადამახინჯებული, ხანაც კი გაურკვეველი შინაარსის სიტყვები, *გაშხამება* - *zehirlemek* (არისოი, 2010:86), როგორც ჩანს, მოწამლვაა ნაგულისხმევი; *გამომწველი* (არისოი, 2010:67), ერთი შეხედვით ეს სიტყვა წველასთან კავშირში შეიძლება მოვიაზროთ, თუმცა თურქული შესატყვისის „meydan okuyan“-ის მიხედვით, ავტორს „გამომწვევი“ ჰქონდა მხედველობაში, აქ როგორც ჩანს მართლწერით შეცდომას აქვს ადგილი, *გაპრტყვნა* - *koparmak, yolmak* (არისოი, 2010:77), თურქული შესატყვისის მიხედვით, ავტორს როგორც ჩანს გაბრდღვნა, მოგლეჯა, მოწყვეტა ჰქონდა მხედველობაში) და მრავალი მისთ.

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს წყარო ენის სემანტიკურ, მართლწერით ცდომილებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსიკონი თურქული ენის შესწავლელთათვის, ანუ ქართველი მკითხველისთვისაა გათვალისწინებული და ამდენად, ავტორისეული წყარო ენის სიტყვების გამოცნობას, ქართველი მკითხველი ხშირ შემთხვევაში მიმსგავსებული სიტყვებით მოახერხებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ საძიებელი სიტყვის საკმაოდ ხშირ შემთხვევაში დამახინჯებულად მოწოდების გამო, მოცემულ ლექსიკური ფონდში სასურველი სიტყვის მოძიება საკმაოდ ძნელია, საქმე კიდევ უფრო რთულდება, როცა დამახინჯებულ სიტყვებს ხშირ შემთხვევაში არასწორი განმარტებაც ახლავს თან. მაგ: *გატლინკება* (არისოი, 2010:81), ჩემი, როგორც მკითხველის ასოციაცია ტლინკებს უკავშირდება, თუმცა რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, განმარტებად: *kabalaşmak* (ანუ უხეშად ქცევა, უხეშად გახდომა) უწერია; *დაჩითება* (არისოი, 2010:125), საინტერესოა სად იპოვა ეს სიტყვა ავტორმა და რატომ მიუსადაგა თურქულ შესატყვისად *büyümek* (გაზრდა), *gelişmek* (განვითარება), გამოყენებული აქვს *დიალექტური* ლექსიკა: *გაპარჭკვა* - *genişliğine yayımak* (არისოი, 2010:77) (ანუ სიფართოზე გადაფენა); *დაყურება* - *dinlemek, kulak vermek* (არისოი, 2010:125) (ანუ მოსმენა, მიყურადება) და ა.შ.

ზემოხსენებული ლექსიკონის განხილვისას, უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად იგრძობა სხვა ეროვნების ადამიანის ქართული ენისა და ქართული საზოგადოების მიმართ უდიდესი სიყვარული, ორ ერს შორის ენობრივ-კულტურულ ბარიერის განეიტრალების სურვილი და ამ სურვილის საფუძველზე ქართული ლექსიკონური ფონდის აღწერის ავტორისეული უდიდესი ჯაფა. მსგავსი ტიპის ლექსიკონებს მკითხველთათვის ენობრივი შესწავლის საწყის ეტაპზე გარკვეული დახმარების გაწევა მართლაც შეუძლია, თუმცა ენის სიღრმისეული შესწავლისას, ასეთი ლექსიკონების გამოყენება მრავალი სირთულის წინაშე გვაყენებს: გარდა იმისა, რომ ლექსიკონში არ გვაქვს მოცემული სიტყვის გრამატიკული ფორმაცვალების მაგალითები, ლექსიკური ერთეულების სემანტიკური აღწერა მხოლოდ რამდენიმე სინონიმური შესატყვისით შემოიფარგლება, არ არის მოცემული სიტყვის კონტექსტუალური და ენისთვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიური განმარტებები, ვაწყდებით საკმაოდ ბევრ სემანტიკურ თუ მართლწერით შეცდომებს, რომელიც ავტორის მხრიდან ხან ენის არასაფუძვლიანი ცოდნით, ხან კიდევ წყარო ენის კონცეპტუალური სამყაროს არცოდნითაა გამოწვეული.

რაც შეეხება ქართულ-თურქული ლექსიკოგრაფიის მაგისტრის, ორჰან მემიშიშის ქართულ-თურქულ და თურქულ-ქართულ ლექსიკონს, იგი სემანტიკური თვალსაზრისით, ზემოხსენებული ლექსიკონის გაუმჯობესებულ ვარიანტს წარმოადგენს. ლექსიკონში მოცემულია ორჰან მემიშისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრის გამგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. თემურ ჯაგოდნიშვილის წინასიტყვაობები ქართულ და თურქულ ენებზე, ქართული და თურქული ანბანი, მოკლე მიმოხილვა ქართული ანბანისა.

როგორც წინასიტყვაობაში ავტორი მიუთითებს, ლექსიკონის შედგენისას, მან „სასკოლო ლექსიკონით“, „თურქული ენის დიალექტების შედარებითი ლექსიკონით“ და ვენერა ჯანგიძის მიერ შედგენილი ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონით ისარგებლა.

რაც შეეხება ლექსიკონის მთავარ საბაზისო ნაწილს, სიტყვა სტატიას არ ახლავს სიტყვის გრამატიკული დახასიათება, ანუ მოცემული ლექსიკური ერთეული გრამატიკის რომელ ნაწილს მიეკუთვნება, არ ახლავს ლექსიკური ერთეულის

სინტაქსური და მორფოლოგიური ფლექსიური ფორმები, რომელიც ენის შემსწავლელს საწყის ეტაპზე მნიშვნელოვნად გაუადვილებს სიტყვის გრამატიკულად წარმოებას, სიტყვა სტატიაში არ არის ან ძალიან მწირი სახით არის მოცემული ილუსტრაციული მასალა, რომელიც ნათელს ჰყენს მისი გამოყენების არეალს.

სიტყვა სტატიის ყველაზე ვრცელი მოცულობა დაახლოებით ასე გამოიყურება:

Düşmek – 1) ჩავარდნა, დავარდა;

kabine düştü კაბინეტი დამარცხდა;

fiyarlار düşüyor ფასები ეცემა;

yere düştü მიწაზე (დავარდნა),

bayram pazara düşüyor ზეიმი კვირა დღეზე მოდის.

2) წასვლა, გაყოლა

Arkama düş უკან გამომყევი (მემიშიში, 2012:271).

რაც შეეხება ლექსიკონის ქართულ-თურქულ ნაწილს, სიტყვა სტატია, მხოლოდ რამდენიმე სინონიმური ერთეულით შემოიფარგლება.

მაგ: *დაცვენა: dökülmek, düşmek (მემიშიში, 2012:58).*

კეთება (გაკეთება): yapmak, etmek, eylemek, yapılmak (მემიშიში, 2012:85).

თუმცა როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ავტორს არა აქვს პრეტენზია, რომ ლექსიკონი საუკეთესოა, თუმცა მისი აზრით, ეს ლექსიკონი გარკვეულწილად შეძლებს არსებული სიცარიელის შევსებასა და ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების განვითარებაში გარკვეულ წვლილი შეტანას.

ელიდა კვანტალიანის მიერ შედგენილი, 2010 წელს გამოცემული ქართულ-თურქული ლექსიკონი, სიტყვა სტატიის განმარტებითი მოცულობის თვალსაზრისით, ზემოხსენებული ლექსიკონების გაუმჯობესებულ ვარიანტს წარმოადგენს. როგორც ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ლექსიკონი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე პირველ დიდ (40 000 სიტყვამდე) სალექსიკონო გამოცემას წარმოადგენს (კვანტალიანი, 2010:3). ასეთი მოცულობის ქართულ-თურქული გამოცემის აუცილებლობა კი, როგორც ავტორი ამბობს, ამ ბოლო დროს, საქართველოსა და თურქეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთკავშირების გაღრმავებამ,

განსაკუთრებით კი, კონტაქტებმა მეცნიერების, კულტურის, ეკონომიკისა და მრეწველობის სფეროებში განაპირობა.

ლექსიკონი განკუთვნილია თურქული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის, სტუდენტებისთვის, მთარგმნელებისა და თარჯიმნებისთვის. ის დიდ დახმარებას გაუწევს თურქეთში მცხოვრებ ქართველებსა და საქმიანი წრის წარმომადგენლებს, რომელთაც ესაჭიროებათ თურქული და ქართული ენების პრაქტიკული ცოდნა (კვანტალიანი, 2010:3). ლექსიკონს თან ერთვის ლექსიკონის გამოყენების წესი, რომლის მიხედვითაც ქართული სიტყვები ლექსიკონში განლაგებულია ანბანურად, ომონიმები მოცემულია ცალ-ცალკე და წინ უძღვის რომაული ციფრი. ქართულ სიტყვას მოსდევს თურქული თარგმანი. იმ შემთხვევაში, თუ ქართულ სიტყვას ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვს, თარგმანში ჯერ მოცემულია გავრცელებული მნიშვნელობა, შემდეგ კი - დანარჩენი (კვანტალიანი, 2010:4).

ლექსიკონში ლექსიკურ ერთეულს არ ახლავს გრამატიკული დახასიათება, თუმცა აქვს გრამატიკული მინიშნებები: თურქულ სიტყვებს ფრჩხილებში მითითებული აქვს გაჟღერდება თუ არა ბოლოკიდური თანხმოვანი, მაგ: kapak (-ğı), ფუძეკუმშვად სიტყვებს კი შეკუმშული ვარიანტი აქვს მიწერილი, მაგ: ağız (-ağız).

ქართული ზმნა მოცემულია საწყისი ფორმით და გვერდით კი მითითებულია მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმა.

ლექსიკონს თან ახლავს გამოყენებული შემოკლებების ჩამონათვალი, დასასრულს გეოგრაფიული სახელები (სახელმწიფოები, დედაქალაქები) და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

ლექსიკური ერთეული განმარტებულია რამდენიმე სინონიმით და სიტყვის გამოყენების მაგალითებით, მაგალითად, ნიმუშისთვის მოვიყვან ლექსიკონში მოცემულ სიტყვა სტატუსს:

დაკლება - 1. İndirme, indirim, inme; düşürme, düşme 2. (დააკლებს) indirmek; düşürmek; küçültmek; ფასების ~ fiyatları indirmek; ერთი ქულის ~ not bir numara kırmak 3. Azaltmak; küçültmek; სიჩქარის ~ hızını azaltmak / düşürmek, yavaşlatmak; რადიოს ხმის ~ radyonun sesini kısmak; ასაკის ~ (kendi) yaşını küçültmek 4. წონაში ~ kilosunu vermek/atmak

დაკლებული 1. Indirimli, indirmeli, indirilmiş; ფასდაკლებით indirilmiş fiyatla 2. Normalin altında (olan), düşük (კვანტალიანი, 2010:149).

აღსანიშნავია, რომ ლექსიკონის შემადგენელი ერთეულები არ არის ენისთვის დამახასიათებელი ლინგვოკულტუროლოგიური ერთეულებით: ფრაზეოლოგიზმებით, მეტაფორებით, ანდაზებით, მყარი შესიტყვებებით განმარტებული, თუმცა სიტყვის მაგალითებში გამოყენების არცთუ ისეთი მწირი მოცულობა, ბევრად აღემატება სხვა ქართულ-თურქულ და თურქულ-ქართულ ლექსიკონში არსებულ სიტყვათა-სტატიების მოცულობას, რითაც აღნიშნულ ლექსიკონს მომხმარებლის ენობრივი პრაქტიკისთვის სერიოზული დახმარების გაწევა შეუძლია.

ღია ჩლაიძის რედაქციით გამოცემული თურქულ-ქართული ლექსიკონი, როგორც წინასიტყვაობაში წერია, განსხვავდება სხვა ქართველ თურქოლოგთა მიერ შედგენილი ლექსიკონებისგან როგორც მოცულობით (ის საკმაოდ დიდია და ორ ტომს მოიცავს), ასევე შედგენის პრინციპითაც: ამ ლექსიკონს, სიტყვა სტატიაში მოცემული გრამატიკული და მართლწერითი მითითებებით, რაც ასე იშვიათია თანამედროვე თურქულ-ქართულ და ქართულ-თურქულ ლექსიკონებში, მთარგმნელისა თუ ენის შემსწავლელთათვის მეტად მნიშვნელოვანი სამსახურის გაწევა შეუძლია. ლექსიკონს თან ახლავს წინასიტყვაობა, ორგვერდიანი მიმოხილვა თურქული ენის ისტორიის შესახებ, შემოკლებანი, გამოყენებული წყაროები, ლექსიკონის აგებულების შესახებ განმარტებები და თურქული ანბანი.

ლექსიკონში დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებად შეტანილია: არსებითი სახელი (ძირეული და წარმოქმნილი), ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, ნაწილაკი, შორისდებული (ჩლაიძე, 2001:11).

ლექსიკური ერთეულები მოცემულია განუსაზღვრელობით ბრუნვაში და იქვე ფრჩხილებში მითითებული აქვს მართლწერითი ფორმები: მაგ. სიტყვის ბოლოს თანხმოვნის მოსალოდნელი ცვლილება (მაგ. Çiçek– çiçeği), რომელიც სიტყვის კუთვნილებითი კატეგორიის ან წინადადებაში მისი პირდაპირი დამატების ვარიანტს წარმოგვიდგენს. ასევე ფრჩხილებშია მითითებული კუმშვის შედეგად ფუძის ცვლილება (alın-alını, ağız-ağzı) და ა.შ.

სიტყვები, რომლებიც ერთი და იმავე ასოზე იწყება და იდენტურია მნიშვნელობით შედის ერთ სიტყვა სტატიაში საერთო თარგმანით.

ომონიმები ავტორს ცალ-ცალკე აქვს ჩამოთვლილი და აღნიშნულია რომაული ციფრებით: emir I - ბრძანება, emir II - მბრძანებელი.

ახლოს მდგარი სინონიმები ერთმანეთისგან მძიმით გამოიყოფა, შედარებით დაშორებული - წერტილ-მძიმით.

სიტყვა-სტატიაში ზმნის გვერდით ობიექტის ბრუნვის ფორმაცაა მითითებული, რომლის სწორად გამოყენებაც, სინტაქსური კონსტრუქციების თვალსაზრისით, წინადადების გამართულად აგებაში არსებით როლს თამაშობს: bakmak - მიც. ყურება, რაც ამ ზმნასთან ობიექტის მიცემით ბრუნვაში ჩასმის აუცილებლობას მიგვანიშნებს. მაგ: arkasına bakmak – უკან ყურება, yüzüm-e bakmadı - არ შემომხედა (ჩლაიძე, 2001:111) და ა.შ.

ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ სალექსიკონო ერთეულების გასწვრივ ავტორმა რატომღაც საჭიროდ არ ჩათვალა მათი გრამატიკული სახელების მითითება, ლექსიკონში ლექსიკური ერთეულის გასწვრივ აუცილებლად შემოკლებული ფორმით უნდა იყოს მოცემული მისი გრამატიკული დახასიათება, მაგალითად: is. - არსებითი სახელი; f. - ზმნა s. - ზედსართავი სახელი, zf - ზმნიზედაც, zm - ნაცვალსახელი და ა.შ. რაც ენის შემსწავლელისთვის გრამატიკული ერთეულების სწორად გამოყენების საშუალებას იძლევა, თუმცადა ეს ფაქტი იმით შეიძლება აიხსნას, რომ წინასიტყვაობაში ავტორი ზმნების საწყისი ფორმით ანუ - mak, mek დაბოლოებით მოცემულობას გვაუწყებს და ალბათ ამიტომ არ თვლის საჭიროდ თითოეული ზმნის გასწვრის f. შემოკლებული ვარიანტის მითითებას, ასევე გვიმარტავს, რომ თურქულში სახელი შეიძლება გამოყენებულ იქნას განსაზღვრებისა და გარემოების ფუნქციით. ამიტომ ქართულად თარგმანისას მან შეიძლება მოგვცეს არსებითი სახელიც, ზედსართავიც და ზმნიზედაც. ასეთ შემთხვევაში მათ გასარჩევად ავტორს გამოყენებული აქვს არაბული ციფრები წერტილით: fena არაბ. 1. ცუდი 2. ცუდად ... და ა.შ. (ჩლაიძე, 2001:12).

რაც შეეხება ზმნას, ის მოცემულია საწყისი ფორმით და გვერდით, ფრჩხილებში მოცემულია მისი მესამე პირის, მხოლოდითი რიცხვის ფორმა ფორმა: მაგ: ezmek - დანაყვა (დანაყავს) görevlenmek - დავალება (დაივალებს) და ა.შ.

სიტყვა-სტატიაში ლექსიკური ერთეულის გვერდით მიწერილია სფერო, რომელსაც ეს სიტყვა მიეკუთვნება, მაგ: *candar* ისტ. 1. მეფის მცველი *cümlécik* - გრამატ. – 1) პრედიკატული სინტაგმა ... და ა.შ.

ხოლო თურქული სიტყვის ქართულ ენაში შესატყვისის არქონას კი ავტორი ორწერტილით მიგვანიშნებს (:) და მნიშვნელობის განსამარტავად შესიტყვების ან სიტყვის კონტექსტური გამოყენების მაგალითს იშველიებს.

იდიომატური გამოთქმები, მყარი შესიტყვებები, ანდაზები აღნიშნულია რომბით(◊) (ჩლაიძე, 2001:12). თარგმანი განხორციელებულია ისე, რომ ჩანდეს მათი ფორმის სპეციფიკა და ასევე ეკვივალენტი ქართულ ლიტერატურაში. ავტორი გვაწვდის ზუსტ თარგმანს (თუკი ეს შესაძლებელია), რომელიც ბრჭყალებში ისმევა, შემდეგ - ქართულ შესატყვისს (ლიტერატურულ-ადეკვატური თარგმანი), ან თავისუფალ თარგმანს.

რაც შეეხება სიტყვის მრავალმნიშვნელოვნობით გამოწვეული გაუგებრობის გაქარწყლებას, თითოეული სიტყვა-სტატია საკმაოდ მდიდარია შესიტყვებებით, რითაც სამწუხაროდ, ქართულ-თურქული ლექსიკონების უმრავლესობა ვერ დაიკვეხნის. გვხვდება სიტყვის გამოყენების ვრცელი მაგალითები, მაგ:

Düşmek - დაცემა, დავარდნა, ჩამოცვენა, დამხოზა..... *ağaçtan (yere) bir yaprak düştü* - ხიდან ფოთოლი ჩამოვარდა; *çocuk koşarken yere düştü* - ბავშვი როცა მირბოდა, წაიქცა; *kabine düşmedi yalnız üç bakan düştü* – კაბინეტი არ დამხოზილა, მხოლოდ სამი მინისტრი გადადგა; *saçlarına ak düştü* - თმაში ჭაღარა გამოერია, *şehir düştü* - ქალაქი დაეცა; 2. ატმოსფერული ნალექების მოსვლა: *buraya yağmur düşmedi* - აქ წვიმა არ ჩამოვარდნილა, არ უწვიმია. *Dağlara kar düştü* მთებში ჩამოთოვა; 3) დასუსტება, წონაში დაკლება: *adamcağız hastalıktan çok düştü* - საცოდავი ავადმყოფობის გამო ძალიან გახდა; *on kilo düştü* - ათი კილო დაიკლო; 4) ავტორიტეტის, პატივისცემის, ძალაუფლების დაკარგვა; *gözden* ~ „თვალიდან ჩამოვარდნა“, კეთილგანწყობის, პატივისცემის დაკარგვა, *itibardan* ~ ნდობის დაკარგვა; ავტორიტეტის დაკარგვა; 5) მორალურად დაცემა; 6) გაღარიბება, გაღატაკება *düşmüş bir aile* - გაღატაკებული ოჯახი 7) ფასის დაცემა, გაუფასურება; *fiyatlar düşüyor* - ფასები ეცემა; 8) *Hiddeti düşünce haksızlığını anladı* - როდესაც სიბრაზემ გადაუარა, მიხვდა, რომ მართალი არ იყო. 10) გადაყრა, წაწყდომა: *firsat düşerse* - თუ შემთხვევა ჩავარდა; *gün düşer ki çok*

alışveriş olur - ზოგჯერ ისეთი დღე გამოვდა ხოლმე, რომ კარგი ვაჭრობაა, 11) რაიმეზე გადაყოლა; გატაცება; *bugünlerde oyuna çok düştü* - ამ დღეებში თამაშს გადაჰყვავს; *sen bu işin üstüne çok düştün* - ამ საქმეს გადაჰყვევი; 12) გაქანება (გაექანება), მიწყდომა (მიაწყდება); მიმართვა; *halk sokaklara düştü* - ხალხი ქუჩებს მიაწყდა; *halk hükümetin kapısına düştü* - ხალხმა მთავრობას, სახელმწიფო უწყებას მიმართა; 13) წილად ხვდომა, რგება; *aramak ve bulmak ona düşer* - ძებნა და პოვნა მას ევალება; *mirastan ona bu ev düştü* - ანდერძით ეს სახლი მას შეხვდა; 14) გაყოლა (გაჰყვება, მიჰყვება) *peşine* ~ გაყოლა, მიდევნა; *düş önüme!* - აბა გამიძებნე! *Herkes onun arkasına düştü* - ყველა მას მიჰყვავს; 15) დამხმარე ზმნის ფუნქციით: *belaya* ~ განსაცდელში ჩავარდნა; *fakir* ~ გაღარიბება; *hasta* ~ ავად გახდომა; *şüpeye düştü* - დაეჭვდა, *zayıf* ~ გახდომა; *düşse kalka* - ფეხების თრევით, გაჭირვებით : *düşse kalka nihayet varabildik* - ბოლოს დიდი გაჭირვებით მივაღწიეთ; *(biriyle) düşüp kalkmak* - (ქალისა და მამაკაცის) ქორწინების გარეშე ცხოვრება; *içime düştü* (ეჭვი და მისთ) გულში ჩამივარდა; *düşenin dostu olmaz* - „დაცემულს მეგობარი არ ჰყავს“, გაჭირვებული არავის უნდა; *düşmez kalkmaz bir Allah!* - უბედურება მხოლოდ ალაჰს არ ემართება! გაჭირვება (უბედურება) ყველას კარზეა და ასე შემდეგ (ჩლაიძე, 2001:397-398).

ქართულ-თურქულ თანამედროვე ლექსიკოგრაფიულ ფონზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლია ჩლაიძის ლექსიკონური მონაცემები სერიოზული მონაპოვარია თურქულ-ქართულ ენაზე მოსაუბრე მომხმარებელთათვის. ლექსიკონი მდიდარია როგორც სიტყვათა სიუხვით, ასევე ლექსიკური ერთეულების გამოყენების სპექტრის შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაციებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სიტყვა სტატიის ლინგვოკულტუროლოგიური განმარტებების სიუხვე, რაც ასეთი იშვიათია ქართულ-თურქულ ლექსიკონებში.

ასეთი მაგალითებია მაგ: *ağzı ile kuş tutmak* - „პირით ჩიტის დაჭერა“, შეუძლებლის გაკეთება, ნემსის ყუნწში გაძვრომა (ჩლაიძე, 2001:31)

Diş göstermek – „კბილის გამოჩენა“, დამუქრება. (ჩლაიძე, 2001:354)

Alın damarı çatlamak - შუბლის ძარღვის გაწყვეტა, სირცხვილ-ნამუსის დაკარგვა, ამ შემთხვევაში ჩვენი გამოთქმები ერთმანეთს ემთხვევა (ჩლაიძე, 2001:51).

Alın davul derisi - „მისი შუბლი - სადოლე ტყავი“, ანუ სქელკანიანი, უსირცხვილო (ჩლაიძე, 2001:51).

Alın açık – სპეტაკი, უმწიკვლო (ჩლაიძე, 2001:51).

Altın eli bıçak kesmez – „ოქროს ხელს დანა არ ჭრის“, მდიდართან რას გახდები (ჩლაიძე, 2001:56).

ფართე კონტექსტური განმარტებები, რომლებიც მოიცავს იდიომატურ გამოთქმებს, მყარ შესიტყვებებს, ფრაზეოლოგიზმებსა და ანდაზებს, პოლისემანტური სიტყვის გამოყენების ფართო არეალს ნათელს ჰფენს. საძიებელი სიტყვის ფართე კონტექსტური განმარტება, მთარგმნელისთვის მეტად ღირებულ, თარგმანის ნახევრადმზა მასალას წარმოადგენს. ასეთი ტიპის ლექსიკონების უბადლო მაგალითია 48 000 სიტყვიანი 1977 წელს გამოცემული თურქულ-რუსული ლექსიკონი, რომლითაც იხელმძღვანელა ღია ჩლაიძემ აღნიშნული ლექსიკონის შედგენისას. ეს ლექსიკონი გამოიყენება პირველ რიგში თურქულიდან რუსულზე თანამედროვე თურქული მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის, პრესის თარგმანის დროს. ის გამოყენებადია თარჯიმნების, მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ, გამოადგება თურქულენოვან ადამიანსაც, რომელიც დაინტერესებულია რუსული ენით და შესაძლებლობა ექნება მოიძიოს თურქული სიტყვისა და სიტყვათა შეთანხმებების სტილისტურად ახლო თარგმანები რუსულ ენაზე (Мустафаев, Старослав, 1977:8).

ლექსიკური ერთეულის გამოყენების ფართე სპექტრის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღების მიზნით, თურქულ-რუსული ლექსიკონი სავსეა ფართოდ გაშლილი კონტექსტური განმარტებებით რუსულ და თურქულ ენებზე, ღია ჩლაიძის თურქულ-ქართული ლექსიკონიც, სხვა ლექსიკონთან შედარებით, მეტად ღირებულ მასალას, პოლისემანტური სიტყვის ინტერპრეტაციის ფართედ გაშლილ მაგალითებს გვაძლევს, თუმცა როგორც წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს, „ლექსიკონის მოცულობით შეზღუდული ზოგჯერ იძულებული ვიყავით შეგვემოკლებინა სიტყვა-სტატიები. ამავე მიზეზით იშვიათად, მაგრამ მაინც ვამბობდით უარს წარმოქმნილ სიტყვაზეც, მითუმეტეს, თუ ძირეული სიტყვიდან გამომდინარე, მისი მნიშვნელობის გაგება ძნელი არ იყო თურქული ენის კანონებში ჩახედული კაცისათვის“ (ჩლაიძე, 2001:7).

რაც შეეხება ზემოხსენებულ თურქულ-რუსულ ლექსიკონს, ეს ლექსიკონი უბადლოა როგორც სიტყვის გამოსაყენებლად მოცემული მზა მაგალითებით,

რომელიც თურქულ გრამატიკაში ოდნავ მაინც ჩახედული და ენის განსაზღვრული ლექსიკური მარაგის მქონე ადამიანისთვის წინადადების შინაარსობრივად და გრამატიკულად აგების ბრწყინვალე ნიმუშებს იძლევა, ასევე მოცემულია წარმოქმნილი სიტყვის ვრცელი მაგალითები.

მაგალითისთვის ავიღოთ ნებისმიერი ლექსიკური ერთეული თურქულ-რუსული ლექსიკონიდან:

Görmek – (görür)видеть, gördün mü?Видел? Какого? Gördün mü ettiğini? (или уarlığını) видел что ты сделал! Вот что ты наделал (натворил)! - göreceği görmek захотеть увидеть кого-что, соскучиться, onu göreceğim geldi – захотел видеть ее, я соскучился по ней, görür gibi olmak – померещиться, bir de ne göreyim? И представьте себе, что я вижу! İlerisini ~ а) видеть из далека, видеть на расстояние, б) предвидеть, заглядывать вперед, önceden görerek söylemek - предсказывать, 2) видеть, испытывать, переносить, терпеть;Görüp geçirmek – многое повидать, испытать, перенести, вынести, ömründe çok şeyler geçirdi – он многое видел (испытал) на своём веку;Ameliyat ~перенести операцию, ateş ~подтвергаться обстрелу, попадать под огонь; çok ~много повидать, много пережить; çok acı görmüş – он хлебнул много горя, б) считать (из)лишним что для кого; жалеть что кому; в) завидовать; ilgi ve sevgi ~испытать на себе любовь и внимание; burada gördüğümüz ilgi ve sevgi bizi son derece müte hassis etmiştir – нас крайне тронуло то внимание и любовь, которые мы видели здесь; iyilik görme!бран. Чтоб не видеть тебе добра!, чтоб тебе пусто было!; iyilik~видеть добро (хорошее) от кого; чувствовать чью-л. Доброту; ben o adamdan çok iyilik gördüm, hiç unutmam – этот человек сделал для меня много хорошего, никогда (этого) не забуду; masraf ~- нести (терпеть) расходы; neler gördük neler! – и чего только мы не пережили!; görmediği kalmadı – он всё испытал; нет ничего, чего бы он не испытал; biz ne savaşlar gördük! – какие мы пережили бои! Sizden bu fenalığı görmemeli idim! Вам не следовало (бы) причинять мне это зло!; 3) посещать, навещать кого; встречаться, видетсья с кем; bugün müdürü göreceğim –сегодня я встречусь с директором (увиджу директора); 4) В. Понимать, чувствовать, осознавать; işin fena bir sonuç alacağını gögünce ... поняв, что дело принимает плохой оборот, ... 5) В. Находить, считать кем-чем; принимать за кого-что; рассматривать как ... az ~считать недостаточным; düşman ~считать врагом, видеть врага (в ком-л.); işleri fena ~считать (находить) дело плохими; kafi ~считать достаточным; -i, -a münasip ~считать кого-что

удобным (подходящим) для кого-чего; *siz nasıl görüyorsunuz, Ahmet evlenir mi Ayşe ile?* – как вы считаете, жениться Ахмед на Айше?; 6) В. Исх. Брать, получать, извлекать что; - *dan ders* ~а) брать уроки у кого; б) извлекать урок из чего; 7) иметь, занять, получить; *rahat yüzü görmemek* – не иметь покоя; *hiç hayır (yüzü) görmeyesin!* – ни дна тебе, ни покрышки!; *nihayet onun cebi de para gördü* – наконец и у него в кармане завелись деньжата; о, *bundan hayır görmeyecek* – это не пойдёт ему впрок; 8) выступает в роли вспомог. гл.; *adet* (или *aybaşı*) ~менструировать; *hesap* ~произвести расчёт; рассчитаться; *hizmet* ~служить; работать (где-л.); находиться на службе; нести службу; *orduda hizmet* ~служить в армии; *mukavemet* ~встретить сопротивление; *müzaheret* ~найти поддержку; *tatbikat* ~осуществиться (на практике); быть осуществлённым; реализоваться; быть реализованным; \diamond - *i görme* – куда как (много), куда как (хорошо) и т.д. (выражает высшую степень, большое количество чего-л.); *bahçesindeki elmaları görme, orman gibi* – у него в саду столько яблонь, сколько в лесу (деревьев), *kızı görme, huri meleği* – такая девушка, словно райский ангелочек! *Onun azametini görme!* – у него такое самомнение (куда там); *görüyor musunuz* – видите ли; *gören Allah için söylesin!* Ради бога, скажите, пожалуйста!; *gören Allah için söylesin, ben bu çocuğu dövdüm mü?* – Ради бога, скажите, разве я бил этого ребёнка? *görerek ateş* – воен. прямой огонь, огонь с открытых позиций; *görerek atış* – воен. Стрельба (бомбометание) прямой наводкой; прямой выстрел; *görmediğine dönmek* –вернуться к жизни, стать таким, как до болезни; *görüp göreceği* (*rahmet*) *bu* - вот и все, что он получит; не получит он больше ничего; *-i görüp gözetlemek* –оберегать кого, следить за кем; *göreyim seni!*–ну-ка, покажи себя!, покажи-ка, на что ты способен!; *gördün deli, savul geri* -поговор.Увидел сумасшедшего, уйти; *gören göz kılavuz istemez* – поговор. Зрячий глаз в проводнике не нуждается.

Görmek- $\text{օրհան Եստրմոյն և Օրհան Եստրմոյն}$

Görmemezlik (-ği): ~ е (или ~ ten) *gelmek* притвориться (прикинуться) невидящим; делать вид, будто не замечаешь чего; закрывать глаза, смотреть сквозь пальцы на что; игнорировать кого-что.

Görmemiş – 1) выскочка; ~*inoğluolmuş* –из грязи – в князи (о выскачке и зазнайке, не знающем ничему цены); 2) человек, попадающий впросак по своей неопытности, невоспитанный, неотёсанный.

Görmemişlik (-ği) 1) неопытность; невежество; невоспитанность; 2) жадность.

Görmez – невидящий, незрячий; *üzak* ~ близорукий (человек); *yakın* ~ дальнозорки (человек); ~ *olmak* – ослепнуть, перестать видеть.

ახლა კი ვნახოთ სიტყვა „görmek“ის განმარტება რაოდენ ვრცლად გვაქვს მოცემული ლია ჩლაიძის თურქულ-ქართულ ლექსიკონში:

Görmek (*görür*) - 1) ბრალდ. ნახვა (ნახავს), ხედვა (ხედავს), დანახვა (დაინახავს), *gördün mü? დაინახე? Gördün mü ettiğini? რა გააკეთა დაინახე? İlerisini ~ ა) შორს ხედვა; 6) მომავლის განჭვრეტა 2) önceden ~ წინასწარმეტყველება, განჭვრეტა; 2) გადატანა (გადაიტანა); განცდა (განიცადა); Görüp geçirmek – ბევრის ნახვა და გადატანა; Ameliyat ~ ოპერაციის გადატანა; çok ~ ბევრის ნახვა, ბევრის გადატანა; bu adam çok görmüş ამ ადამიანმა ბევრი გადაიტანა; neler gördük neler! – რა არ გადავიტანეთ!; 3) ბრალდ. მონახულება (მოინახულებს), შეხვედრა (შეხვდება); bugün müdürü göreceğim დღეს დირექტორს შეხვდები; 4) გაგება (გაიგებს), მიხვედრა (მიხვდა), გრძნობა (იგრძნობს); işin fena bir sonuç alacağını görünce ... როცა დაინახა, რომ საქმე ცუდად მთავრდებოდა, ... 5) მიჩნევა (მიიჩნევს) düşman ~ მტრად მიჩნევა; kafi ~ საკმარისად მიჩნევა; 6) ბრალდ. დაწყ. მიღება (მიიღებს), აღება, შეძენა, მოპოვება ders ~ ა) (ვინმესგან) გაკვეთილის მიღება, ბ) ჭკუის სწავლა; 7) დამხმარე ზმნის როლში hizmet ~ სამსახური, მუშაობა; orduda hizmet ~ ჯარში სამსახური; ♦ göreyim seni! – აბა, ვნახოთ, რა შეგიძლია!, gördün deli, savul geri - დაინახე გიჟი, გზა დაუთმე!; gören göz kılavuz istemez – თვალხილულს გამცილებელი არ სჭირდება.*

Görmek-ისგან ნაწარმოები სიტყვები და მათი განმარტებები:

Görmemiş – 1) უნახავი, მეტიჩარა; 2) გაუთლელი, ბრიყვი, ხეპრე

Görmez – უსინათლო; *üzak* ~ ახლომხედველი (ჩლაიძე, 2001:543).

რასაკვირველია თურქულ-რუსული ლექსიკონის სიტყვა სტატია უფრო მდიდარია სიტყვის როგორც გრამატიკულ-სემანტიკური სივრცის, ასევე კულტურული ფონის ასახვის თვალსაზრისით, თუმცა თურქულ-ქართული ლექსიკონიც, მითუმეტეს ისეთ ლექსიკოგრაფიულ ფონზე, რაც თურქულ-ქართულ კულტურულ სივრცეს გააჩნია, ნამდვილად იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 1932 წელს ჩამოყალიბებული თურქული ენათმეცნიერული საზოგადოების აქტიური მოღვაწეობის შედეგად, რომლის მიზანს ენობრივი რეფორმების შედეგად თურქული ენის დახვეწა და ნეოლოგიზმების

ხარჯზე უცხო ლექსიკისაგან გაწმენდა წარმოადგენდა, ოსმალური ლექსიკა მინიმალურ დონეზე შემცირდა, თუმცა არქაიზმები დღესაც გვხვდება თანამედროვე თურქულ ენაში.

თურქულ-რუსულ ლექსიკონში გათვალისწინებულია არაბული ენის გავლენა, რომელიც ზოგიერთ სფეროში დღემდე ფუნქციონირებს და მისი თანხვედრა თანამედროვე ლექსიკასთან თუ ნეოლოგიზმებთან, რომლებიც არქაული სიტყვების ექვივალენტებს წარმოადგენენ და არქაულის ჩანაცვლების ფუნქციით მკვიდრდებიან ენაში. მაგ:

1. aksüamel – a 1) реакция; ср. Терки. სადაც პირველი სიტყვა არაბულს წარმოადგენს (რაზეც “a” ასო მიგვანიშნებს), გასწვრივ რუსული შესატყვისი და არაბული სიტყვის თანამედროვე სინონიმია აღნიშნული.

უნდა აღინიშნოს რომ ეს სიტყვა თანამედროვე თურქულ ლექსიკაში აღარ გამოიყენება, ამიტომ გამოყენების შემთხვევაში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სათარგმნი სიტყვის გასწვრივ თანამედროვე თურქული ლექსიკური ერთეულია მოცემული.

სიტყვათა ასეთ განმარტებას მრავალფუნქციური დატვირთვა აქვს - ასახავს ენობრივი სტრუქტურის თანამედროვე მდგომარეობას, ასრულებს სტილისტურ-ნორმატიულ ფუნქციას და ზოგ შემთხვევაში ხელს უწყობს ნეოლოგიზმის მკითხველზე ზუსტი გაგებინების უზრუნველყოფას (Мустафаев, Старослав, 1977:9).

თურქულ-ქართულ ლექსიკონშიც ავტორი ითვალისწინებს რა არაბულ-სპარსული ლექსიკის როლს თურქულ ლექსიკოლოგიაში, საჭიროდ თვლის წიგნში მოცემული არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულების გასწვრივ სიტყვის წარმოშობის შემოკლებული სახით მითითებას. თუმცა, არ მიგვითითებს აღნიშნული სიტყვის გამოყენების აქტუალობის შესახებ, ანუ ლექსიკონში მრავლად გვხვდება არქაიზმების მაგალითები, რომლის სალაპარაკო თუ სალიტერატურო ენაში გამოყენება მთარგმნელს სერიოზულ ჩიხში შეიყვანს. მართალია წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს მოძველებული, სასაუბრო ენიდან განდევნილი სიტყვების ლექსიკონში მოცემულობის შესახებ, რასაც ხსნის იმით, რომ მოცემული ლექსიკონი „ორმოცი წლის წინათ დაწერილი წიგნების წამკითხველსაც გამოადგება და ოფიციალური საბუთების წამკითხველსაც...“, სიტყვის ადეკვატურად გამოყენების

მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ავტორის მიერ სიტყვის გამოყენების აქტუალურობის შესახებ შემოკლებული სახით მცირე ინფორმაციის მკითხველზე მიწოდება. მსგავსი მაგალითია სიტყვა „*aksülamel* - რეაქცია“ (ჩლაიძე, 2001:43), რომლის არაბული წარმოშობა ავტორს აღნიშნული აქვს, თუმცა არაფერია მითითებული არქაულობის შესახებ, არ გვაქვს მოცემული მისი თანამედროვე შესატყვისი, როგორც ეს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თურქულ-რუსულ ლექსიკონშია.

მსგავსი მაგალითებია: „*abadan*“-1. კეთილმოწყობილი, 2. აყვავება, გაფურჩქვა (ჩლაიძე, 2001:13). ავტორს არა აქვს არაბული წარმოშობა მითითებული, თუმცა თანამედროვე თურქულში არ გამოიყენება.

Edviye - არაბული წარმოშობის - წამლები, მედიკამენტები (ჩლაიძე, 2001:407).

მთარგმნელისთვის, თარგმანის განხორციელების დროს წარმოშობილ სირთულეთაგან ერთ-ერთი, ენაში ფრაზეოლოგიზმების არსებობაა. როგორც მოგვეხსენება, სრულფასოვანი თარგმნის წინაპირობას მხოლოდ ენობრივი სისტემის სრულყოფილად ფლობა არ წარმოადგენს. ყველა ენაში არსებობს მყარი შესიტყვებები, სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვის მქონე ამა თუ იმ სიტყვათა ერთობლიობა, რომელთა ფლობა მხოლოდ ცალკეული ლექსიკური ერთეულების სემანტიკური მნიშვნელობების ცოდნით არ განისაზღვრება. ამ გაუგებრობის თავიდან აცილების ერთადერთი გამოსავალი ფრაზეოლოგიზმების ლექსიკონია, რომლის მიზანს წყარო ტექსტში არსებული მყარი შესიტყვებების ადეკვატური შესატყვისის მკითხველზე მიწოდება წარმოადგენს. ასეთი ლექსიკონია ეთერ მამულიას 2006 წელს გამოცემული, „თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“. როგორც შესავალში წერია, ლექსიკონში წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმების წყაროდ გამოყენებულია ორივე ენაში არსებული სხვადასხვა სახის ლექსიკორაფიული ხასიათის ნაშრომები, მხატვრული ლიტერატურა, პრესა და სხვა. თურქული მხატვრული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმანის ნაკლებობის გამო, თურქული წინადადებების თარგმანთა უმეტესობა კი ავტორების მიერაა შესრულებული (მამულია, 2006:7).

ენის ფრაზეოლოგიზმები ერის სულიერ მდგომარეობის, ხალხის ყოფაცხოვრების, ისტორიული წარსულის ამოძახილია. ფრაზეოლოგიზმებზე გვერდის ავლა და არცოდნა მეტად გაუგებარ და უხერხულ მდგომარეობაში აგდებს

მთარგმნელს თარგმნის განხორციელებისას, რამეთუ ისეთი ფრაზეოლოგიზმის თარგმნა ან გამოყენება როგორცაა:

1. *iğne yutmuş köpeğe döndü* „ნემსგადაყლაპულ ძაღლს დაემსგავსა“ - გახდა, გაძვალტყავდა, ღონე გამოეცალა; ♦, კატის ნათრევს დაემსგავსა, მუცელი ხერხემალს მიჰკვრია (მამულია, 2006:167); 2. *yukarı tükürsem bıyık, aşağı tükürsem sakal* „ავაფურთხო უღვაშია, დავაფურთხო წვერია“ - დაბნეული ვარ, ვერ გადამიწყვეტია როგორ მოვიქცე; ♦ ორ ცეცხლშუა ვარ, ორ წყალშუა ვარ, ავაფურთხე უღვაშს მოხვდა, დავაფურთხე - წვერსაო (მამულია, 2006:298), მსგავსი ფრაზეოლოგიზმების გამოყენება მხოლოდ შინაარსისა და მშობლიურ ენაზე ეკვივალენტის ზუსტი ცოდნის შემთხვევაშია შესაძლებელი.

თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავების ნიადაგზე, ერთაშორისი სიახლოვე ფრაზეოლოგიური ელემენტების საკმაოდ ვრცელი სახით მკითხველზე მიწოდების აუცილებლობას იწვევს. როგორც ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, პირველად შედგენილი „თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ დაზღვეული ვერ იქნება უზუსტობისაგან, თუმცა იმედოვნებს, რომ ეს ნაშრომი სათანადო დახმარებას გაუწევს თურქული ენის შესწავლით დაინტერესებულ ყველა პირს (მამულია 2006:6).

თანამედროვე ლექსიკონებში, თემატური თვალსაზრისით, განსაკუთრებული ადგილი გიგა ქამუშადის ავტორობით შექმნილ ქართულ-თურქულ იურიდიულ ლექსიკონს შეიძლება მიენიჭოს, როგორც პირველ ნაბიჯს ქართულ-თურქულ დარგობრივ ლექსიკოგრაფიულ სივრცეში.

იგი განკუთვნილია თურქული ენით დაინტერესებული ფართო წრისათვის, სტუდენტების, მთარგმნელებისა და თარჯიმნებისათვის.

მაგალითისთვის მოვიყვან რამდენიმე სიტყვა-სტატისას:

1. ამნისტია af, affetme, bağışlama; ამნისტიის გამოცხადება af ilan etmek; კერძო ~ özel af.

ამნისტირებული affa uğramış, bağışlanmış, affedilmiş.

2. ალიბი dokunulmazlık (ქამუშადე, 2016:6)

3. ამოწურვა süre bitimi; ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო... zaman aşımı dolayısıyla... ამ ვადის ამოწურვის შემდეგ... bu süre dolduktan sonra (ქამუშაძე, 2016:7)

როგორც ვხედავთ, ლექსიკონის სიტყვა-სტატია თანამედროვე იურისპრუდენციაში გამოყენებული ტერმინებისა და ფრაზების განმარტებისას მწირი მოცულობის მაგალითებით შემოიფარგლება, მაშინ როცა სპეციფიური თემატური ტერმინების ფართედ გაშლილი, ვრცელი სიტუაციური განმარტებების ლექსიკონში მოყვანა, ვიწრო დარგის სპეციფიური ტექსტის თარგმნისთვის მეტად ხელსაყრელი იქნებოდა, ამას გარდა, როგორც შემდგენელი ამბობს, გამოცემა როგორც ქართულ-თურქული იურიდიული ლექსიკონის შექმნის პირველი ცდა, ვერ იქნება დაზღვეული უზუსტობებისგან. თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ზემოხსენებული ლექსიკონი დაედება საფუძვლად იმ დიდ და ღირებულ მასალებზე მუშაობას, რომელიც სპეციალიზირებულ ტერმინოლოგიებს მოჰფენს ნათელს, განსაკუთრებით კი იმ დარგობრივ ტერმინოლოგიებს, რომელიც თურქულ ქართულ ურთიერთობაში რელევანტურად გვევლინება.

როგორ უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიოში დღემდე იქმნება უამრავი ლექსიკოგრაფიული ცენტრი, სადაც სისტემატიურად მიმდინარეობს ლექსიკოგრაფიის, როგორც ქვეყნის კულტურული მემკვიდრის, როგორც ლინგვისტური განვითარების უმაღლესი პიკის, თეორიულ-პრაქტიკული მეთოდების შეცვლა-განახლება; ლინგვისტურ-ტექნოლოგიური მიღწევების გაერთიანების ხარჯზე ბეჭდვითი ლექსიკონები თითქმის ჩაანაცვლა მეტად მოსახერხებელმა ონლაინ ლექსიკონებმა, რომელიც საძიებელი სიტყვის ექვივალენტის სწრაფად მოძიების ბრწყინვალე საშუალებას იძლევა. მაქსიმალურად დახვეწილი, ადეკვატური თარგმანის განსახორციელებლად, დღემდე საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს მეცნიერთა ჯგუფის მიერ ელექტრონულ ლექსიკონებზე მუშაობა, რათა აღმოფხვრილ იქნეს ხარვეზები, რომელიც დღემდე სრულფასოვანი კომპიუტერული თარგმანის ხელისშემშლელ პირობად რჩება.

მსოფლიო ლექსიკოგრაფიული აღმავლობის ფონზე, ჩვენი ინტერესის სფეროს, თურქულ-ქართულ ლექსიკოგრაფიულ მდგომარეობას გადაუჭარბებლად შეიძლება ეწოდოს სავალალო. ჩვენს მიერ ჩამოთვლილ-აღწერილი ლექსიკონები სახეა იმ

ლექსიკოგრაფიული სიღარიბისა, რომელსაც ქართველი მომხმარებელი ასე მტკივნეულად განიცდის. როგორც წინამდებარე ლექსიკონებმა გვიჩვენა, თურქულ-ქართულ ლექსიკონებში სიტყვა მხოლოდ რამდენიმე სინონიმური განმარტებით შემოიფარგლება, არ არის მკაფიოდ გამოხატული: მისი გრამატიკულ-სემანტიკური მნიშვნელობა, სიტყვის სინტაქსურ-ფრაზეოლოგიური ფლექსიური ფორმები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია უცხოენოვანი ენის შემსწავლელთათვის; საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდგომ დღემდე ვერ მოხერხდა თურქულ-რუსული ლექსიკოგრაფიული ნაშრომების ქართულით ჩანაცვლება; თითქმის არ არსებობს ვიწრო სპეციალიზირებული, თემატური ტერმინოლოგიის ამსახველი ლექსიკონები, რომლებზეც, ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების გაღრმავების საფუძველზე, მოთხოვნა დღითიდღე მატულობს.

ონლაინ ლექსიკოგრაფიის მსოფლიო განვითარების ფონზე, მაშინ როცა უკვე სერიოზული ნაბიჯები იდგმება არა მხოლოდ ცალკეული ლექსების, არამედ მთლიანი ტექსტის ონლაინ რეჟიმში გადაყვანასა და სრულფასოვანი თარგმანის განსახორციელებლად, უნდა აღინიშნოს, რომ თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული ონლაინ ლექსიკონები თითქმის არ არსებობს. ონლაინ სივრცეში არსებული მრავალენოვანი ლექსიკონები, როგორცაა: translate.ge, Glosbe, targmne.com და ა. შ. დამეთანხმება მომხმარებელი, მეტად უმინაარსო და მცდარ თარგმანს იძლევა.

ენის დაუფლება და ადეკვატური თარგმანის განხორციელება, მხოლოდ ენაში არსებული ლექსიკური მარაგის სრული აღწერითა და გრამატიკულ-სემანტიკური მხარეების გათვალისწინებით არ ხორციელდება. ენის მიღმა არსებულ უზარმაზარ კულტურ ფონში შეღწევა და მხოლოდ იმ ენისთვის დამახასიათებელი უნივერსალებების გათავისება, ენის წყალობით ენობრივი კოლექტივის კულტურისა და სულიერი ფასეულობების აღქმა ნიშნავს ენის სრულფასოვან ცოდნას. ამ ენობრივი სიმდიდრეების აღქმისა და გაგებინების ერთადერთ საშუალებად ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკოგრაფია გვევლინება.

სამწუხაროდ, ამგვარი ლექსიკონი, როგორც ბრწყინვალე საშუალება კონცეპტუალურ სამყაროს ავტორისეული აღქმისა, პიკი თანამედროვე

ლექსიკოგრაფიის განვითარებისა, სამწუხაროდ, თურქულ-ქართულ
ლექსიკოგრაფიას არ გააჩნია.

თავი III. ახალი ტიპის ლექსიკონების როლი თარგმანში

3.1. სპეციალიზირებული ლექსიკონები მთარგმნელის სამსახურში

უთვალავი წელია ლექსიკონები იწერება და შესაბამისად, უთვალავჯერ მოხდა მისი ფორმისა და შინაარსობრივი სტრუქტურის შეცვლა. დღეს, როცა ლექსიკოგრაფიის განვითარება ტექნოლოგიების განვითარებასთან ურთიერთკავშირში მოიაზრება, ბეჭდური ლექსიკონები თითქმის ჩაანაცვლა ონლაინ ლექსიკონებმა, რომელიც სიტყვის სწრაფად მოძიების საშუალებას იძლევა. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ფონზე, როცა სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს მთლიანი ტექსტის ონლაინ რეჟიმში თარგმანის უზრუნველსაყოფად, ქართულ-თურქული ონლაინ სივრცე ისეთი ლექსიკონებით შემოიფარგლება, როგორცაა: translate.ge, Glosbe, targmne.com და ა. შ. რომლებიც, დაგვეთანხმება მომხმარებელი, მეტად უშინაარსო და მცდარ თარგმანს იძლევა. ონლაინ ლექსიკოგრაფიის მსოფლიო განვითარების ფონზე, ლექსიკოგრაფებისა და ტექნოლოგების ერთობლივი ძალისხმევით, სიტყვათა პოლისემანტიურობისა და გრამატიკულ-სემანტიკური ფორმაცვალების გათვალისწინებით, აუცილებელია ქართულ-თურქული ელექტრონული ლექსიკონების შემუშავება, რომელიც ისეთი მძიმე და შრომატევადი საქმიანობის, როგორც თარგმანია, სწრაფ და მოხერხებულ პირობებში განხორციელებას უზრუნველყოფს.

დაგროვილმა ლექსიკოგრაფიულმა გამოცდილებამ, ლექსიკონურ ფორმასთან ერთად, მისი შინაარსობრივი სტრუქტურის ცვლილებაც გამოიწვია: მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა ლექსიკონები, რომლებმაც ადეკვატური თარგმანის განხორციელების მიზნით, ენობრივი სისტემების აღწერა-შედარების გარდა, ენის მიღმა არსებული კულტურული ფონის აღწერის ფუნქციაც იტვირთა. ყველასათვის ცნობილია, რომ ენის, როგორც სოციუმის ლინგვისტური გამოხატულების განვითარება მხოლოდ კულტურასთან შესისხლხორცებით მოიაზრება, შესაბამისად ეროვნული კულტურული ტრადიციების ურთიერთგაცვლის ერთადერთ საშუალებას მხოლოდ ენობრივი სისტემის არსებობა და მისი განვითარება წარმოადგენს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მთელ რიგ დარგში დღეს აქტუალურია აზროვნების ისტორიის დაკავშირება კულტურის ისტორიასთან, ასევე აღიარებულია ენის წამყვანი როლი ორივეგან. ენა ერთსაც და მეორესაც თავის თავში იკრებს, ამასთანავე, ენის მეშვეობით ხორციელდება ძირითადად სოციალური ურთიერთქმედება საზოგადოებაში. ასე რომ, სწორედ ენის (ტექსტის, დიკურსის) ანალიზი იძლევა შესაძლებლობას გავიგოთ ადამიანთა აზროვნება და ქცევა. ენის შესწავლა არა „ვაკუუმში“, არამედ რელევანტური სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით სინქრონიშიც და დიაქრონიშიც, ენას წარმოგვიდგენს არა მხოლოდ როგორც კოდს, არამედ, როგორც კოდს პლუს ისტორიას, ფართო გაგებით (ომიაძე, 2006:7).

ერის კულტურულ მიღწევათა ერთაშორისი გაზიარება თარგმნის საშუალებით ხორციელდება. მთარგმნელის ფუნქცია, ენობრივი სისტემის მეშვეობით ტექსტის მიმღებ ენაზე გადატანა, მხოლოდ კულტურული ფერწერის საშუალებითაა ეფექტური, რაც ერთა შორის სულიერი სამყაროს დაკავშირებას: კულტურულ ტრადიციებსა და ღირებულებებზე ფარდის ახდას ისახავს მიზნად.

კულტურათშორისი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, მიმღები ენის კოლექტივმა ერის ეროვნულ-კულტურული სივრცე, რომელიც ენობრივი კილექტივის გონებასა და აზროვნებაშია დალექილი, მშობლიური ენის მსგავსად უნდა აღიქვას. ერის კულტურულ მეხსიერებაში წვდომის ესოდენ რთულ საქმეში კი დახმარებას მთარგმნელს სპეციალიზირებული ლექსიკონები უწევს, რომლის არსი და მიზანი ენისადმი კონცეპტუალური მიდგომაა, რაც კულტურულ ღირებულებათა ტრანსლაციას ითვალისწინებს: მასში გამოსახულია სიტყვის არა მარტო სემანტიკურ-გრამატიკული მნიშვნელობა, არამედ მისი ემოციურ-მენტალური კონოტაცია, რითაც საშუალება ეძლევა ლექსიკოგრაფს გააშუქოს განსაზღვრული ენობრივი საზოგადოების ცხოვრება ისტორიის გარკვეულ პერიოდში. ასეთი ტიპის ლექსიკონის შედგენისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მიმღები ენის უცხოურობის ფაქტი, ანუ, რომელი ენის მატარებლისთვის იქმნება კულტურის ლექსიკონი, რაც ითვალისწინებს ენებს შორის ახლო ოჯახურ ურთიერთობას ან ენობრივ-კულტურულ თავისებურებათა აბსოლუტურ სხვადასხვაობას. ნათესაური კავშირის შემთხვევაში ლექსიკონის სიტყვა სტატია ილუსტრირებული

მასალის მცირე, ხოლო შორეულ ენობრივ-კულტურულ ენათა დაპირისპირება კი ლექსიკური ერთეულის ილუსტრირებული მასალის ფართედ მოცემულ კულტურულ კომენტარებს მოითხოვს.

როცა სპეციალიზირებულ ლექსიკონებზე ვსაუბრობთ, იმ სახასიათო თავისებურების გვერდით, რასაც ერის ცხოვრების ილუსტრირება ჰქვია, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, მისი, როგორც მემატთანის ფუნქცია. ცნობილია, რომ ნებისმიერი ისტორიული ეპოქა სამყაროს აღქმის მისეული ხედვით გამოირჩევა, რაც რასაკვირველია, პირველ რიგში გარემო ფაქტორებთანაა დაკავშირებული. მენტალური ხასიათის დიაქრონული ლექსიკონები საშუალებას მოგვცემს ისტორიული ექსკურსი მოვაწყოთ წარსულში და აღნუსხული რეაქციების მიხედვით თანმიმდევრულად შევიცნოთ ერის სულიერი და კულტურული მდგომარეობა. ასეთი ტიპის ლექსიკონებს მიეკუთვნება ლინგვისტური ლექსიკონისა და ენციკლოპედიის სინთეზის შედეგად წარმოქმნილი, ერის კონცეპტუალური სამყაროს პრეზენტატორი, ლინგვოენციკლოპედიური (კომპლექსური) და ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი ლექსიკონები.

ასეთია მაგალითად, ვ.ს. ელისტრატოვის ლინგვოენციკლოპედიური ლექსიკონი „Язык старой Москвы.“ ეს ლინგვოენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელიც ძველი მოსკოვის ენისა და ყოფის (მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე) ლექსიკონურ აღწერას მოიცავს, შეიცავს დაახლოებით 7 ათას სიტყვასა და გამოთქმას. ძირითადი ყურადღება ეთმობა მე-19 საუკუნის ბოლო ოცდაათწლეულს. ლექსიკონში აღწერილია ძველი, დღეს უკვე არარსებული რეაქციები, რომელიც ძველი მოსკოვური ყოველდღიური ცხოვრების შესახებ ასოციაციურ წარმოდგენებს გვიქმნის <http://kursika.ru/doc820600.html>

წიგნი გათვლილია უპირველეს ყოვლისა იმათთვის, ვინც ინტერესდება რუსეთის, განსაკუთრებით მოსკოვის ისტორიით და მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სპეციალისტ-ფილოლოგებს, ასევე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, ისტორიკოსებს, ჟურნალისტებს, ლიტერატორებს, თარჯიმნებს.

როგორც უკვე ვისაუბრეთ, კონკრეტული ენის შესწავლა და თარგმანის განხორციელება ენის მხოლოდ ლინგვისტურ აღწერა-დაუფლებას არ ითვალისწინებს. ენის შესწავლა, ენის კულტურული სივრცის აღწერასაც მოიცავს,

რაც თავის მხრივ ეთნოსის კულტურასა და გეოგრაფიულ-ისტორიული ინფორმაციის შესწავლის აუცილებლობას მოითხოვს. ამ ფაქტორმა ცხადყო ლინგვისტიკის ქვეყანათმცოდნეობის დარგთან დაკავშირება, რამაც გამოიწვია ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა.

ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი ლექსიკონებიდან აღსანიშნავია ი. ე. პროხოროვის საერთო რედაქციით, 2007 წელს გამოცემული დიდი ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი ლექსიკონი „რუსეთი“. სიტყვა-სტატიები მოიცავს სიტყვებს, ფრაზეოლოგიზმებს, ფრაზებს, რომლებიც რუსი ერის კულტურული ფონის, რეალიების: ყველა რუსული ნივთის, მოვლენის, ტრადიციის, პიროვნების, მხატვრული ნაწარმოების პრეზენტაციას ემსახურება: пироги, берёза, „богатыри“, „в лесу родилась елочка“, «хлеб и соль», «Война и Мир» და მრავალი სხვა. ასეთი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები განაპირობებს შემდგომში ფრაზეოლოგიზმების, მეტაფორებისა და შედარებების წარმოქმნას (Прохорова, 2007:3). გარდა ამისა, სიტყვა-სტატიები ილუსტრირებულია სტატიის შინაარსის ამსახველი ფოტოებით, რაც გადმოცემული განმარტების ვიზუალურ მხარესაც უზრუნველყოფს.

ამ ლექსიკონზე მუშაობა პუშკინის სახელობის რუსული ენის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კოლექტივისა და მასწავლებელთა მიერ დაახლოებით 15 წელი მიმდინარეობდა. როგორც ავტორი წერს, ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი ლექსიკონი „რუსეთი“ ძალიან საინტერესო იქნება მათთვის, ვისაც უყვარს ქვეყანა, მისი ენა და კულტურა და გამოადგება მათ, ვინც სწავლობს და ასწავლის რუსულს, როგორც უცხო ენას და იმათაც, ვისთვისაც რუსული მშობლიურია (Прохорова, 2007:3).

სპეციალიზირებულ ლექსიკონთა ტიპს მიეკუთვნება ასოციაციური ლექსიკონი, რომლის უნიკალურობაც იმაში მდგომარეობს, რომ ეს არანორმატიული ტიპის ნაშრომი განსაზღვრული ენობრივი კოლექტივის ლექსიკური მარაგის არა გრამატიკულ-სემანტიკური განსაზღვრების, არამედ ერის ცნობიერების, ფიქრის, კულტურის განსაზღვრის ერთეულად გვევლინება. ეთნოფსიქოლინგვისტური კვლევების საფუძველზე აგებული ლექსიკონის მთავარი მიზანი ერის სოციალურ-კულტურულ მეხსიერებაში შეღწევა, ისტორიულ წარსულზე დაყრდნობით,

განსაზღვრული ენობრივი კოლექტივის მიერ სამყაროს მათეული ხედვის აღქმის საფუძველზე, კულტურათშორისი გაუგებრობის თავიდან აცილება. როგორც ვიცით, ტექსტში იმპლიციტური მოვლენების არსებობას დიდი კომუნიკაციური დატვირთვა აქვს, რომლის დეკოდირებას, მიმღებ კოლექტივზე წყარო ტექსტის მსგავსი რეაქციის მოსახდენად ახორციელებს მთარგმნელი. ამ ურთულეს პროცესში მთარგმნელზე ყველაზე დიდი დახმარების გაწევა ასოციაციურ ლექსიკონს შეუძლია, რომელიც უკვე არსებობს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სომხურ ენებში. ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა სლავი ხალხის ცნობიერებაში არსებული კულტურული ელემენტების ამსახველი ბულგარული ასოციაციური ლექსიკონი ბალტოვას, ეფტიმოვას, ლიპოვსკას და პეტროვას ავტორობით.

როგორც წინასიტყვაობაში გვაქვს მოცემული, ერთი რომელიმე ეთნოსის ეროვნულ-კულტურული ცნობიერების ანალიზი ხორციელდება სხვა კულტურებთან კონტრასტული შედარების საფუძველზე. სწორედ, ამან გამოიწვია კონტრასტული შედარების ისეთი მეთოდის ფორმირება, როცა ენა და კულტურა მოიაზრება საზოგადოებრივ ცნობიერებად, რომლის ფუნქციას, როგორც „საკუთარი თავის“, ასევე „სხვისი“ ასახვა წარმოადგენს (Балтова, Ефимова, Липовска, Петрова, 2003:5).

სლავური ასოციაციური ლექსიკონი, წარმოდგენილი ბელორუსული, ბულგარული, რუსული და უკრაინული ენების წარმომადგენლებთან ასოციაციური ექსპერიმენტების ჩატარების საფუძველზე, აძლევს მკვლევარს ოთხ სლავური კულტურულ ცნობიერებაში შედგენისა და მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენის უნიკალურ შესაძლებლობას.

წინასიტყვაობაში განხილულია ავტორის მიერ აღებული საკვლევო სიტყვა „ადამიანი“. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ოთხივე ენის წარმომადგენელთა ასოციაციები ადამიანის შესახებ ყველაზე მეტად *ცხოველს, ცოცხალ არსებას* უკავშირდება. მაგალითად, ბულგარულში ასოცირდება *მაიმუნთან (ასოციაციის სიხშირე-11)*, უკრაინელების ასოციაცია ადამიანის შესახებ მაიმუნის 3 სახეობას უკავშირდება: (*мартышка-3, макака-1 и обезьяна-1*), როგორც ვხედავთ ადამიანის შესახებ ყველაზე მეტი ასოციაცია ოთხივე ჯგუფში მაიმუნს უკავშირდება. აქტუალურია ასევე ადამიანის ჭკუასთან, მეგობართან, პიროვნებასა და გონებასთან ასოცირება (Балтова, Ефимова, Липовска, Петрова, 2003:12).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „რუსული ასოციაციური ლექსიკონის“, (რომლის მასალა გროვდებოდა 1988-1991 წლებში), 1 ტომში, სიტყვა-სტიმული *ადამიანი* თითქმის არ იწვევდა ისეთ ასოციაციას, როგორცაა *პიროვნება* და *მამაკაცი* (542 გამოკითხულისგან მხოლოდ 4 ადამიანმა დააფიქსირა მსგავსი პასუხი). 10 წლის განმავლობაში ცნობიერებამ ბევრი ცვლილება განიცადა, რამაც მაშინვე გამოკითხულთა პასუხებშიც ჰპოვა ასახვა: სიტყვა-სტიმული *ადამიანის* პირველ რეაქციად იქცა *მამაკაცი*, რომელიც ყველაზე ხშირი პასუხების ათეულში მოხვდა, ხოლო რაც შეეხება რეაქციას „*პიროვნება*“ - მისი სიხშირე გაორმაგდა, ხოლო *ადამიანის* ქალთან ასოცირების მხოლოდ 1 შემთხვევა დაფიქსირდა. ახლა ვნახოთ, რა ხდება სლავურ ასოციაციურ ლექსიკონში სიტყვა-სტიმულ *ადამიანთან* დაკავშირებით: ბელორუსებთან „*ადამიანის*“ - *მამაკაცთან* ასოცირების სიხშირე 28 *ჯერ* ფიქსირდება; ქალთან ასოცირება - მხოლოდ 3-*ჯერ*; ბულგარელებში: რეაქცია *მამაკაცი* გვხდება 19 *ჯერ*, ქალი - 5; რუსები: *მამაკაცი* - 12, ქალის ასოციაციას კი საერთოდ არ იწვევს. უკრაინელები: რეაქცია *მამაკაცი* 5, ქალი - 1. როგორც ვხედავთ, სიტყვა-სტიმული *ადამიანი* ოთხივე ენობრივ ჯგუფში, განსაკუთრებით კი ბელორუსებში *მამაკაცის* ასოციაციას უფრო იწვევს, ვიდრე ქალის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რეაქცია - *მე* სიტყვა-სტიმულ *ადამიანთან* დაკავშირებით, მხოლოდ ბელორუსებთან მოხვდა ყველაზე ხშირი რეაქციების ათეულში (ბულგარელებთან მხოლოდ - 5, რუსები - 3, უკრაინელები - 0)

ოთხივე ჯგუფისთვის ადამიანი იწვევს უფრო კარგის ასოციაციას, ვიდრე ცუდის: ბელორუსები - *კარგი 34/ ცუდი 1*;

ბულგარელები - *კარგი 21/ ცუდი 4* (Балтова, Ефимова, Липовска, Петрова 2003:12).

რუსი - *კარგი 20/ცუდი 2*

უკრაინელები - *კარგი 20/ ცუდი 2*

ასოცირდება უფრო მეგობართან, ვიდრე მტერთან:

ბელორუსები - *მეგობარი 8/ მტერი 1*

ბულგარელები - *მეგობარი 11/ მტერი 3*

რუსი - *მეგობარი 17/ მტერი 4*

უკრაინელები - *მეგობარი 4/ მტერი 3*

როგორც ვხედავთ, ასეთი ზედაპირული ანალიზიც კი იძლევა ოთხივე ეთნიკურ ჯგუფში მსგავსების აღმოჩენის საშუალებას, თუმცა, ეს რასაკვირველია სრულებითაც არ ნიშნავს მათ ერთნაირობას. შეიძლება ვივარაუდოთ ეთნიკური ჯგუფების განსაზღვრული მსგავსება, განსაკუთრებით ბელორუსების, რუსებისა და უკრაინელების, რაც ბუნებრივია დაკავშირებული მათ საერთო წარმომავლობასთან, ისტორიასა და ერთმორწმუნეობასთან. როგორც ვხედავთ, „სლავური ასოციაციური ლექსიკონი“ გვევლინება 4 სლავი ხალხის მსოფლმხედველობის კვლევის რეალურ ინსტრუმენტად, რომელიც მათ არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ სისტემურადაც იკვლევს (Балтова, Ефимова, Липовска, Петрова 2003:13).

ერთა კულტურულ-ისტორიულ წარსულს წარმოგვიდგენს ე.ლ. ხოხლოვას 2004 წელს მოსკოვში გამოცემული, ისტორიული ტერმინების, ცნებებისა და რეალიების ლექსიკონი, რომელშიც მოცემულია რელიგიური, ეკლესიური, საერთაშორისო ურთიერთობების, არქიტექტურის, სამხედრო საქმის, ეთნოგრაფიული 1800 სიტყვა-ტერმინი თუ მოვლენა, დაკავშირებული მჭიდროდ მსოფლიო ისტორიასთან. განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს ეკლესიურ ტერმინებს. ხსენებული ლექსიკონი, მოკლე მიმოხილვითი განმარტებების საფუძველზე, მსოფლიო ისტორიული ფაქტების, საერო თუ ეკლესიური ცხოვრების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის და განმარტებას რუსულის გარდა სამ ენაზე: ინგლისურზე, ფრანგულსა და გერმანულზე წარმოგვიდგენს. როგორც წინასიტყვაობაში წერია, ასეთი ტიპის წიგნი პირველი გამოცემაა ამ ქვეყანაში.

სიტყვა-სტატია განლაგებულია შემდეგნაირად: სიტყვა ტერმინი რუსულ ენაზეა მოცემული, მუქი შრიფტით, პირველი განმარტება რუსულადაა მოცემული, შემდეგ კი აბზაცებადაა გამოყოფილი განმარტებები ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

Аббат – настоятель мужского монастыря 2. Церковный чин, стоящий в иерархии церкви сразу после епископа

Abbot

Abbe m

Abt m (Хохлова, 2004:9)

შემდეგნაირადაა განმარტებული ისტორიული ფაქტები:

Австро-прусская война ж// 1866 г. Завершила в пользу Пруссии ее борьбу с Австрией за главенство среди германских государств.

Austro-Prussian War

Guerre faustro-prussienne (de 1866)

Deutscher Krieg m (Preußen-Österreich, 1866) (Хохлова, 2004:10).

ლექსიკონის მომხმარებელთა შორის უპირატესობა ენიჭება რუსულენოვან მომხმარებელს, რადგან სიტყვა-განმარტების ძირითად ენად რუსული გვევლინება. სიტყვის გრამატიკულ ფორმები და დარგობრივი მნიშვნელობები შემოკლებული ფორმებითაა აღნიშნული.

როგორც ვხედავთ, ხსენებული ლექსიკონი, მოკლე მიმოხილვითი განმარტების საფუძველზე, მსოფლიო ისტორიული ფაქტების, საერო თუ ეკლესიური ცხოვრების შესახებ გარკვეულ წარმოდგენის გვიქმნის, მითუმეტეს, რომ მოცემული ლექსიკონი, რუსული ენის გარდა, აღნიშნული ფაქტის მოკლედ, მაგრამ 3 ენაზე გაგებას უზრუნველყოფს.

მთარგმნელისთვის, ენობრივი შუამავლობის განხორციელების დროს, უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია ისეთი ტიპის ლექსიკონს, როგორცაა მ.ი. ისაევის 2001 წელს, მოსკოვში, გამომცემლობა „Флинта“ და „Наука“-ის მიერ გამოცემული „ეთნოლინგვისტური ცნებებისა და ტერმინების ლექსიკონი“. როგორც წინასიტყვაობაში წერია, ლექსიკონური ინფორმაცია, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის ქვეყნების ეთნოლინგვისტური პრობლემების ანალიზს, არ ემსახურება არანაირ პოლიტიკურ მიზნებს, უბრალოდ ავტორის ინტერესი გამოწვეულია ამ ტერიტორიაზე არსებულ ერთა მჭიდრო ეთნოკულტურული, ეთნოგენეტიკური და ენობრივი სიახლოვით, რომელიც სადავეს შორეული ისტორიული სიღრმეებიდან იღებს.

გარკვეული ეთნიკური დაჯგუფების შესახებ ლექსიკონური სიტყვა სტატიის განმარტება შემდეგი ქრონოლოგიით ყალიბდება:

ლიტველები, (თვითდასახელება летувыяй), მოსახლეობის რაოდენობა ლიტვაში (2924,3 ათასი ადამიანი) და სხვადასხვა ტერიტორიებზე: უკრაინა (11,3 ათასი), ყაზახეთი (10,9 ათასი), ბელორუსია (7,6 ათასი), ესტონეთი (2,6 ათასი), საქართველო (1,0 ათასი), ამერიკის შეერთებული შტატები (350 ათასი), კანადა (30 ათასი),

პოლონეთი (15 ათასი), ავსტრალია (10 ათასი) და რამდენიმე სხვა ქვეყანაში. მთლიანი რაოდენობა ლიტველების შეადგენს 3,5 მილიონ ადამიანს (1989), მიეკუთვნება თეთრი ზღვისა და ბალტიისპირეთის რასას. სარწმუნოება - ძირითადად კათოლიკეები.

მოსახლეობა შეიქმნა ბალტიისპირეთის ტომებისგან, რომლებიც მეცხოველეობასა და მეფრინველეობას მისდევდნენ. მათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 ათასწლეულის ბოლოს და მე-2 ათასწლეულის დასაწყისში ნემანისა და დეუგავას მდინარეების აუზში შეაღწიეს და ჩამოყალიბდნენ ადგილობრივ მოსახლეობად. ინტეგრაციულ-ეთნიკურმა პროცესებმა მე-16 საუკუნეში ჩამოყალიბა ლიტველების სუბეთნიკური ჯგუფები, ხოლო მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში კი ყალიბდება ლიტვური სახელმწიფო. მე-14, მე-16 საუკუნეებში ვითარდება და ღრმავდება ლიტვა-აღმოსავლეთ სლოვაკური, ანუ რუსეთთან, ბელორუსიასა და უკრაინასთან უთიერთობები.

საბოლოოდ ლიტვური ერი ჩამოყალიბდა მე-13-15 საუკუნეებში. 1795-1815 წლებში ძირითადი ეთნიკური ტერიტორია შევიდა რუსეთის შემადგენლობაში. 1940 წელს ლიტვა შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, 1990 წელს კი დამოუკიდებლობა დაიბრუნა.

ლიტვური დაწერლობა გაჩნდა მე-16 საუკუნეში ლათინური გრაფიკის საფუძველზე. პირველი წიგნი გახლდათ მ. მაჟვადასას „კატეხიზისი“ (1547). ლიტერატურული ენის განვითარების პირველ პერიოდში, რელიგიური წიგნების გარდა ჩნდება ფილოლოგიური ხასიათის წიგნები, ასევე გრამატიკულიც. საბოლოოდ ლიტერატურული ლიტვური ენა ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აუკშტაისკის (ზემოხსენებული ლიტვური დიალექტი) საფუძველზე (Исаев, 2001:80).

ისეთი ლინგვისტური მოვლენა, როგორცაა „მთარგმნელთა ცრუ მეგობრებად“ წოდებული ენათშორისი ომონიმი, ანუ სხვადასხვა ენაში მსგავსი ფორმით, თუმცა შინაარსობრივად სხვადასხვა მოვლენის აღმნიშვნელი ენობრივი ერთეული, თარგმნის პროცესში შეიძლება მნიშვნელოვანი შეცდომების გამომწვევი მიზეზი გახდეს.

„მთარგმნელთა ცრუ მეგობრები“ საკმაოდ კარგად შესწავლილი და დაფიქსირებულია ორენოვანი ლექსიკონების სახით ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებში. ენათშორისი ომონიმების ბრწყინვალე მაგალითია კრასნოვის 2004 წელს მოსკოვში გამოცემული „მთარგმნელის ცრუ მეგობრების“ ინგლისურ-რუსული ლექსიკონი, სადაც თავმოყრილია 1000 ზე მეტი სიტყვა სტატია, ანუ ინგლისური სიტყვები, რომლებიც მიუხედავად ფონეტიკური ან მორფოლოგიური თვალსაზრისით რუსული ლექსიკური ერთეულების ანალოგიურობისა, ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობით წარმოგვიდგება. ასეთია მაგალითად:

1) *Agitation* - რუსული „агитация“-ასთან გრაფიკული მსგავსების მიუხედავად, მისი განმარტებაა: взбалтывание, перемешивание, волнение, беспокойство; უნდა აღინიშნოს, რომ *Agitation* როგორც საერთაშორისო სიტყვა, არა მხოლოდ რუსულ, არამედ ქართულ, ფრანგულ და გერმანულ ენებშიც აგიტაციის მნიშვნელობით გამოიყენება, ამიტომაც, ენის შემსწავლელსა და თარჯიმანს სრულიად ლოგიკურად შეიძლება შეცდომა გაეპაროს და სხვა ენების მსგავსად ზემოხსენებული სიტყვა ინგლისურ ენაშიც აგიტაციის მნიშვნელობით გამოიყენოს;

2) *absurd* - რუსული „абсурд“-ის ფონეტიკურ-გრაფიკული აბსოლუტული ანალოგიურობის მიუხედავად, შემდეგი შინაარსობრივი განმარტებით წარმოგვიდგება: смешной, нелепый, забавный, смехотворный;

3) *Bra* – лифчик, бюстгальтер;

4) *Macaroon* – миндальное/кокосовое печенье და ა.შ.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ და თურქულ სივრცეში „მთარგმნელთა ცრუ მეგობრები“ არ არის შესწავლილი. მაშინ როცა სხვა ენების მსგავსად აქაც მოიძებნება მთარგმნელის ჩიხში შემყვანელი ენათშორისი ომონიმები, ფონეტიკურ-გრაფიკულად მსგავსი სიტყვები, მაგალითად:

თურქების მიერ ქართული ენის შესწავლა-გამოყენებისას, ამგვარი ტიპის ყველაზე ხშირად დაფიქსირებულ შეცდომას ქართული ზმნა „ყოფნის“ 1 პირის - „ვარ“ ფორმის თურქული „var“-ის გაყინულ ფორმასთან არევა წარმოადგენს. ქართული ენის შემსწავლელ თურქთა, თამამად შეიძლება ითქვას დიდი უმრავლესობა, ასეთი ტიპის შეცდომას უშვებს: „ის კარგი გოგონა ვარ“, რადგანაც

თურქ მოსაუბრეს, საუბრის დროს, ფორმების მსგავსების საფუძველზე, პირველ რიგში, მეხსიერებაში აღბეჭდილი მშობლიური „var“-ი უტივტივდება და ძალიან დიდი ხანი სჭირდება იმის აღქმა-შეგუებას, რომ მის გონებაში საგულდაგულოდ ჩაბეჭდილმა „ვარ“-მა, 1 პირის ნაცვლად, მართალია სხვა ენაში, მაგრამ მაინც, მე-3 პირში გადმოინაცვლა.

იგივე ტიპის შეცდომას უშვებს თურქული ენის შემსწავლელი ქართველი, რომელიც თურქულად საუბრისას, რაიმე საკითხთან დაკავშირებით ვარაუდის გამოთქმის დროს, თურქულ სიტყვა *elbet*-ს (ქართული ომონიმი - ალბათ) გამოიყენებს. აქვე მოგახსენებთ, რომ თურქულ სიტყვა „*elbet*“-ს შინაარსობრივად, ქართულ „ალბათ“-თან არანაირი კავშირი არ გააჩნია, უფრო მეტიც, ეს სიტყვები ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობებს გამოხატავენ (*ალბათ* - სავარაუდოდ; *elbet*, *elbette* - ეჭვგარეშე, აუცილებლად). მსგავსი შეცდომებს შეუძლია „*ალბათ წამოვალ*“-ის ნაცვლად „*რასაკვირველია წამოვალ*“-ის მსგავსი, საკმაო მასშტაბის ცვლილება მოგვეცეს და მსმენელიც, შესაბამისად გაუგებრობაში შეიყვანოს.

მსგავსი მაგალითებია: *მამული* (წინაპრებისაგან მიღებული უძრავ-მოძრავი ქონება და სამშობლოდ აღქმული) და გრაფიკულ-ფონეტიკურად ძალიან ახლოს მდგარი თურქული სიტყვა - *mamul* (ნაკეთობა, პროდუქტი); *მასალა* (პროდუქცია, შემადგენელი ნაწილი, დოკუმენტაცია) - *masal* (ზღაპარი, იგავი) და მრავალი მისთ.

როგორც ვხედავთ, ქართულ-თურქული ენათშორისი ომონიმების ეს მცირე ჩამონათვალი, ცხადყოფს ლექსიკოგრაფთა მიერ ქართულ-თურქულ „მთარგმნელთა ცრუ მეგობრების“ სალექსიკონო ნაშრომების შედგენის აუცილებლობას, რადგან მსგავსი ლექსიკონის არსებობა, ზემოხსენებული მაგალითების მსგავსი ლინგვოეთნიკური შეცდომების მინიმუმამდე დაყვანისა და ენის მომხმარებელთათვის სერიოზული დახმარების შესაძლებლობას იძლევა.

ენისადმი კონცეპტუალურ მიდგომას, ადრესატისთვის ერისა და ენის რეპრეზენტაციის ეფექტური გზების ძიებას იდეოგრაფიული, ანუ თეზაურუსული (კონცეპტუალური და თემატური) ტიპის ლექსიკონების შექმნისაკენ მივყავართ. ამგვარი ტიპის ლექსიკონების ძირითად სახასიათო ფუქციას არა ცალკეული სიტყვა და მისი გრამატიკულ-სემანტიკური გაშიფრვა წარმოადგენს, არამედ, ის ხასიათდება ენასა და ლექსიკურ ერთეულებს შორის აზრობრივი ბმულების ლინგვისტურ-

კულტურული დახასიათებით. სიტყვისადმი თეზაურუსული მიდგომა ნიშნავს სიტყვის მრავალმხრივ აღწერის საფუძველზე მისი აბსოლუტური რეალიზაციის უზრუნველყოფას.

ლინგვისტური განსაზღვრების მიხედვით, თეზაურუსი არის ენობრივი გამოთქმების ლექსიკონი (სიტყვების/ან სიტყვათაშეთანხმებების), რომლებიც საერთო მნიშვნელობის ჯგუფების ქვეშ ერთიანდებიან. ჩვეულებრივი, ანბანის მიხედვით განლაგებული ლექსიკონისაგან განსხვავებით, თეზაურუსი კომპლექტება თემატიკისა და იდეოგრაფიის მიხედვით (Жаботинская, 2009:2).

ასეთი ფართე სემანტიკური სივრცის მქონე ლექსიკონები, რომლებიც მოცემული ენის ყველა ლექსიკონს მოიცავენ, მისი შედგენის სირთულის გამო, ძალიან იშვითობას წამოადგენს. კონცეპტუალური კატეგორიები, რომლების აყალიბებენ ლექსიკონის სემანტიკურ სივრცეს და ხდებიან საფუძველი ლექსიკონის სემანტიკური ველისა, იერარქიულ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, ანუ უერთდებიან ერთმანეთს ჰიპერო-ჰიპონიმიური ან პარტონიმიური ურთიერთობების საფუძველზე. ლოგიკურ ლექსიკონებს შორის აღსანიშნავია პ. მ. მოჟეს თეზაურუსი. ამ ლექსიკონში მთელი ინგლისური ენის ლექსიკონი თავიდანვე კორელაციაშია 6 კონცეპტუალურ სფეროსთან:

1. აბსტრაქტული დამოკიდებულება;
2. სივრცე;
3. ნივთიერება (მატერია);
4. ინტელექტი;
5. სურვილი;
6. ფსიქოლოგიური მდგომარეობა (აფექტები).

ამ ყველა სფეროს ახლავს დეტალური კლასიფიკაცია, რის საფუძველზეც, გამოიყოფა 1000 სემანტიკური კატეგორია და 8 დონე, რომლებიც იერარქიულ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან.

რ. ჰალიგისა და ვ. ვარტბურგის ცნობილ ლექსიკონ-თეზაურუსში გერმანული ენის ლექსიკური შემადგენლობა სტრატეგიფიცირებულია ისეთი კონცეპტუალური კლასებითა და ქვეკლასებით, როგორცაა: *სამყარო - ცა და ატმოსფერო. მიწა. მცენარეთა სამყარო. ცხოველთა სამყარო. ადამიანი - როგორც ცოცხალი არსება. სული*

და გონება. ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი. სოციალური ორგანიზაცია და სოციალური ინსტიტუტები. სამყარო და ადამიანი - მეცნიერება და ტექნიკა (Жаботинская, 2009:3).

მეორე საფეხურზე, თითოეულ ქვეკლასს აქვს საკუთარი კონცეპტუალური სტრატეფიკაცია. მაგალითად: ადამიანი: ადამიანი როგორც სულიერი არსება - (1) სქესი. (2) რასა. (3) სხეულის ნაწილები. (4) ორგანოები და მათი ფუნქციონირება. (5) ხუთი გრძნობა. (6) მოძრაობა და სხეულის მდგომარეობა. (7) ძილი. (8) ჯანმრთელობა და დაავადებები. (9) ზოგადად ადამიანური ცხოვრება. (10) ადამიანის, როგორც სულიერი არსების მოთხოვნილებები. სული და გონება - (1) საერთო მდგომარეობა, ჭკუა, სიბრძნე, შესაძლებლობები. (2) აღქმა. (3) ცნობიერება, წარმოდგენები. (4) მეხსიერება. (5) წარმოსახვა. (6) ფიქრი. (7) გრძნობა. (8) სურვილი. (9) მორალი. ადამიანი, როგორც სოციუმის წევრი - (1) სოციუმის ცხოვრება ზოგადად: ა) სოციუმის წყობა; ბ) ენა; გ) საზოგადოებრივი ურთიერთობები. (2) ადამიანი და შრომა: ა) საერთო მდგომარეობა; ბ) სოფლის მეურნეობა; გ) ხელობა და პროფესიები; დ) მრეწველობა; ე) ვაჭრობა; ვ) კერძო საკუთრება; ზ) სახლი, ოთახი; (3) ტრანსპორტი. (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი). სოციალური ორგანიზაცია და სოციალური ინსტიტუტები - (1) საზოგადოებრივი კოლექტივი. (2) სახელმწიფო. (3) უფლებები. (4) განათლება. (5) საგარეო პოლიტიკა. (6) ნაციონალური თავდაცვა. (7) ომი. (8) ლიტერატურა და ხელოვნება. (9) რწმენა და რელიგია (Жаботинская, 2009:4).

როგორც ვხედავთ ეს კონცეპტუალური, გლობალური ცოდნის მოდელი არის ბრწყინვალე, შეუცვლელი საშუალება ენის რეპრეზენტაციისა. ჩვენს მიერ აღწერილ თურქულ-ქართულ ღარიბულ ლექსიკოგრაფიულ სივრცეში მსგავსი ლექსიკონის არსებობაზე ჯერჯერობით მხოლოდ ოცნება თუ შეგვიძლია. მსოფლიო ლექსიკოგრაფიული განვითარების ფეხდაფეხ, აუცილებლად უნდა შეიქმნას მთელი საზოგადოების ცხოვრების, ადამიანური ცოდნის ფენომენის, ეთნომენტალური სამყაროს რეპრეზენტაციის ბრწყინვალე საშუალება - თეზაურუსული ლექსიკონი.

როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, ენის შესწავლა და თარგმანის განხორციელება ენის მხოლოდ ლინგვისტურ აღწერა-დაუფლებას არ ითვალისწინებს. სრულყოფილი თარგმანის განხორციელება კონკრეტული ენის კონცეპტუალური სამყაროს დეკოდირების შემთხვევაშია შესაძლებელი.

ზემოხსენებული ლექსიკონები, რომლებიც დაწვრილებით გვიამბობენ ენობრივი საზოგადოების რელიგიურ და კულტურულ ტრადიციებზე, ქვეყნის სახელმწიფო და სოციალურ წყობაზე, ეროვნულ თავისებურებებზე; ლექსიკონები, რომლებიც საკვლევი ერების ცნობიერებაში შეღწევისა და მათი ასოციაციური წარმოდგენების საფუძველზე, ერთაშორისი მსოფლმხედველობის მსგავსებისა თუ აბსოლუტური სხვადასხვაობების აღმოჩენაზეა ორიენტირებული; ლექსიკონები, რომლებიც წარსულში ექსკურსის მოწყობის საფუძველზე ისტორიული ტერმინების, ცნებებისა და რეალიების მომხმარებელთათვის წარდგენას უზრუნველყოფს, დაინტერესებულ პირს კონკრეტული ეთნოსის ფორმირების გზების, მოსახლეობისა და საცხოვრებელი ტერიტორიის, ენის ლინგვისტურად ჩამოყალიბების შესახებ წარმოდგენას შეუქმნის და მისცემს საშუალებას გარკვეული ლინგვოკულტურული პრობლემების გადაჭრის გზები მის ისტორიულ წარსულსა და სხვა ენებთან ურთიერთობებში ეძებოს, სამწუხაროდ, ქართულ-თურქულ ლექსიკოგრაფიას არ გააჩნია.

3.2. ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონების შემუშავების აუცილებლობა

როცა ვსაუბრობთ წყარო ტექსტის მსგავსად ადეკვატურ-ემოციური თარგმანის განხორციელებაზე, რომელიც მთარგმნელის შიდა თუ გარეენობრივი ტრანსფორმაციების მოქნილად გამოყენებას მოითხოვს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ წყარო ტექსტის ინვარიანტულობის შენარჩუნების საკითხი, როგორ უნდა შენარჩუნდეს ავტორისეული ეროვნული სული, სპეციფიკური ენა, რომელიც სადავეს დიალექტიკით გაჯერებული მშობლიური ლიტერატურული ტრადიციებიდან იღებს; როგორ უნდა აღიქვას უცხოენოვანმა მკითხველმა მოცემული ენის წიაღში არსებული სხვადასხვა რეალიები, რომლის საშუალებითაც მოახერხებს კონკრეტული პერსონაჟის თვალთ დაწახული სამყაროს აღქმას. რასაკვირველია, ესოდენ რთული ფუნქციის განხორციელება უპირველესად ისეთ მთარგმნელებს ძალუძთ, ვისაც წყარო ტექსტის ფონური სამყარო საკუთართან აქვს გაიგივებული. მთარგმნელის კომპეტენტურობის გარდა, ამ უზარმაზარი შრომის განხორციელების უმთავრეს ბერკეტს ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონი, ანუ ენის კულტურული ცხოვრების სარკე წარმოადგენს.

ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონის მიერ დაფიქსირებულ რეალიათა ისტორიულ ცვლილებებზე კონცენტრირება კი თავის მხრივ წარმოგვიჩენს მოვლენათა მნიშვნელობებს, შეძლებისდაგვარად მოახერხებს ამა თუ იმ ფენის წარმომადგენელთა დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა აღწერას, შემუშავებულს მისი საზოგადოებრივი სტატუსის საფუძველზე, გვიქმნის წარმოდგენას გარკვეულ ეპოქაში სტერეოტიპების არსებობასა და მათი გამეფების მიზეზებზე.

ლინგვოკულტუროლოგიური ტიპის ლექსიკონების ბრწყინვალე მაგალითია: პრეცედენტული ტექსტებითა და სახელებით, ცხოველთა სიმბოლური გამოხატულებებით, მითებისა და ზღაპრული პერსონაჟების ამსახველი ლექსიკური ერთეულებით, რუსული კულტურული სამყაროს პრეზენტატორი, 2004 წელს ი.ვ. ზახარენკოს, ვ.ვ. კრასნიხისა და დ.ბ. გუდკოვას რედაქციით გამოცემული „რუსული კულტურული სივრცე“. ამ ლექსიკონში აღწერილია ფენომენები, რომლებიც გვევლინება რუსული კულტურული სივრცის რეპრეზენტატორებად (Захаренко, Красных, Гудкова, 2004:8).

ლექსიკონის პირველ გამოშვებაში მოთავსებულია დაახლოებით 200 სიტყვა სტატია, თითოეული მათგანი შეიცავს ჰუმანიტარულ-ენციკლოპედიურ ინფორმაციას, რუსულ ენობრივ ცნობიერებაში გამეფებულ ფენომენის სტერეოტიპულ წარმოდგენას, ლექსიკური ერთეულების აზრობრივად გამოყენების კონტექსტებს. ლექსიკონში მოცემულია მდიდარი ილუსტრირებული მასალა რუსული თანამედროვე დისკურსიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონი თავისი ნაციონალურ-ფოლკლორული ხასიათით ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი მიმართულებით ხასიათდება, თუმცა, წინასიტყვაობაში, თანავტორები განიხილავენ რა ლექსიკონს ე.დ. ხირშის თეორიული კვლევებისა და მისი პრაქტიკული განსახიერების „კულტურული ცოდნის ლექსიკონი“-ს კონცეფციის საფუძველზე, მათეულ მიდგომასა და ლინგვოქვეყანათმცოდნეობით მიმართულებას შორის სხვაობას აღმოაჩენენ. ხირში ამტკიცებს, რომ ენის წარმატებული ფლობისათვის აუცილებელია გავეცნოთ განსაზღვრულ მენტალურ-კულტურულ სქემებს, ეტიკეტებს (ციტატებს, სახელებს, თარიღებს, ჟესტებს, შემოკლებებსა და ა.შ.). ყველა ნაციონალური კულტურისთვის დამახასიათებელი ეს კრებული განსაზღვრავს ენობრივ მნიშვნელობებს,

კომუნიკაციის თავისებურებებს, ტექსტთა აზრობრივ მნიშვნელობებს და განსაზღვრული ნაციონალურ-ლინგვისტურ-კულტურული საზოგადოების დისკურსის სპეციფიკას. ამ ლექსიკონში ზემოხსენებული მეცნიერი თავის თავაავტორებთან ერთად შეეცადა წარმოედგინა კრებული ინფორმაციებისა, რომელსაც უნდა ფლობდეს ყველა ამერიკელი (სხვადასხვა ცხოვრებისეული სფეროდან: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, რელიგია, ლიტერატურა, გეოგრაფია, და ა.შ.), ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, ლაპარაკია კონკრეტული ნაციონალურ-ლინგვოკულტურული საზოგადოების წევრთათვის განსაზღვრული კულტურული მინიმუმის შექმნის შესახებ (Захаренко, Красных, Гудкова, 2004:8).

რუსული კულტურული სივრცის თანაავტორები გარკვეულწილად ეთანხმებიან ხირშისეულ იდეებს, თავიანთ კვლევებში ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომებს უფრო ანიჭებენ უპირატესობას. ვ.ი. თელიას ნაშრომებზე დაყრდნობით, თვლიან რომ კულტურული კატეგორიების კონცეპტუალური გააზრება ასახვას ჰპოვებს გამოსახულებით სისტემებში, რომელიც თავის მხრივ ნაციის მსოფლმხედველობის კუმულაციის თავისებურ „ნიშეს“ წარმოადგენს (Захаренко, Красных, Гудкова, 2004:8).

ეს კუმულაცია ასე თუ ისე დაკავშირებულია მოცემული ენობრივი საზოგადოების მატერიალურ, სოციალურ თუ სულიერ კულტურასთან, ამიტომაც მისი კულტურულ-ნაციონალური გამოცდილებისა და ტრადიციების მოწმედ გვევლინება. ლინგვოკულტუროლოგია პირველ რიგში იკვლევს ცოცხალ კომუნიკაციურ პროცესებს და მასში გამოყენებულ ენობრივ გამოთქმებსა და ნაციის სინქრონულად მოქმედ მენტალიტეტს შორის კავშირს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონს აქვს ფიქსირებადი ხასიათი და შიგ მოცემული მასალა აღწერილია არა ისე, როგორც საჭიროა ვიცოდეთ, არამედ ის აღწერილია თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით, ანუ როგორც არის სინამდვილეში, როგორც აღქმულია ნებისმიერი რუსული ეროვნულ-კულტურული საზოგადოების წევრის მიერ. ამიტომაც ზემოაღნიშნული ლექსიკონი არადიდაქტიკურ და ფიქსირებად-ორიენტირებად ხასიათს ატარებს, რითაც ის განსხვავდება ჩვეულებრივი ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი და ზემოხსენებული „კულტურული ცოდნის ლექსიკონებისგან“, რომლებიც ნორმატიული ტიპის

ლექსიკონებს მიეკუთვნებიან და ასრულებენ სოციალურ-რეგულატორულ ფუნქციებს ენობრივ ცხოვრებაში (Захаренко, Красных, Гудкова, 2004:9).

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონის შედგენისას, სუბიექტურობის გასაქარწყლებლად, ავტორების მიერ მასალების შერჩევა მოხდა არა მარტო ინტროსპექციულობაზე დაყრდნობით, არამედ ანკეტირებული ფორმით ექსპერიმენტების შედეგად მოპოვებული მასალებისა და ლიტერატურული ტექსტების გამოყენებით, რომლებიც გამოხატავენ რუსული ეროვნულ-ლინგვოკულტურული საზოგადოების დისკურსის რეალურ მდგომარეობას და ასახვას ჰპოვებენ რუსულ ენობრივ და კულტურულ ცნობიერებაში, რომელიც ლექსიკონის ავტორების შესწავლის საგანს წარმოადგენს.

აღნიშნული ლექსიკონი, ასაღწერი ფენომენების შესახებ ენციკლოპედიურ ინფორმაციას გვაწვდის. ავტორები განსაკუთრებით ინტერესდებიან რუსული ეროვნულ-ლინგვოკულტურული საზოგადოების დისკურსში ასაღწერი ფენომენის ფუნქციონირების თავისებურებებით, რომელიც განსაზღვრავს ამ სახელის „სემანტიკას“. „სემანტიკა“ რასაკვირველია ურთიერთდამოკიდებულებაშია სახელის მატარებლის ენციკლოპედიურ ინფორმაციებთან, მაგრამ მისი დეტერმინაცია მხოლოდ ამითი არ განისაზღვრება, (მაგალითად: რუსებისთვის უკვდავი კაშიი არა იმდენად საშინელი ყოვლისშემძლე ჯადოქარია, რომელიც დაინტერესებულია ულამაზესი პრინცესებით, რამდენადაც გამვალტყავებული, არაქათგამოცლილი ადამიანი). ანუ, ავტორები ეცდებიან, რეალის არა იმდენად „იდეალურად“ და ყოვლისმომცველი ინფორმაციით აღწერას, არამედ ადამიანის ცნობიერებაში რეალიების ინვარიანტული სახის გამოვლენის და პრეზენტაციის ენასა და მეტყველებაში ასახვას (Захаренко, Красных, Гудкова, 2004:10).

ლექსიკონი შედგება 4 ნაწილისგან: პირველი ნაწილია „ზოომორფული გამოსახულებები“, რომელშიც მოცემულია ის ზოონიმები, რომელიც ხშირად გამოიყენება ადამიანის ზოომორფული დახასიათების დროს; 2) „პრეცედენტული სახელები“, 3) „პრეცედენტული ტექსტები“, 4) „პრეცედენტული გამოთქმები“.

ზემოხსენებული ლექსიკონის განყოფილებებში სიტყვა სტატიის განმარტება სამ ქვეპუნქტად იყოფა: 1) ასაღწერი ფენომენის ადგილის შესახებ მითოლოგიურ

პანთეონში; 2) კულტურული შეხედულებებისა და მისი როლის შესახებ; 3) ფუნქცია, რომელსაც იგი ასრულებს დისკურსში (Захаренко, Красных, Гудкова, 2004:44).

მაგ: მელა 1. რუსულ ზღაპრებში და იგავ-არაკებში მოხსენებულია როგორც ეშმაკი, ატყუებს იმათ, ვინც მასზე ძლიერია (Лиса и волк), იმათაც, ვინც მასზე სუსტია (Ворона и лисица). რუსული ფოლკლორის მიხედვით მელა ყოველთვის ქალია, მას შეიძლება ჰქონდეს სახელი (მამის სახელი). თუმცა ევროპული კულტურული ტრადიციის გავლენის შედეგად რუსებს შეექმნათ წარმოდგენა, რომ მელა არა მხოლოდ ეშმაკი, არამედ ჰკვიანიცაა.

2. ცხოველი, დაფარული წითური ბეწვით, მისი გარეგნობის მთავარ მახასიათებლად იქცა დიდი ფაფუკი კუდი. მელა რუსულ წარმოდგენებში დაკავშირებულია ეშმაკობასთან, მზაკვრობასთან, პირფერობასთან, რომელსაც მოხერხებულად ფარავს თავისი გარეგნობისა და მომხიბვლელობის ქვეშ.

3. თანამედროვე რუსები ხშირად იყენებენ მელას ადამიანის დახასიათების დროს: - эх, хитрая лиса этот Силаев, - глубоко затягиваясь сигаретой сказал Кирилл. Ф. Незнанский, Сибирский спрут. С чего бы он стал тебе так дорог? Может старая цереушная лиса, что-то скрываешь, недоговариваешь? Ф. Незнанский, кто правит бал (Захаренко, Красных, Гудкова, 2004:114) და ა.შ.

როგორც ვხედავთ ეს ინფორმაცია უცხოენოვანი მკითხველის ცნობიერებაში ბრწყინვალედ აყალიბებს მელიას მომხიბვლელი, მაცდუნებელი გარეგნობის ქვეშ შენიღბულ, მლიქვნელ და მატყუარა პიროვნების არსებობას და მისთვის უკვე აღარ იქნება უცხო განსაზღვრული ენობრივი კოლექტივისთვის ზემოხსენებული ცხოველის სიმბოლური მნიშვნელობა.

ზემოხსენებული ლექსიკონის შემდეგ განყოფილებას წარმოადგენს “პრეცედენტული სახელები”, რომლის, როგორც ავტორი ამბობს, არსებობა შეიძლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ფართედ გავრცელებულ ტექსტებთან ან სიტუაციებთან, მაგალითად: Илья Муромец, Дюймовачка და ა.შ. და ისეთები, რომლებიც „ავტონომიურად“ არსებობენ და არ არიან ტექსტებზე დამოკიდებული, მაგრამ პრეცედენტულობის ყველანაირი ნიშანი აქვთ, მაგალითად: მოცარტი, მაკარენკო, სოფია კავალევსკაია დ ა.შ. მაგალითად, ეს ბავშვი მომავალი მოცარტია,

სადაც მოცარტი ბავშვის ნიჭიერების განმსაზღვრელად არის გამოყენებული (Захаренко, Красных, Гудкова, 2004:24).

რაც შეეხება პრეცედენტულ ტექსტს, იგი დასრულებული, პოლიპრედიკატული ერთეულია, რომელიც დროთა განმავლობაში ტრადიციულად ილექება ადამიანის მეხსიერებაში და როგორც ავტორი ამბობს „საჭიროების შემთხვევაში ვერბალიზდება“ (Захаренко, Красных, Гудкова, 2004:18). პრეცედენტული ტექსტის გამოყენება საუბრის დროს ხორციელდება სიტუაციურად და ხშირ შემთხვევაში იმ პრეცედენტული სიტყვებისა და გამოთქმების მეშვეობით, რომელიც ამ ტექსტთანაა დაკავშირებული. პრეცედენტულ ტექსტად შეიძლება მოგვევლინოს სიმღერის ტექსტები, რეკლამები, მხატვრული ლიტერატურა და ა.შ., აღსანიშნავია, რომ პრეცედენტული ტექსტების შესახებ ინფორმაციას უნდა ფლობდეს განსაზღვრული ერის ნაციონალურ-კულტურული საზოგადოების წევრთა უმრავლესობა.

ავტორის მიერ მოყვანილ პრეცედენტულ ტექსტებს შორის ერთ-ერთია „ოქროს გასაღები ანუ ბურატინოს თავგადასავალი“ - ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ზღაპარი, რომელშიც მოთხრობილია გაუგონარ, მაგრამ მხიარულ და კეთილ ხის ბიჭუნაზე, რომელიც მოახერხებს და ხელთ იგდებს ბედნიერების ოქროს გასაღებს. ამ ზღაპარზე ძალიან ბევრი ფილმია გადაღებული, განსაკუთრებით პოპულარულობით გამოირჩევა 70-იან წლებში გადაღებული მიუზიკლი „ბურატინოს თავგადასავალი“, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ცნობილი მსახიობები, ამ სიმღერებს აქტიურად მღერიან დღესაც. ამ ზღაპარში ასახულია ძველი რუსული წარმოდგენები სასწაულზე (სიმბოლოდ კი იქცა *поле чудес* და *золотой ключик*), როცა ადამიანს ზემოდან რაღაც წყალობა მოევლინება დაუმსახურებლად (Захаренко, Красных, Гудкова, 2004:236).

თანამედროვე რუსები აქტიურად იყენებენ შემდეგ ფრაზას, რომელიც ხშირი გამოყენების საფუძველზე პრეცედენტულ გამოთქმად იქცა: *«какое небо голубое»* - 1. გამოყენების ადგილი: ფრაგმენტი მელა ალისასა და კატა ბაზილიოს სიმღერიდან. ამ ფრაზას სიმღერიდან წარმოთქვამს მელა ალისა, როცა ხარჩვენის პატრონს სურს (ასე ერქვა ადგილს, სადაც შეიძლებოდა იაფად დანაყრებულიყავი), გამოართვას ფული სადილისთვის, ხოლო მას კი არ სურს ფულის გადახდა. 2. იგულისხმება თემის

შეცვლის სურვილი. 3. თანამედროვე რუსებს შეუძლიათ გამოიყენონ ფრაზა, როცა ცდილობენ საუბრის თემის შეცვლას, თავს არიდებენ პასუხს, როცა თავს დამნაშავედ ან უხერხულად გრძნობენ.

- *Рита, ну когда у тебя защита кандидатской? Сколько можно тянуть? – Какое небо голубое – Понятно, опять в следующем году*
(Захаренко, Красных, Гудкова, 2004:284).

როგორც ვხედავთ, ეს ნაშრომი, ეს უბადლო საგანძური თავისი უნივერსალურობით, მიუხედავად განმარტებითი ხასიათისა და მკითხველზე ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებისა, ლექსიკონური ნაშრომებისთვის დამახასიათებელ ნორმატიულ ჩარჩოებში ვერ ეტევა და თამამად შეიძლება ითქვას, არალექსიკონურ შრომებს, ერის კულტურული ფასეულობების, ლინგვოკულტუროლოგიური ასოციაციების ენობრივ ასახვას წარმოადგენს. ასეთი ლექსიკონების არსებობა ყველა ენისთვის უდაოდ დიდი შენაძენია და ნებისმიერი უცხოელისთვის, ასათვისებელი ენის კულტურული ფონის მშობლიურის მსგავსად აღქმის ბრწყინვალე საშუალებაა.

ჩვენი კულტურული მეხსიერება, მრავალფეროვანი წარსული, უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობა გვაძლევს საშუალებას ზემოხსენებული ლექსიკონის მსგავსი უნიკალური კულტურული კრებულის შექმნისა, რომელიც ქართველი ერისთვის, კულტურულ ღირებულებათა ცვლილებების ასახვის საფუძველზე, თემათა პრეცედენტულობის ისტორიული დაფიქსირების, ხოლო ქართული ენის შესწავლის უკვე მაღალ საფეხურზე მდგომი უცხოელთათვის კი ქართული კულტურული ღირებულების წარდგენის ბრწყინვალე საშუალება იქნება.

ქართული ფოლკლორის შესანიშნავი ნიმუშებია ქართული ზღაპრები, რომელთა პოპულარულობამაც მრავალი პერეცედენტული სახე, ფრაზა და ზოონიმური სახე წარმოშვა. მაგალითად, ფოლკლორული სახეების ბრწყინვალე ნიმუშია ნაცარქექია, რომლის საქმიანობა მხოლოდ ნაცრის ქექვით შემოიფარგლება და ზარმაც ადამიანთან შედარების შემთხვევაში გამოიყენება; თავისი ხასიათით დღემდე აქტუალურია და ადამიანის მანკიერ მხარეებს ბრწყინვალედ აფიქსირებს სულხან საბას იგავ-არაკი „კატის გაზრდილი ლომი“, სადაც დაობლებულ ლომის ბოკვერს კატა შვილივით ზრდის, ლომი როგორც კი წამოიზრდება და ერთ დღეს

ლუკმას ვერ იშოვის, საკუთარი გამზრდელის შეჭმას დააპირებს. კატა თავის დასაღწევად გაიქცევა და ხეზე ადის. გაბრაზებული ლომი კატას ასძახებს: ჩემო გამზრდელო, ყველა შენი ხერხი და ზნე რომ მასწავლე, ეგ ხეზე ასვლა რად არ მასწავლეო. კატამ უპასუხა, ეს ჩემთვის შემოვინახე, ასეთ გაჭირვებაში რომ გამომდგომოდაო. სიტუაციური გამოყენება: ტექსტი ბრწყინვალედ გამოხატავს ადამიანის მანკიერ მხარეს, კერძოდ უმადურობას, ღვაწლის დაუფასებლობას, ხოლო ფრაზა: „ხეზე ასვლის სწავლება“ თავისი შინაარსის სიღრმით, ყველა დროზე მისადაგებისა და მუდამ აქტუალობიდან გამომდინარე, საოცრად პოპულარული გახდა და დღემდე არ კარგავს პრეცედენტულობას. ქართველები იყენებენ დაახლოებით ასეთი სიტუაციების დროს: პიროვნებაზე რაიმეს სწავლების დროს, შეგნებულად შემოინახავენ ხოლმე რაღაც დეტალს, რათა მათი ჩანაცვლება არ მოხდეს ახალი კადრით და მათზე მოთხოვნილება არ დაიკარგოს: *ეგლა მაკლია ხეზე ასვლაც ვასწავლო.... ხეზე ასვლა არ უნდა გესწავლებინა და გარკვეულ სიტუაციაში წარმოთქმული ეს ფრაზა ყველაფერს მაშინვე ნათელს ჰფენს.*

არანაკლებ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ამ იგავ-არაკის მიხედვით 1974 წელს სტარიკოვსკის რეჟისურით გადაღებულმა მულტფილმმა „კატა და ლომი“, სადაც ერთ ფრაგმენტში, მეფე ლომი შვილისა და მისი გამზრდელი-მასწავლებლის კატის შეჯიბრს მოითხოვს. შეჯიბრის ნებისმიერი მონაწილის დამარცხების შემთხვევაში მეფის ბრძანებით კატას უნდა მოაჭრან თავი, როცა შიშისაგან რეტდასხმული კატა ამგვარ უსამართლო განაჩენზე კანკალით პრეტენზიას გამოთქვამს, მეფე ხარხარით მიუგებს: „აბა ჩემს შვილს ხომ არ დავსჯი“-ო, ეს ფრაზა იქცა უსამართლობის, ჩაგვრის და სხვა ადამიანის გამეტების ხარჯზე საკუთარი შვილის გამართლების სიტუაციების პრეცედენტად.

არ გვეგულება ქართველი ადამიანი, რომელიც „მურმანის ეკალის“ სიტუაციურ გამოყენებას ვერ ფლობდეს. ეს არის მთელი ერის მომცველი, ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი ფრაზა, რომლის წარმოშობა უკავშირდება ქართულ ხალხურ სამიჯნურო-რომანტიკულ ეპოსს, „აბესალომისა და ეთერის სიყვარულის ამბავს“. აბესალომისა და ეთერის სიყვარულის ხელისშემშლელი, მათი ტრაგიზმის ავტორი, აბესალომის ყმა მურმანი ჯადოსნობით ჩაშლის ქალ-ვაჟის ქორწილს. ისტორია ქალ-ვაჟის გარდაცვალებით მთავრდება, მურმანი ცოცხლად ჩაიმარხავს თავს მათ შორის.

აბესალომისა და ეთერის საფლავზე ამოსული ია და ვარდი ერთმანეთისკენ იხრება, მურმანის საფლავზე ამოსული ნარ-ეკალი კი ქალ-ვაჟის სიმბოლურ შეერთებასაც აბრკოლებს. გამოყენებითი სიტუაცია: მურმანის ეკლად იწოდება ყველა მესამე პირი, რომელიც ქალ-ვაჟის ურთიერთობის ხელისშემშლელად მოიაზრება, თუმცა იმდენად გავრცელებული სახე მიიღო ამ გამოთქმამ, რომ მურმანის ეკალს არა მარტო შეყვარებულ წყვილთა ხელისშემშლელებს, არამედ, ზოგადად, საუბარში მესამე, უადგილოდ შემოჭრილ, არასასურველ პირსაც კი ეძახიან.

ქართულ პოპულარულ სახეთაგან ერთ-ერთია ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“-ს მთავარი პერსონაჟი *ლუარსაბ თათქარიძე*, რომელიც ფუქსავატური ცხოვრების, ტახტზე კოტრიალისა და მუცლის ამოყორვის მისიით მოსულ ადამიანებთან შედარების ობიექტად იქცა. ლუარსაბის სახე ქართულ კულტურულ ბაზაში აქტიურ ადგილს იჭერს და დღემდე არ კარგავს პრეცედენტულობას. გამოყენებითი სიტუაციები ლუარსაბთან დაკავშირებით კი მრავლად არსებობს: „რა ლუარსაბივით წამოკოტრიალებულა“, „ლუარსაბივით ფშვინავ“, „ლუარსაბივით ჭერში ბუზებს ითვლის“ და ა.შ.

ქართულ პრეცედენტულ სახელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი და საპატიო ადგილი, ყველა ქართველისთვის უსაყვარლეს „ქეთო და კოტეს“ (1948 წლის ქართული საბჭოთა ფილმი) *ხანუმას* უჭირავს, რომელიც გამჭრიახობითა და საოცარი მოხერხების წყალობით ქეთოსა და კოტეს შეუღლების ხელისშემწყობი ხდება. ავტორის მიერ გასაოცარი ოსტატობით შექმნილი სახე, ფილმშიც ბრწყინვალე მსახიობის მიერ გამოძერწილი სახასიათო, ხანუმას გამორჩეული პორტრეტი ხალხის კულტურულ მეხსიერებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს და პრეცედენტულ სახელად იქცევა: *ხანუმა* ეწოდება ყველა იმ ადამიანს, რომელსაც ადამიანთა დაწყვილების საქმიანობა სიამოვნებას ჰგვრის და „ხელიდანაც ასდის“.

შრომა-ჯაფით დაღარული, სიკეთით აღსავსე, მოყვარეთათვის თავგადადებული, თუმცა ენამწარე და შუბლშეკრული, ურყევი ხასიათის ქვრივი ქალის სიმბოლოა *ოთარანთ ქვრივი*, რომელსაც ბედმა უამრავი ტკივილი არგუნა: ჯერ ნაადრევად ქმარი გარდაეცვალა, შემდგომ კი შვილი გიორგი, რომლის დანახვაზეც ეფინებოდა სახეზე სხივი მუდამ კოპებშეკრულ ქვრივს. მეტად გულისამაჩუყებელი, საზარელი და შთამბეჭდავია ეპიზოდი, სადაც ოთარანთ

ქვრივი მომაკვდავ შვილთანაც კი რკინისებურ ხასიათს და ნებისყოფას ავლენს და მხოლოდ ერთი ცრემლი ჩამოუვარდება მომაკვდავი გიორგის მკერდზე. ოთარაანთ ქვრივი იქცა რკინისებური და უტეხი ხასიათის, თუმცა შინაგანად მეტად მგრძნობიარე, რომელსაც მოხერხებულად მალავდა კუმტი გამომეტყველების ქვეშ, ტრაგიზმით აღსავსე, უძლიერესი ქართველი ქვრივი ქალის სიმბოლოდ. მისი გამოყენება ანალოგიური ხასიათისა და ბედის მქონე ქალბატონებთან შედარების დროს აქტიურად ხდება:

„საწყალი ქვრივი არასდროს ყოფილა, *ოთარაანთ ქვრივივით* ძლიერი იყო, ძლიერიც და კეთილიც. სოფელსაც აშინებდა და არც ის მახსენდება, როდესმე უზარმაზარი სუფრის ალაგება-დაბინავების შემდეგ საჭმელების კალათში ჩალაგება და გაჭირვებული მეზობლისთვის სოფლის ბოლოში გადატანა დაზარებოდეს“....
(<http://mastsavlebeli.ge/?p=4551>)

ასოცირდება სამართლიანობის მაძიებელ ქალბატონებთან: „ქალბატონმა ირინა ენუქიძემ ჩაიცვა რკინის ქალამნები და *ოთარაანთ ქვრივივით* ყველა უწყება ჩამოიარა იმისათვის, რომ საქართველოში სამართლიანი სასამართლოსათვის ებრძოლა“.
<http://netgazeti.ge/news/99626/>

ასოცირდება ქვრივ ქალებთან, რომლებიც ვაჟკაცი შვილების გამზრდელები არიან: „*ოთარაანთ ქვრივივით* მარტომ გაზარდა ვაჟკაცი ბიჭები“ და ა.შ.

როცა ვლასპარაკობთ ხალხის კულტურულ მეხსიერებაში არსებულ პრეცედენტულ ტექსტებსა და სახელებზე, უნდა აღინიშნოს, რომ მათ გამოყენებას არა აქვს ფიქსირებული ხასიათი და დროთა განმავლობაში, ღირებულებების, ერის კულტურულ შეხედულებათა ცვალებადობის ნიადაგზე, იგი შეიძლება გამოვარდეს კოგნიტური ბაზიდან და დაკარგოს პრეცედენტულობა.

„რუსული კულტურული სივრცის“ მოდელის საფუძველზე, ჩვენს მიერ ქართული კულტურული პრეცედენტების რამდენიმე მაგალითის მოყვანა და მიმოხილვა ცხადყოფს, ამგვარი ლექსიკონის არსებობის აუცილებლობას, რადგანაც საუბრის დროს ქართულ ლინგვისტიკაში კარგად გარკვეული უცხოენოვანი პირი, მხოლოდ ასეთი ლექსიკონის გამოყენებით ჩაწვდება ამ ფრაზების მიღმა არსებულ სიტუაციას, მოახერხებს ქართული ერის კულტურული ღირებულებების შეფასებას, ჩვენი ერის ხასიათის აღქმასა და სულიერ სამყაროში შეღწევას.

ლინგვოკულტუროლოგიური ხარვეზების აღმოფხვრის, ანუ ენისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომის საქმეში, ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონის წვლილი, რომლის შინაარსობრივი სტრუქტურა ისტორიის, ხელოვნების, გეოგრაფიის, ფსიქოლოგიის და ა. შ. სფეროსადმი კონცეპტუალური მიდგომით ხასიათდება, უდაოდ დიდი და შეუცვლელია. გარდა იმისა, რომ ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონი ერთაშორის კულტურული ურთიერთობის მთავარ ხერხემალს წარმოადგენს და ენაში კულტურის ასახვის მზა მაგალითების საფუძველზე, ერის კულტურული ფონის ნათელ სურათს გვიხატავს, ერის წინაშე მას უდიდესი ეროვნული სამსახურის გაწევაც შეუძლია. ეს არანორმატიული ნაშრომები ერის რჩეული გმირების, მათი ისტორიების, ღირსშესანიშნავი მოვლენების, საყვარელი ფრაზების კრებულია, რომელიც ერის კულტურულ მეხსიერებაში არსებული ძვირფასი ინფორმაციის მემკვიდრეობით გადაცემის საქმეს სათუთად ემსახურება.

მთარგმნელის მიერ კულტურული თავისებურებების მიმღებ ენაზე ადეკვატური თარგმანის შესახებ საუბრისას, ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონის წვლილი გადაჭარბებულად რომ არ წარმოგვეჩინა, შევეცადეთ კვლევების საშუალებით თურქულ-ქართულ კულტურულ სახესხვაობებზე მკითხველის ყურადღების გამახვილება, მაგალითად: პრეცედენტულ ერთეულებზე, რომლებსაც, კარაულოვის კონცეფციის თანახმად, მივაკუთვნებთ პრეცედენტულ სახელებს, პრეცედენტულ გამონათქვამებს, ტექსტებსა და ზოონიმებს.

ქართულ-თურქული კულტურული თავისებურებების დასაფიქსირებლად, ჩავატარეთ შემდეგი კვლევა: თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტი, რომლის მსვლელობა ეყრდნობა ისეთ მეცნიერთა ნაშრომებს, როგორცაა: კარაულოვი, დავით გოცირიძე და მარინა აროშიძე. კვლევისას, ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებების აღმოსაჩენად ფოკუსირება გავაკეთეთ 2 ფაქტზე: 1. პრეცედენტული სახელების ქვეტიპებსა და 2. ზოონიმების დამატებითი კონოტაციის მსგავსება-განსხვავებაზე ქართულ-თურქულ კულტურაში.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ექსპერიმენტები თავისუფალი სახისაა: პირველი ექსპერიმენტი ქართველებისა და თურქების მიერ, დაპირისპირებული ენის კულტურული სამყაროს: პრეცედენტული და თანამედროვე გმირების შესახებ

ინფორმაციულობის დადგენას ისახავს მიზნად. გამოკითხულთა მიერ კულტურული ერთეულების: ზღაპრის, ლიტერატურული, ისტორიული გმირებისა და თანამედროვე გმირების: პოლიტიკოსების, სპორტსმენების, მომღერლების, მსახიობების, ხელოვნების მოღვაწეების შესახებ ინფორმაციის ანკეტაში დაფიქსირების საფუძველზე, საშუალება გვეძლევა დავაკვირდეთ, თუ რაოდენ კარგად იცნობს ქართული და თურქული საზოგადოება ერთმანეთის კულტურულ ელემენტებს, რომელიც ერის ისტორიულ-კულტურულ წარსულს წარმოადგენს და თანამედროვე ღირებულებების და გმირების წარმოჩენას ედება საფუძვლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანკეტების დიდი ნაწილი ონლაინ რეჟიმში, ხოლო ნაწილი კი ხელით შეივსო. გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ანკეტები იყო ანონიმური, ფიქსირდებოდა რეციპიენტის მხოლოდ ეროვნება და ასაკი. საინტერესო იქნებოდა გენდერული თვალსაზრისით შევსების თავისებურებებსა და განსხვავებებზე საუბარი, მაგრამ, 1 ანკეტის შემთხვევაში რეციპიენტების დიდ უმრავლესობას ქალები წარმოადგენდნენ, ამიტომაც გენდერული თავისებურებები ცხადია ვერ დაფიქსირდა.

რაც შეეხება ანკეტის ფორმას, ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ასევე უნივერსიტეტის ბაზაში არსებული ნ. ჩხაიძისა და ვ. ხალვაშის ნაშრომებით და უნდა აღინიშნოს, რომ მათი კვლევის შედეგად მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვნად დაგვეხმარა ანკეტური ფორმის შემუშავებაში.

ქართული/თურქული კულტურის მატარებელთათვის							
თურქული/ქართული ზღაპრის გმირები	თურქული /ქართული ლიტერატურული გმირები	თურქი/ქართველი ისტორიული გმირები	თურქი/ქართველი თანამედროვე გმირები				
			პოლიტიკოსები	სპორტსმენები	მომღერლები	მსახიობები	ხელოვნების სხვა მოღვაწენი

საბოლოო სახით ჩამოყალიბებულმა პრეცედენტული სახელების ანკეტამ შემდეგი სახე მიიღო, ის ორ ნაწილად გაიყო:

I ნაწილს შეადგენს 3 სვეტი, სადაც ადგილს უკვე პრეცედენტად ქცეული: 1) ზღაპრის გმირები; 2) ლიტერატურული გმირები; 3) ისტორიული გმირები იჭერენ.

II ნაწილს შეადგენს 5 სვეტი, რომლებშიც წარმოდგენილია თანამედროვე გმირები: 1) პოლიტიკოსები; 2) სპორტსმენები; 3) მომღერლები; 4) მსახიობები; 5) ხელოვნების სხვა მოღვაწენი.


ანკეტის ორ ნაწილად გაყოფა შედეგმა ფაქტორმა განაპირობა: ანკეტის პირველ ნაწილში მოცემული გმირები, უკვე პრეცედენტულ ერთეულებს წარმოადგენენ, ხოლო ანკეტის მეორე ნაწილის თანამედროვე გმირების პრეცედენტულობა, რასაკვირველია სამომავლო საკითხს წარმოადგენს, რომელსაც ეროვნულ-კულტურული გმირებისადმი ერის დამოკიდებულება განაპირობებს.

შემუშავებული პროცედურის თანახმად, კვლევის განსახორციელებლად ჩვენ ავარჩიეთ 2 საცდელი ჯგუფი: I ჯგუფი - შედგება საქართველოში მცხოვრები თურქული კულტურის მატარებელთაგან, რომელთა რაოდენობა 40 ადამიანს შეადგენს (ამ ჯგუფში უმრავლესობას წარმოადგენს უნივერსიტეტის თურქი სტუდენტები და ბათუმში არსებული თურქული სკოლის რამდენიმე მასწავლებელი);


II ჯგუფი - ქართული კულტურის მატარებელია, უმეტესწილად უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთა რაოდენობა 60 ადამიანს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ჯგუფის რეციპიენტთა ასაკი მერყეობს 20 დან 40 წლამდე.

პრეცედენტულ სახელთა ანკეტური კვლევის შედეგებმა, რომლის მიზანს, თურქებისა და ქართველების მიერ საპირისპირო კულტურის პრეცედენტულ ერთეულთა შესახებ ინფორმაციულობის დაფიქსირება წარმოადგენს, შემდეგი შედეგები დააფიქსირა:

ანკეტა თურქული კულტურის მატარებელთათვის
(ქართული პრეცედენტული სახელები)
გამოკითხული 40 რეციპიენტიდან



ქართველი თანამედროვე გმირები



თურქული კულტურის მატარებელ, ორმოც გამოკითხულ პირთა ინფორმაცია ქართულ პრეცედენტულ ერთეულთა შესახებ ძალიან მწირი აღმოჩნდა: ხმათა რაოდენობით ყველაზე პოპულარულ გრაფად ისტორიული გმირები იქცა: ყველაზე ხშირად დასახელებულთა შორის პირველ ადგილზე დავით აღმაშენებელი აღმოჩნდა, რომელმაც 40 გამოკითხულთაგან 9 ადამიანის ხმა მიიღო; სტალინის შესახებ ინფორმირებულობა დაადასტურა 6 თურქმა; 3) 4 ხმამ დააფიქსირა თამარ მეფე.

ისტორიული გმირების შემდეგ, ყველაზე პოპულარული ქართული ლიტერატურული გმირები აღმოჩნდა: 40 გამოკითხულთა შორის, ყველაზე ხშირად

დასახელებულ ლიტერატურულ გმირთა შორის აღმოჩნდა: 1) *შოთა რუსთაველი* - 8 ხმით; 2) *ვაჟა-ფშაველას, შორენას (დიდოსტატის მარჯვენა) კი თითო* ხმა ერგოთ.

დასახელებულ კულტურულ ერთეულთა შორის, თურქთა ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულობა ქართულ ზღაპრის გმირებზე დაფიქსირდა:

ზღაპრულ გმირთა შორის ყველაზე პოპულარული *წითელქუდა* აღმოჩნდა 5 ხმით, თუმცა როგორც ვიცით, ამ ზღაპარს ქართული წარმოშობა არა აქვს და ის ფრანგ მეზღაპრეს, შარლ პეროს ეკუთვნის. შემდეგ ადგილზე *ნაცარქექია* აღმოჩნდა 2 ხმით; ხოლო 1-მა ხმამ კი *წუნა და წრუწუნა* დაასახელა.

როგორც ანკეტურმა კვლევამ დააფიქსირა, *ქართველი თანამედროვე გმირები*, რომლებიც ანკეტის მეორე ნაწილს წარმოადგენენ, თურქების ინტერესს პრეცედენტულ სახელებზე ბევრად უფრო მეტად იწვევენ: ყველაზე მეტი ინტერესი პოლიტიკოსებში დაფიქსირდა: *საკაშვილის* შესახებ ინფორმირებულობა 40 თურქ გამოკითხულთაგან 20-მა თურქმა დააფიქსირა; *ივანიშვილის* შესახებ ინფორმაციას ფლობს 13 ადამიანი; გამოკითხულთა 3 ხმა მოიპოვა *ედუარდ შევარდნაძემ*; 2-2 ხმა ერგოთ *გიორგი მარგველაშვილსა და ზურაბ პატარიძეს*, თითო ხმით დაფიქსირდნენ *ნინო ბურჯანაძე, თეა წულუკიანი, ასლან აბაშიძე და მუხრან ვახტანგაძე*.

ცნობილ თანამედროვე გმირთაგან პოპულარობით მეორე ადგილზე ქართველმა სპორტსმენები აღმოჩნდა: გამოკითხულთაგან 12 ხმა *ძმებმა არველაძეებმა* მოიპოვეს. ამის მიზეზად, თურქეთში წლების განმავლობაში მათი ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა შეიძლება ჩაითვალოს, რომელმაც ძმებს პოპულარობა და თურქი ხალხის სიყვარული მოუტანა. ამ ფაქტმა, რასაკვირველია ასახვა ჩვენს ანკეტაშიც ჰპოვა; მეორე ადგილას გავიდა მსოფლიო მასშტაბის კალათბურთელი *ზაზა ფაჩულია* 8 ხმით; ხოლო გამოკითხულთაგან 1-მა მსოფლიო მოჭიდავე *მუხრან ვახტანგაძე* დაასახელა.

ქართველ თანამედროვე მომღერლებს შორის 5 ხმით დაფიქსირდა „ტრიო მანდილი“, რომელთა პოპულარობა სოციალურ ქსელში დღითიდღე იზრდება და შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს სოციალური ქსელის მომხმარებელს; 3 ხმა მოიპოვა *ნინო მუბლატმა*; *ნანი ბრეგვაძე, ქეთი მელუა და ნინო ქათამაძე* 2-2 ხმით შემოიფარგლნენ; ხოლო *თამარ გვერდწითელს, მეგი გოგიტიძესა და ლელა წუწუმბიას* კი თითო ხმა ერგოთ.


რაც შეეხება თანამედროვე ქართველ მსახიობებსა და ხელოვნების სხვა მოღვაწეებს, თურქების ინფორმაციულობა საგრძნობლად კლებულობს: 40 გამოკითხულთაგან 2 აფიქსირებს *ლიკა ქავჭავაძის* პიროვნებას, ხოლო თითო-თითო ხმა ერგებათ *იმედა კახიანსა და გივი ბერიკაშვილს*, რაც შეეხება ხელოვნების სხვა დარგის მოღვაწეთა გრაფას, თურქების ინფორმირებულობა 0 ხმით დაფიქსირდა.

როგორც ვხედავთ, საქართველოში მცხოვრებ თურქებზე ჩატარებულმა ანკეტურმა გამოკითხვამ, რომელთა დიდ უმრავლესობას სტუდენტები წარმოადგენენ, ანუ პირები, რომლებსაც ქართულ ენობრივ კოლექტივთან თანაცხოვრების გარდა, უშუალო შეხება აქვთ ქართულ ენასა და ლიტერატურასთან, ასეთი შედეგი მოგვცა: გამოკითხული თურქები შედარებით მეტ ცოდნას ამჟღავნებენ თანამედროვე გმირებთან დაკავშირებით, რის მიზეზადაც სატელევიზიო არხები, ვიდეო რგოლები და ინტერნეტის ვიზუალური წყაროები შეიძლება დასახელდეს, სადაც მათი სისტემატიური წარმოჩენა ხდება: მაგალითად, ანკეტის ყველაზე პოპულარულ ერთეულად იქცა მიხეილ სააკაშვილი, რომლის პოლიტიკური აქტიურობა საინფორმაციო არხებზე დღემდე გრძელდება და ვიზუალური თვალსაზრისით თურქებისთვის ყველაზე ცნობად პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენს.

ხოლო რაც შეეხება ქართველ პრეცედენტთა შესახებ თურქთა ინფორმაციულობას, გამოკითხული თურქი რეციპიენტები, მიუხედავად ენობრივ საზოგადოებასთან თანაცხოვრებისა, ქართული პრეცედენტული და ეროვნულ-კულტურული ელემენტების შესახებ ძალიან მწირი ინფორმაციით შემოიფარგლებიან. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ თურქები ნაკლებად ეცნობიან ქართულ ლიტერატურას, რომელიც, ერის ისტორიული მოვლენების გადმოცემის საფუძველზე, ენის კულტურული ფონის აღქმასა და ეროვნული ღირებულებების მიმღებ ენაზე წარდგენას ემსახურება.

ჩვენს მიერ გამოკითხულ 60 ქართველ რეციპიენტთა ინფორმაციამ თურქულ კულტურაში არსებულ პრეცედენტულ სახელებთან დაკავშირებით, შემდეგი სურათი მოგვცა:

ქართული კულტურის მატარებელთათვის
(თურქული პრეცედენტული სახელები)
გამოკითხული 60 რეციპიენტიდან



თურქი თანამედროვე გმირები



თურქულ პრეცედენტულ სახელთა შორის დაწინაურდა ისტორიულ გმირთა გრაფა: ისტორიულ გმირთა შორის ყველაზე ხშირად დასახელებულთა შორის პირველი აღმოჩნდა *სულთან სულეიმანი 33 ხმით*. მისი პოპულარობა ისტორიულმა სერიალმა „ბრწყინვალე საუკუნემ“ გამოიწვია, რომელიც სულ ახლახან გამოვიდა ქართულ ტელეეკრანებზე და უდიდესი მოწონება დაიმსახურა; *30 ხმით* დაფიქსირდა *მუსტაფა ქემალ ათათურქი*; ისტორიულ ფიგურებს: *მეჰმედ II-სა და სელიმ II-ს 6-6 ხმა* ერგოთ; *ბილგე ყაენს - 4 ხმა*; *მურათ IV-სა და ბაიაზიდს კი - 3 ხმა*; *სულთან მურადსა და ჰიურემს - 2-2 ხმა*; ხოლო *თითო* ხმით დაფიქსირდნენ *სულეიმან I, სულეიმანის შვილი აჰმეტი, მუჰამედი და სულთანი ფატიჰი*.

ისტორიული გმირების შემდეგ ხმათა რაოდენობით დაწინაურდა თურქ ლიტერატურულ გმირთა გრაფა: ყველაზე პოპულარული ლიტერატურული გმირი *ნარჩიტა* (ავტორი რეშად ნური გიუნთექინი) და *ნასრედინ ჰოჯა* აღმოჩნდა. ორივე პერსონაჟი 10-10 ხმით დასახელდა. 5 ხმა ერგო უმანკოების მუზეუმის პერსონაჟებს: *ქემალსა და ფუსუნს*; *ოსტატი ოსმანი* (ორჰან ფამუქი), *ელა რუბინშტეინი* (ელიფ შაფაკი), *ჯალალ ად-დინ მუჰამმად რუმი* (იგივე *მევლანა*), *რუია* (ელიფ შაფაკი), *ქარა* (ორჰან ფამუქი), *მაზჰარი და ნაზანი* (ფამუქი) – 2 ხმით დაფიქსირდნენ. შემდეგი ლიტერატურული გმირები: *ორჰან ქემალი*, *ისკენდერ* (ელიფ შაფაკი), *სელმანი* (აზიზ ნესინი), *დესტანი* (ორჰან ფამუქი), *ფეიამი სეფა* (მწერალი და პოეტი), *ორჰან ქემალის: თამილა* - მხოლოდ *თითოჯერ* დასახელდნენ.

თურქების მსგავსად, ქართველთა ინფორმაციაც თურქული ზღაპრის გმირების შესახებ მეტად ღარიბული აღმოჩნდა: თურქული ზღაპრის გმირი *პეპე ქელოღრანი* - 4, ხოლო *დედე ქორქუთი* მხოლოდ 1 ხმით იქნა დასახელებული.

რაც შეეხება თურქ თანამედროვე გმირებს, აქ მეტად ცოცხალ სურათს წავაწყდით. იმ მრავალრიცხოვანი ჩამონათვალიდან, რომელიც ქართველი რეციპიენტის მიერ ანკეტებში დაფიქსირდა, ყველაზე პოპულარული მსახიობების გრაფა გახდა:

გამოკითხული 60 რეციპიენტიდან, 30 ხმით ანკეტის ყველაზე პოპულარულ თანამედროვე თურქ მსახიობად *მურად ილდირიმი* იქცა; 25 ადამიანმა *ჩაღათაი ულუსოის* სახელი და გვარი დააფიქსირა, 10-10 ხმით დაფიქსირდა *ბურაქ ოზჩივიტი* და *კივანჩ თათლითურქი*, 8 ადამიანი იცნობს მსახიობ *ბერენ საათის* კინოროლებს, 7-7 ხმა აიღეს *ნესლიჰან ათაგულმა*, *სერენაი სარიკაიამ* და *ჰალით ერგენჩმა*, 6-მა რესპოდენტმა დააფიქსირა *მერიემ უზერლი*, *თუბა ბუიქუსტუნი* და *არას ბულუთ იინემლი*, 5 ხმა ერგო *ბერგუზალ კორელს*, 4 ხმა - *ერქან ფეთეკაიას* და *ეზგი ასაროღლუს*; 3-3 ხმა მიიღო მსახიობებმა: *ოზან გიულერმა*, *ქერემ ჯემმა*, *ჯანსუ დერემ*, *სერენაი სარიჩაიამ*, *ქემალ სუნალმა*, *ნურგულ იემიჩაიმ*; 2 ხმა - *ბურაქ ოზჩივიტმა*, *ჯერენ მორაიმ*, *ომერ იფლიქჩმა*, *ენგინ აქიურექმა*, *ჯემ ილმაზმა*, *ეჯე უსლუმ*; თითო ხმა აიღეს მსახიობებმა: *ბენსუ სორალმა*, *ოზჯან დენიზმა*, *თურქან შორაიმ*, *ნებაჰათ ჩეჰრემ*, *ჰულია ავშარმა*, *ჰაზარ ერგუჩლუმ*, *ბურაქ დენიზმა*, *აიჩა ბინგოლმა*, *აიდან შენერმა*, *მეჰმეთ აკიფ ალაქურთმა* და *აიჩა აიშინ თურანმა*.

ხმათა ბევრი რაოდენობით მეორე ადგილზე გავიდა თურქი მომღერალთა გრაფა: ქართველი რესპოდენტებისთვის ყველაზე ცნობილი თურქი მომღერალი *თარქანი* (თევთოღლუ) აღმოჩნდა 39 ხმით; 12-მა ხმამ *მურათ ბოზი* დააფიქსირა; 11 ხმა ერგო *მუსტაფა სანდალს*, 10 ხმა - *სერდარ ორთაჩს*, 4 ხმა - *ბაიარ შაჰინსა* და *ჰადისე აჩიეგოზს*, 3 ხმა - *სიბელ ჯანს*, *აიდილგენ ეშარფსა* და *მუსტაფა ჯეჯელს*, 2 ხმა - *ქაზიმ ქოიუნჯუს*, *ჯემ ადრიანს*, *იუქსეფ სედაქათს*, *ისმაილ იქს*, *გოქსელს*; თითო ხმა კი შემდეგ მომღერლებს: *ალიშანს*, *ასიას*, *ჯემ ბელევს*, *ილიას იალჩინთაშს*, *სეზენ აქსუს*, *ბარიშ მანჩოს*, *ემრე აიდინს*, *ჰანდე იენერს*, *ირემ დერიჯს*, *გოქან ოზენს*, *ჟეჰან ბარბურსა* და *ჰანდე იენერს*.

გამოკითხულთა შორის, ყველაზე პოპულარ თურქი პოლიტიკოსად *რეჯეფ თაიფ ერდოღანი* დაფიქსირდა 50 ხმით, უნდა ავლნიშნოთ რომ მსგავსი პოპულარობით ანკეტის არცერთი ერთეული არ დაფიქსირებულა, 10-მა გამოკითხულმა დააფიქსირა *აჰმედ დავითოღლუს* პიროვნება, 7 ხმა ერგო *ბინალ ილდირიმს*, 4 ხმა - *მევლუდ ჩავუშოღლუს* და *ჯელალ ბაიარს*, 3 ხმა - *თანსუ ჩილერს*, *ისმეთ ინენიუს*, 2 ხმით დაფიქსირდა *აბდულა გიული*, ხოლო თითო ხმა ერგოთ შემდეგ პოლიტიკოსებს: *ჯევედეთ სუნაის*, *ქემალ ქილიჩდაროღლუს*, *ფეთჰულაჰ გიულენს*, *აბდულჰამით გიულს*, *სულიმან დემირელსა* და *ეფქან ალას*.

რაც შეეხება თურქი სპორტსმენებს, 21 ხმით დაწინაურდა *არდა თურანი*, 3 ხმა ერგო *ბურაქ ილმაზს*, *ჰაქან შუქურს*, 2 ხმა - *იფექ სოილუს*, თითო ხმა კი *ილჰან ექერს*, *სელჩუკ ინანს*, *ემრე ქანს*, *ზაზა ენდენს*.

ქართველთა ანკეტურმა გამოკითხვამ შემდეგი შედეგი დააფიქსირა: გამოკითხულთა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით, ინფორმაციული თვალსაზრისით, თანამედროვე თურქი მსახიობების გრაფა სარგებლობს. განსაკუთრებულად ბევრი ხმა იმ გმირებმა დააგროვეს, რომლებიც სერიალში გამორჩეული გარეგნობით, ვაჟკაცობითა და დადებითი თვისებებით გამოირჩევიან. ინფორმაციული სიუხვით მსახიობების გრაფას მცირედით ჩამოუვარდება და მეორე ადგილს იჭერს თანამედროვე მომღერლები. რაც შეეხება პოლიტიკოსებს: რესპოდენტების ძალიან დიდი უმრავლესობა, აფიქსირებს თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელს, ნაკლებად, მაგრამ მაინც ფიქსირდება ინფორმაცია თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმეთ დავითოღლუს შესახებ. რაც შეეხება

ისტორიულ გმირებს, გამოკითხულთა ხმების უმრავლესობამ პირველ რიგში სულთან სულეიმანი და შემდგომ კი, შედარებით ნაკლები ხმებით, მუსტაფა ქემალ ათათურქი დაასახელა.

შედარებით სიმცირით გამოირჩევა ინფორმაცია თურქი ლიტერატურული გმირების შესახებ, ხოლო რაც შეეხება ზღაპრის გმირებს, რომლებიც ენის კულტურული სამყაროს განუყოფელ ერთეულებად გვევლინებიან, ქართველთა ცოდნა ძალიან მწირი ინფორმაციით შემოიფარგლა.

როგორც ვხედავთ, ანკეტურმა კვლევებმა, რომელიც ქართულ-თურქული ჯგუფების მიერ, დაპირისპირებული ენის კულტურული ფონის შესახებ ინფორმაციულობის დაფიქსირებას ისახავდა მიზნად, შემდეგი სურათი მოგვცა:

ქართველები და თურქები, მიუხედავად ახლო მეზობლური ურთიერთობისა, დაპირისპირებული ენის კულტურული ფონის, ერის პრეცედენტული სახელების შესახებ მცირე ინფორმაციას ფლობენ. როგორც მოგვეხსენება, ერთეულთა პრეცედენტად ქცევის ფაქტი ერის ისტორიულ წარსულს, მის კულტურულ გემოვნებასა და სულიერ ღირებულებებთანაა კავშირში, სწორედ ამიტომაც ენობრივი სისტემების გარდა, მნიშვნელოვან ფაქტორად ერის ისტორიულ-კულტურული ცხოვრების გათვალისწინებაც გვევლინება, რომელიც კულტურათშორისი კომუნიკაციების წარმართვისა და ადეკვატური თარგმანის განსახორციელების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

თურქულ-ქართულ ანკეტურ მონაცემთა შედარებისას, თავი შემდეგმა ფაქტმაც იჩინა: გამოკითხული თურქების ქართულ ენობრივ საზოგადოებასთან თანაცხოვრების მიუხედავად, ქართველთა ინფორმაცია თურქული კულტურის შესახებ, თურქების მიერ ქართველთა შესახებ გამოვლენილ ინფორმაციაზე გაცილებით უხვია. თურქული ლიტერატურული გმირების შესახებ ქართველების მეტ ინფორმაციას ისიც ადასტურებს, რომ, ისინი თურქებისგან განსხვავებით, ავტორებთან ერთად ლიტერატურული გმირების დასახელებასაც ახერხებენ, ხოლო თურქები კი, ძალიან მცირე რაოდენობით, მხოლოდ მწერლების დასახელებით შემოიფარგლებიან; ქართველები მეტ ინფორმაციას ფლობენ თურქეთის ისტორიულ გმირებსა და თანამედროვე პოლიტიკოსების შესახებ, რის საფუძველზეც შეიძლება

დავასკვნათ, რომ ქართველები თურქებზე მეტად არიან დაინტერესებული დაპირისპირებული ენის კულტურული ფაქტორებით.

რაც შეეხება თანამედროვე და პრეცედენტულ სახელთა შესახებ ანკეტური მონაცემების შედარებას, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ჯგუფი წარსულ გმირებზე მეტად თანამედროვე გმირებით ინტერესდება. ამის მიზეზს, ვიზუალური ინფორმაციის სიუხვე (საინფორმაციო არხები, ვიდეო რგოლები, ინტერნეტწყაროები) შეიძლება წარმოადგენდეს, სადაც განსაკუთრებით აქტიურად ხდება პოლიტიკური მოვლენებისა და პირების წარმოჩენა. ვიზუალური ინფორმაციის როლმა ქართველების მიერ თანამედროვე თურქი მსახიობებისა და მომღერლების დაფიქსირებაშიც იჩინა თავი. მოგეხსენებათ, ბოლო წლებში ქართულ ტელეარხებზე დიდი დრო ეთმობა თურქულ ტერესერიალებს, რომელთა გმირების მიმართ ქართველთა განსაკუთრებულად დიდი ინტერესი ანკეტაშიც დაფიქსირდა. სწორედ ზემოხსენებული ფაქტია მიზეზი ანკეტებში ისეთი პირების პოპულარობისა, როგორებიცაა *რეჯევ თაიფ ერდოღანი* - 50 ხმით, *თარქან თევეთოღლუ* - 39 ხმით, *სულთან სულეიმანი* - 33 ხმით, თურქული ტერესერიალის გმირი *მურად ილდირიმი* - 30 და *მიხეილ სააკაშვილი* - 20 ხმით.

რაც შეეხება ინფორმაციას ზღაპრული სამყაროს შესახებ, რომლის სახასიათო ელემენტები ერის კულტურის, ისტორიის, წარსული ღირებულებების ანარეკლს წარმოადგენს, ორივე ჯგუფის მიერ თითქმის შეუვსებელი დარჩა. ნული ინფორმაციით განისაზღვრა ხელოვნების სხვა მოღვაწეთა გრაფაც.

როგორც ვხედავთ, ქართულ-თურქული ჯგუფების მიერ შევსებული ანკეტები, რომლებიც აფიქსირებს ორი ერის მიერ დაპირისპირებული ენის კულტურული ფონის შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის არსებობას, ცხადყოფს ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონების შემუშავების აუცილებლობას, ერის ეროვნულ-კულტურული ღირებულებების დაპირისპირებულ ენაზე მიწოდების საფუძველზე, ქართულ-თურქული კულტურული გაუგებრობის აცილებასა და წარმატებული თარგმანის განხორციელებას უზრუნველყოფს.

ჩვენი კვლევის მეორე ნაწილს, ზოონიმური ანკეტა წარმოადგენს, რომლის მიზანს, ორი განსხვავებული კულტურის მატარებელ ჯგუფთა ცხოველთა შესახებ ეროვნულ-კულტურულ წარმოდგენებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების

დაფიქსირების საფუძველზე, ლინგვოკულტუროლოგიურ ფაქტორებზე მსჯელობა წარმოადგენს. ამ კვლევის საფუძველზე შევეცდებით დავადგინოთ, ლინგვისტური ინფორმაციის გარდა რაოდენ მნიშვნელოვანი ფაქტორია ენის სხვა, კულტურული კუთხიდან აღქმა-შესწავლა და თუ რა როლი უჭირავს თარგმანში განსაზღვრული ენობრივი კოლექტივისთვის დამახასიათებელი სტერეოტიპებისა და სამყაროს მათეული ხედვის აღქმას.

როგორც ცნობილია, ცხოველთა სამყაროს ადამიანის ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უჭირავს, ცხოველი, რომლის მეშვეობით ადამიანს გარკვეული საქმეების კეთება შეუძლია, ცხოველი ადამიანის მეგობარი და კომპანიონიც კი. იგი ნებისმიერი ადამიანური გრძნობის ობიექტად შეიძლება იქცეს: შიშის, სითბოს, სიყვარულის, ზიზღის, ნდობის და ა.შ. უამრავი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი იქნა გადაღებული ცხოველთა სამყაროზე, შედარების საგნადაა ქცეული და უამრავი რამ იწერება ცხოველთა ისეთი თვისებებზე, როგორცაა ადამიანის მიმართ უანგარო თავგანწირვა, სიყვარული, გონიერება, ინტუიცია და ა.შ.

სწორედ ამიტომაც ცხოველს ერის სულიერ სამყაროშიც უზარმაზარი ადგილი უჭირავს, ზოგი წმინდანად შერაცხულია, ზოგი უწმინდურობასთან, ზოგი სიყვარულსა და ზოგიც კი ზიზღთანაა ასოცირებული და რაც მთავარია, ეს დამოკიდებულება ყველა ერში სხვადასხვაგვარია. სწორედ ამიტომაც, ლექსიკონური ინფორმაცია, ცხოველის სემანტიკური განმარტების მოცემასთან ერთად, აუცილებლად უნდა შეიცავდეს ამ ცხოველის სახელის მიღმა არსებულ კულტურულ ინფორმაციას, სადაც ნათლად უნდა ჩანდეს ცხოველისადმი ადამიანის დამოკიდებულების ფორმა, გრძნობები და მისი კულტურული როლი ერის ცხოვრებაში; უნდა იყოს აღნიშნული რომელი კულტურული შემოქმედების ნაყოფად გვევლინება, რა სტერეოტიპული დანიშნულება აქვს და ერთაშორისი კომუნიკაციების დროს, სავარაუდო უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად უნდა იყოს მოცემული მისი ადამიანთან შესაძლო შედარების მაგალითები.

ჩვენს მიერ შემუშავებული ზოონიმური ანკეტა სულ სამი სვეტისგან შედგება: 1. სიტყვა-სტიმული; 2. რეაქცია; 3. შენიშვნა. ამ ანკეტის შევსება, ზემოხსენებული ანკეტის მსგავსად 2 სახით: ხელითა და ონლაინ რეჟიმში განხორციელდა და

შევსებული იქნა 50 ქართველის და 80 თურქის მიერ. ორივე ჯგუფის რეციპიენტთა ასაკი მერყეობს დაახლოებით 20 დან 40 წლამდე. ანკეტურმა კვლევებმა ორივე ერთა მონაცემებში 2 მკაფიოდ გამოყოფილი ჯგუფი დააფიქსირა:

1. ზოონიმები, რომლებსაც ორივე ერისთვის ერთნაირი სიმბოლური დატვირთვა აქვს და ერთნაირ ასოციაციას იწვევს, ასეთია მაგალითად: *მტრედი*, რომელიც არამარტო ქართულ და თურქულ კულტურაში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით კომუნიკაციების არარსებობის პერიოდში, ინფორმაციების გავრცელების ანუ ფოსტალიონის და მშვიდობის სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

ამიტომ, გამოკითხული ქართველები და თურქები ერთხმად აღიარებენ მტრედს, როგორც ინფორმაციის გადამცემს და მშვიდობის სიმბოლოს. საერთო სიმბოლური დატვირთვა აქვს *ლომსაც*, რომელიც ყველა ერისთვის ტყის მეფედ არის აღიარებული და ასოცირდება ძალასა და ლიდერობასთან. სხვადასხვა ფორმებით, მაგრამ ერთნაირი ასოციაცია ფიქსირდება *არწივზეც*, რომელიც ორივე ერისთვის ძალის, სიმაღლისა და სიმამაცის გამომხატველია. ეშმაკი, ცბიერი, საკუთარი მიზნებისთვის სხვა ადამიანის გამომყენებელი - ეს არის ერთაშორისი წარმოდგენა *მელაზე*, რომლის ზუსტი ანალოგიაც ქათულსა და თურქულ კულტურაშიც ვრცელდება. იგივე შეიძლება ითქვას *კურდღელზე*, რომელიც ორივე ერისთვის შიშთან და გაქცევასთან ასოცირდება, ხშირ შემთხვევაში მისი შედარება მხდალ ადამიანთან ხდება და რაიმე სხვა სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი არ არის. რაც შეეხება *გველს*, ორივე ერის დამოკიდებულება მის მიმართ ნეგატიურია. ორივე ერი გველს საშიშ და შხამიან ცხოველად აღიქვამს. თუმცა ამ ნეგატიურ დამოკიდებულებაშიც არის სხვაობა: თურქების მიერ შევსებული ანკეტის მიხედვით გველი ჩუმჩუმა, ფლიდი და ზურგს უკან ბოროტი საქმეების მხლართველ ადამიანთან ასოცირდება. არც ქართველებს გვაქვს გველის მიმართ დადებითი განწყობა, თუმცა გარდა იმისა, რომ გველი საშიშ და ბოროტ არსებადაა აღიარებული, ქართველი რესპოდენტების უმრავლესობისთვის გველი სიბრძნისა და სიტყვაძუნწობის სიმბოლოა. ორივე ერისთვის *გედი* სილამაზესთან, სინატიფესთან და სინაზესთან ასოცირდება: გამოთქმა: „*გედივით გოგმანი*“-ს ანალოგია თურქულშიც გხვდება: „*Kuşu gibi süzölmek*“.

როგორც ვხედავთ, ამ ცხოველთა სახელების სიტუაციური გამოყენება, პიროვნებასთან შედარება ერთაშორის კულტურულ გაუგებრობასა და უხერხულ სიტუაციას არ გამოიწვევს, თუმცა ვნახოთ, რა ხდება სხვა ცხოველების შემთხვევაში:

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ცხოველები, რომელთა შესახებ თურქული და ქართული წარმოდგენები ერთმანეთს არ ემთხვევა, უფრო მეტიც, აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ასეთი ტიპის ცხოველებს მიეკუთვნება: *წერო* - გარდა იმისა, რომ ბევრი ქართველი წეროს მაღალ ადამიანთან შედარების შემთხვევაში იყენებს, მუტფილმებიდან და მშობლების ნაამბობიდან გამომდინარე, ბავშვობის ულამაზეს მოგონებასაც ამოგვიტივტივებს: წერო შეფუთულ ბავშვთან ერთად ასოცირდება, რომელიც მოლოდინით გაბედნიერებულ მშობლებთან მიჰყავს. უამრავ მულტიპლიკაციურ ფილმში გვინახავს თეთრი წერო, რომელსაც ნისკარტით შეფუთული ბავშვის სახით უდიდესი ბედნიერება მიაქვს შვილს მონატრებული მშობლებისათვის. მართალია მსგავსი მულტფილმები, საბჭოთა პერიოდს უკავშირდება, თუმცა უნდა ითქვას რომ ასოციაციური წარმოდგენები წეროსთან დაკავშირებით აბსოლუტურად არ შეცვლილა, ქართველი რესპოდენტები, განურჩევლად ასაკისა, (რესპოდენტების დიდი უმრავლესობა სტუდენტებს წარმოადგენენ) ერთხმად აფიქსირებენ წეროს ბავშვთან ასოცირებას.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ჩვენთვის, თურქი რესპოდენტების დიდი უმრავლესობისთვის წერო ლტოლვილთან, მიგრაციასა და მოგზაურობასთან ასოცირდება და სიყვარულისა და მონატრების სიმბოლოს წარმოადგენს. თურქ გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას წერო სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანებზე მიძღვნილ შემდეგ თურქულ ხალხურ სიმღერას აგონებს: *Gitme turnam vuracaklar, kanadını kiracaklar....* (არ წახვიდე წერო, გესვრიან და ფრთებს დაგატეხავენ) სადაც წეროს უკან დაბრუნებას ეხვეწებიან, რათა გზად რაიმე უბედურებას არ გადაეყაროს. რესპოდენტების მიერ წეროსთან დაკავშირებით შემდეგი გამოთქმაც კი გაჟღერდა: „*Turnayı gözünden vurmak*“ (წეროს თვალებში ესროლო), გადატანითი მნიშვნელობით: მანსის სწორად გამოყენებით მიზნის მიღწევას ნიშნავს.

ძალიან საინტერესო მონაცემები მივიღეთ *მგლის* შესახებ: ქართველი რესპოდენტებისთვის მგელი დაუნდობლობის, სიძულვილისა და ბოროტების სიმბოლოა. ამ სტერეოტიპის ჩამოყალიბებაში ბევრმა მხატვრულმა ნაწარმოებმა და მულტიპლიკაციულმა ფილმმა იქონია გავლენა, როგორცაა მაგალითად: ფრანგი მეზღაპრის შარლ პეროს საქართველოში ძალიან პოპულარული ზღაპარი „წითელქუდა“, რომლის მიხედვით, მგელი ბოროტია, რადგან წითელქუდასა და ბებუის შეჭმას ლამობს; ამასვე ადასტურებს აკაკი წერეთლის შემოქმედება: „მგელი და კრავი“, სადაც მგელი, რომელიც უმწეო ბატკნის სისუსტით სარგებლობს, უსამართლობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სიმბოლოა. მგლის შესახებ გამეფებულმა სტერეოტიპმა ასახვა ჰპოვა ქართველთა ანკეტიებში, სადაც მგელი ერთხმად ასოცირდება დაუნდობლობასთან, სისასტიკესთან, ბოროტ ხროვასთან, სიძულვილთან და ა.შ. რაც შეეხება თურქების მგლისადმი განწყობას, აქ აბსოლუტურად განსხვავებულ კულტურულ-ასოციაციურ წარმოდგენებს ვაწყდებით: მიუხედავად მტაცებლური ხასიათისა, თურქებში მგელი არანაირ უარყოფით ემოციებს არ იწვევს, პირიქით, მათთვის იგი გამოცდილი, ჭკვიანი, ფრთხილი, საკუთარი საქმის პროფესიონალი, მოხერხებული, ძლიერი და თავისუფალია, ხოლო დედალი მგელი კი გზის მაჩვენებელი, ანუ წინამძღოლი. თურქების მგლის მიმართ დადებითი დამოკიდებულება იმაშიც გამოიხატება, რომ *Bozkurt* - ანუ ნაცრისფერი მგელი თურქების ეროვნული სიმბოლოა. პრეისტორიული პერიოდიდან, მათთვის წმინდა ცხოველად, საბრძოლო სულისკვეთების, თავისუფლების სიმბოლოდ ითვლება. ნაცრისფერი მგელი თურქი მოსახლეობის თავზე უბედურების დატიალების ჟამს, ერის წინამძღოლობის სიმბოლოდ იქცა. სწორედ ამიტომაც, იგი ათათურქის მხრიდანაც ნაციონალურ სიმბოლოდ იქნა აღიარებული. რესპუბლიკის პირველ პერიოდებში, მისი სურათები თურქულ ფულზეც კი იყო გამოსახული.

უნდა ითქვას, რომ მგლის კულტი დღესაც არ კარგავს აქტუალურობას და იგი თურქული ნაციონალური მოძრაობის პარტიის სიმბოლოცაა. საინტერესოა, როგორ განეწყობოდა ქართველი მოსახლეობა პარტიის მიმართ, რომლის იდეების, სულიერი სამყაროს გამოხატულების სიმბოლოს მგელი რომ წარმოადგენდეს. ვფიქრობთ ჩვენი მგლისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, უარყოფითად. ამიტომ, როცა სხვა

ერის სტერეოტიპულ-ასოციაციურ-კულტურულ შეხედულებებს ვაწყდებით და უცნაურად გვეჩვენება, აუცილებლად უნდა გავიგოთ მისი კულტურული წარსულის შესახებ, რომელმაც ერის ამა თუ იმ მოვლენაზე ამგვარი სტერეოტიპული წარმოდგენების გამოწვევა განაპირობა.

ჟირაფი, ქართველებისთვის მხოლოდ სიმაღლესთან, ხოლო თურქებისთვის ხშირ შემთხვევაში უტვინობასთან ასოცირდება, ამას მოწმობს თურქ რესპოდენტთა მიერ დაფიქსირებული გამოთქმები: *“Zürafada da boy var”* - ანუ სიმაღლე ჟირაფსაც აქვს... *„Zürafanın düşkünü beyaz giyer kış günü“* – (ჟირაფი ზამთარშიც კი თეთრ სამოსს იცმევს) შედარება ხდება ქარაფშუტა ადამიანთან, რომლის ერთადერთ საზრუნავს მხოლოდ პრანჭვა და გარეგნობაზე ფიქრი წარმოადგენს, თუმცა ზოგი რესპოდენტის აზრით, ჟირაფი ელეგანტურად ჩაცმულ ადამიანთან და სიკოხტავესთანაც ასოცირდება.

ანკეტურმა მონაცემებმა, ცხოველებთან დაკავშირებით, ქართველთა და თურქთა აბსოლუტურად განსხვავებული, საინტერესო გამოთქმები და შედარების მაგალითები მოგვცა:

ცხვარი: ორივე ერისთვის უმანკო, გულუბრყვილო და სხვისი მითითებების შემსრულებელი, საკუთარი აზრის არმქონე ადამიანთან ასოცირდება, შედარება: *„ცხვარივით მშვიდი“* თურქებთანაც აქტუალურია, თუმცა ქართული ანდაზის: *„ცხვარი ცხვარია და თუ გაცხარდა ცხარიაო“*-ს ანალოგი თურქულ ენაში: *„sessiz atın çiftesi pek olur“*-ია (ანუ, წყნარი ცხენის ტლინკი საშიშია), როგორც ვხედავთ ამ ქვეტექსტს თურქისთვის ცხვართან კავშირი არა აქვს, ამიტომაც ქართულის მცოდნე თურქი, რომელსაც ეს ანდაზა არ ეცოდინება, ვერაფრით აღიქვამს ვერც ცხვრის სიცხარეს და ვერც ანდაზის ქვეტექსტს. რაც შეეხება *ყოჩს* (ვერძი), ქართულ კულტურულ სივრცეში ყოჩს ფალავნებს უწოდებდნენ, თანამედროვე კომუნიკაციაში ნაკლებად გამოიყენება და განსაკუთრებული ადგილი არც ქართულ კულტუროლოგიაში უჭირავს, ხოლო თურქულში კი, ანკეტური მონაცემების მიხედვით, ძალიან ხშირად შედარების ობიექტი ხდება და მას ჯანმრთელ, სიმპათიურ ახალგაზრდა კაცს უწოდებენ, განსაკუთრებით კი ყოჩით უფროსი თაობა მიმართავს სიყვარულით უმცროს თაობას. გარდა ამისა, ყოჩი წმინდა ცხოველადაც ითვლება, რადგან იგი მსხვერპლთშეწირვასთან ასოცირდება. აღსანიშნავია, რომ

ყურბან-ბაირამის ლოცვის შემდგომ ღმერთს ცხვარს, ხშირ შემთხვევაში კი ყოჩს წირავენ.

ცხოველთა მიმართ სხვადასხვა განწყობის გამო, რასაკვირველია საკმაოდ დიდი სხვაობაა გამონათქვამებშიც, რომლის არცოდნის შემთხვევაში შეიძლება საკმად უხერხულ სიტუაციაში ჩავარდეს რომელიმე ენის მოსაუბრე. მაგალითად, *ძროხის* მიმართ ქართველების შეხედულება ამგვარია: ძროხა ნაყოფიერებასთან, სიმსუქნესთან, ბევრ ჭამასთან ასოცირდება, რაც შეეხება თურქებს, შეიძლება ითქვას აბსოლუტური უმრავლესობისთვის ძროხა შემდეგ გამონათქვამთან ასოცირდება: მოსწავლეს, რომელიც მხოლოდ სწავლა-განათლებლითაა დაკავებული და ზომაზე მეტს შრომობს, იქედნურად: *inek gibi çalışkan* – „ძროხასავით მშრომელს“ უწოდებენ. ოღონდ ამ გამოთქმას რასაკვირველია ცინიკური დატვირთვა აქვს. ქართველისთვის, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს ამ კონტექსტზე და ძროხა მისთვის უწყინარ და საკმაოდ უტვინო შინაურ ცხოველს წარმოადგენს, რომელიც მთელი დღე ბალახს იცოხნება, ამგვარი „კომპლიმენტი“ თავისთავად ცხადია, საშინლად შეურაცმყოფელი და აბსოლუტურად გაუგებარი იქნება, რადგან ზომაზე მეტად შრომა ქართველისთვის მხოლოდ და მხოლოდ ვირთან ასოცირდება.

ორივე ერისთვის ყვავი უბედურებასთან, ცუდი ამბის მოტანასთან ასოცირდება, თუმცა თურქულში ყვავის მიმართ ერის ნეგატიურ დამოკიდებულებას სხვა მხარეებიც აქვს: *“karga gibi burnunu her şeye sokma”* – „ყვავით ცხვირს სხვის საქმეში ნუ ჰყოფ“, ასევე ძალიან ხშირად დაფიქსირდა ყვავის უმადურობასთან დაკავშირებული შემდეგი თურქული ანდაზები: *Besle kargayı oysun gözünü* (აჭამე ყვავს და ამოგთხრის თვალებს), ანუ ყველაზე დიდ მტრობას ახლო ადამიანი გაგიწევს, *Kılavuzu karga olanın burnu pislikten kurtulmaz* - ყვავის წინამძღოლობა უბედურების მომტანია და ა.შ.

ვირი ქართველისთვის შრომასთან (ვირით მშრომელი) და სიჯიუტესთან ასოცირდება. თურქ რესპოდენტთა დახასიათებებშიც წავაწყდით ვირის ჯიუტ და მშრომელ ადამიანთან შედარების ფაქტებს, თუმცა განსაკუთრებით ხშირად ვირის უტვინო, უხემ და გაუნათლებელ ადამიანთან შედარების ფაქტი დაფიქსირდა: *„Eşeğe altın semer vursanda yine Eşek“* - ვირს ოქროს უნაგირი რომ დაადგა, მაინც ვირია. საყურადღებოა თურქებს შორის ვირთან დაკავშირებული ძალიან პოპულარული

გამოთქმა, რომელიც რესპოდენტთა დიდმა უმრავლესობამ დააფიქსირა: „*eşek şakası*“ - ანუ ვირის ხუმრობა. ულაზათო, სულელულ ხუმრობას, რომელსაც ადამიანი სავალალო მდგომარეობამდეც კი შეუძლია მიიყვანოს, “ვირის ხუმრობა“ ეწოდება, ასევე: „*balık hafızalı*“, რომელსაც სუსტი მეხსიერების მქონე ადამიანებს უწოდებენ თურქები. მსგავსი გამოთქმების გამოყენება, დამეთანხმებით, შინაარსის მხოლოდ ზედმიწევნით ცოდნის შემთხვევაში არის მიზანშეწონილი.

როგორც ვხედავთ, პრეცედენტულ სახელთა და ზოონიმურმა ანკეტურმა კვლევებმა, რომელიც მიზნად ისახავდა: 1. ერთაშორისი კულტურული ელემენტების დაფიქსირებასა და ქართულ-თურქული საზოგადოების მიერ დაპირისპირებულ ენათა კულტურული ფონის ინფორმაციულობის დადგენას; 2. ერთაშორისი ასოციაციური წარმოდგენების კულტურული განსხვავებების დაფიქსირებას, შემდეგი ამოცანის წინაშე დაგვაყენა:

ერთაშორისი კომუნიკაცია და თარგმანის განხორციელება შეუძლებელია ენისადმი მხოლოდ ლინგვისტური მიდგომითა და ერის კულტურული წარსულის საფუძველზე ჩამოყალიბებული კულტურული მეხსიერების, გემოვნების, ღირებულებების აღქმის გარეშე. როგორც ანკეტურმა კვლევებმა გვიჩვენა, თითოეული ენის მიღმა უდიდესი კონცეპტუალური სამყარო დგას, რომლის აღქმა ერის პრეცედენტულ მოვლენებსა და პრეცედენტულ სახელებს, განსაზღვრული ენობრივი საზოგადოების კულტურულ ღირებულებებსა და ასოციაციურ წარმოდგენებს უკავშირდება, რომელსაც ერის ისტორიული წარსული განაპირობებს. ლინგვოკულტურული ბარიერის გადალახვის მიზნით, პრაგმატული ადაპტაციის ხერხების სწორად გამოყენებაში, მთარგმნელისთვის ყველაზე დიდ დამხმარე ძალას ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონი წარმოადგენს, რომელიც ენობრივი საზოგადოების კულტურულ აზროვნებაში წვდომის საფუძველზე, ერთა სულიერი სიახლოვის, კულტურათშორისი დიალოგის წარმართვის მიზნით, თარგმანმცოდნეობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

დასკვნა

ლექსიკოგრაფიულ აღმავლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის არა მარტო ენათმეცნიერების განვითარების მხრივ, არამედ ის ბრწყინვალე საშუალებაა ქვეყნის განვითარების ეტაპების ფეხდაფეხ, სოციუმის მოღვაწეობის ყველა სფეროს ასახვისა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული დამწერლობის ისტორია საკმაოდ ძველი დროიდან იღებს სადავეს, მთელი რიგი ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების გამო, დღევანდელი ქართული ლექსიკოგრაფიის სახე მსოფლიო ლექსიკოგრაფიული აქტივობის, თანამედროვე საინფორმაციო ბუმის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და საზოგადოებაში არსებული კულტურული ურთიერთობების გაფართოების ფონზე მეტად ღარიბულად გამოიყურება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს მიზანს: თანამედროვე თურქულ-ქართული ლექსიკოგრაფიული საქმიანობის შესწავლა, ამ დარგში არსებული პრობლემების აღწერა-გაანალიზება, განვითარების გზებსა და პერსპექტივებზე მსჯელობა წარმოადგენს, რის საფუძველზეც აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული ლექსიკონების განვითარება მეტად ჩამორჩება მოთხოვნებს, რომელსაც ქართულ-თურქული საზოგადოება აყენებს სოციალურ-კულტურული ურთიერთობების გასაღრმავებლად; უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ვერ მოხერხდა რუსული ლექსიკოგრაფიული ნაშრომების ქართულით ჩანაცვლება; არსებული თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული ლექსიკონების სიტყვა-სტატიები მხოლოდ ზედაპირული და ღარიბი, 1-2 სინონიმური განმარტებით შემოიფარგლება, ხშირ შემთხვევაში, თითქმის არ არის მოცემული სიტყვათა გამოყენების კონტექსტური მაგალითები, რომელიც პოლისემანტური სიტყვის წინადადებაში ადეკვატურად გამოყენების საშუალებას იძლევა; არ გვაქვს ლექსიკური ერთეულის ფლექსიურ ფორმათა აღმწერი, ლინგვისტური თვალსაზრისით ენის შესწავლისთვის შეუცვლელი საშუალება, გრამატიკული ლექსიკონები; ძალიან მცირე რაოდენობით მოგვეპოვება გარკვეული ენისთვის დამახასიათებელი მყარი შესიტყვებების დეკოდირების ბრწყინვალე საშუალება, ფრაზეოლოგიზმების ლექსიკონი; არ მოგვეპოვება დარგობრივი (ეკონომიკის,

ბიზნესის და სხვ.) ტერმინოლოგიური ლექსიკონები, რომელსაც დარგის სპეციალისტისთვის უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია.

ონლაინ ლექსიკოგრაფიის მსოფლიო განვითარების ფონზე, მაშინ როცა სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს არა მხოლოდ ცალკეული ლექსემის, არამედ მთლიანი ტექსტის ონლაინ რეჟიმში გადაყვანასა და სრულფასოვანი თარგმანის განსახორციელებლად, უნდა აღინიშნოს, რომ თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული ონლაინ ლექსიკონები თითქმის არ არსებობს. ონლაინ სივრცეში არსებული მრავალენოვანი ლექსიკონები, როგორცაა: translate.ge, Glosbe, targmne.com და ა. შ. დამეთანხმება მომხმარებელი, მეტად უმინაარსო და მცდარ თარგმანს იძლევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენის, როგორც სოციუმის ლინგვისტური გამოხატულების განვითარება მხოლოდ კულტურასთან შესისხლხორცებით მოიაზრება. კულტურულ მიღწევათა ერთაშორისი გაზიარება კი თარგმნის საშუალებით ხორციელდება. მთარგმნელს, ამ ურთულესი ფუნქციის განხორციელებაში უდიდეს დახმარებას სპეციალიზირებული ლექსიკონები უწევს, რომლის მიზანს, ერის კულტურულ აზროვნებაში წვდომის საფუძველზე, ენის კონცეპტუალური სამყაროს პრეზენტაცია წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ასეთი უნიკალური ნაშრომები, ეთნოსის კულტურული ცხოვრების პრეზენტატორები, რომლებიც დაწვრილებით გვიამბობენ ენობრივი საზოგადოების ქვეყნის სახელმწიფო და სოციალურ წყობაზე, რელიგიასა და კულტურულ ტრადიციებზე; ლექსიკონები, რომლებიც საკვლევი ერების ასოციაციური წარმოდგენების აღქმის საფუძველზე, ერთაშორისი მსოფლმხედველობის მსგავსებისა თუ აბსოლუტური სხვადასხვაობების აღმოჩენაზეა ორიენტირებული; ლექსიკონები, რომლებიც წარსულში ექსკურსის მოწყობის საფუძველზე ისტორიული ტერმინების, ცნებებისა და რეალიების მომხმარებელთათვის წარდგენას უზრუნველყოფს, სამწუხაროდ, ქართულ-თურქულ ლექსიკოგრაფიას არ გააჩნია.

წყარო ტექსტის მსგავსად ადეკვატურ-ემოციური თარგმანის განხორციელება, მთარგმნელის მიერ ტრანსფორმაციების მოქნილად გამოყენებას მოითხოვს, რაც წყარო ტექსტის ინვარიანტულობის და ავტორისეული

სპეციფიკური ენის შენარჩუნებას ითვალისწინებს; როგორ უნდა მოახერხოს უცხოენოვანმა მკითხველმა სხვა ენის წიაღში არსებულ რეალიებში წვდომა და ერის თვალთ დაწახული სამყაროს აღქმა. ესოდენ რთული ფუნქციის განხორციელება პირველ რიგში ისეთ მთარგმნელებს ძალუძთ, ვისაც უცხო ენის ფონური ცოდნა საკუთართან აქვს გაიგივებული. მთარგმნელის კომპეტენტურობის გარდა, ამ უზარმაზარი შრომის განხორციელების უმთავრეს ბერკეტს სპეციალიზირებული ლექსიკონის ერთ-ერთი სახეობა, ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონი წარმოადგენს.

ერთა შორის კულტურული სახესხვაობების დაფიქსირების საფუძველზე, ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონის როლზე მკითხველის ყურადღების გამახვილების მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარებულმა პრეცედენტულ სახელთა და ზოონიმების შესახებ ანკეტურმა კვლევებმა აშკარად დააფიქსირა დაპირისპირებული ენის კულტურული ფონის შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის არსებობა: მიუხედავად ახლო მეზობლური ურთიერთობებისა, ქართველები და თურქები ერთმანეთის შესახებ თითქმის ვერ ფლობენ ეროვნულ-კულტურულ ინფორმაციას, რომელიც ერის ღირებულებების, კულტურული გემოვნების, სულიერი სამყაროს პრეზენტაციას ემსახურება. მათი ინფორმაციულობა მეტწილად იმ თანამედროვე პოლიტიკოსებისა და მსახიობების ცოდნით შემოიფარგლება, რომლებიც საინფორმაციო არხების, ვიდეო რგოლების, ინტერნეტწყაროების ვიზუალური ინფორმაციის სიუხვის წყალობით, ეკრანის თანამედროვე გმირებს წარმოადგენენ.

ზოონიმურმა კვლევებმა, ცხოველთა შესახებ ქართულ-თურქულ ეროვნულ-სიმბოლურ წარმოდგენათა შედარებების საფუძველზე, ცხადყო ქართულ-თურქულ კულტურულ შეხედულებათა სხვადასხვაობა, რაც ცხადია, პირველ რიგში კომუნიკაციის დროს კულტურული გაუგებრობის მიზეზად შეიძლება იქცეს. ცხოველთა შესახებ ქართველთა და თურქთა ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურად განსხვავებულმა ასოციაციურმა წარმოდგენებმა, რომლებიც ისტორიული წარსულის საფუძველზე, ერთა კულტურულ მეხსიერებას უკავშირდება, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ენის შესწავლისა და სრულყოფილი თარგმანის განხორციელებისთვის ლინგვისტური მიდგომის გარდა, ენის კულტურული ფონის აღქმის აუცილებლობაში.

ჩვენი რეკომენდაციაც სწორედ ერთაშორისი კულტურული გაუგებრობების აღმოფხვრის გზების ძიებას ემსახურება: ქართულ და თურქულ სივრცეში აუცილებელია ერის კულტურის, სტერეოტიპული წარმოდგენების, სულიერი ფასეულობების ამსახველი ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონის შემუშავება. მსგავსი ლექსიკონები ერთადერთი საშუალებაა თარგმანის დროს განსაზღვრული ენისთვის დამახასიათებელი ლინგვოკულტურემების დეკოდირებისა, რომლის გარეშე მკითხველზე ენის კონცეპტუალური სამყაროს გაგებინება და შედეგად წყარო ტექსტის მსგავსი ზემოქმედების მოხდენა შეუძლებელია.

როგორც ვხედავთ, ჩვენი ინტერესის სფერო, თურქულ-ქართული ლექსიკოგრაფიული მდგომარეობა, რომელსაც აბსოლუტურად გადაუჭარბებლად და სამართლიანად ვუწოდებთ სავალალო, სერიოზული პროექტების დასახვასა და ლექსიკოგრაფთა თავაუღებელ შრომას მოითხოვს, რადგან კარგად განვითარებული ლექსიკოგრაფია, სრულფასოვანი თარგმანის განხორციელების საფუძველზე, ქვეყნის მეცნიერების, კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის სარკედ და მსოფლიო საერთაშორისო ასპარეზზე ერთაშორისი ურთიერთობების დამყარების შეუცვლელ წინაპირობად გვევლინება.

ბიბლიოგრაფია:

1. არისოი, 2010: არისოი ი. ქართულ-თურქული ლექსიკონი;
2. გალობერი, 2009: გალობერი ქ., მარღანია მ., ნეოლოგიზმებისა და ნასესხობების ფუნქციური თავისებურებანი; კულტურათმორისი კომუნიკაციები;
3. გამყრელიძე, 2003: გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ.; თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი;
4. ვაშაკიძე, 2009: ვაშაკიძე ი., ტერმინთმეოქმედების პრინციპები XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში. კავკასიოლოგიური სერია, VIII, თბილისი;
5. კვანტალიანი, 2010: კვანტალიანი ე., ქართულ-თურქული ლექსიკონი, თბილისი;
6. მალაღურაძე 2013: მალაღურაძე თ. თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები, თბილისი;
7. მამულია, 2006: მამულია ე., „თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“, გამომცემლობა „ცისარტყელა“, თბილისი;
8. მანია, 2006: მანია ე., ენობრივი კოდირებისა და სტანდარტიზაციის წყაროები მასმედიის ენაში (ინტელექტი 2006, N 3 (26));
9. ლებანიძე, 1998: ლებანიძე გ., ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა, „ენა და კულტურა“, თბილისი;
10. ლებანიძე, 2004: ლებანიძე გ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა. ენა და კულტურა, თბილისი;
11. მარგალიტაძე, 2011: მარგალიტაძე თ., ლექსიკოგრაფიული ცენტრი, თბილისი;
12. მარგალიტაძე, 1995: მარგალიტაძე თ., ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, I რვეული;
13. მემიში, 2009: მემიში ო., თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული ლექსიკონი, თბილისი;
14. ომიაძე, 2006: ომიაძე ს., ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა-სემანტიკა და ფუნქციონირება, თბილისი;
15. საყვარელიძე, 2001: საყვარელიძე ნ., თარგმნის თეორიის საკითხები, თბილისი;
16. სელესკოვიჩი, რედერერი, 2008: სელესკოვიჩი დ., რედერერი მ., თარგმნის ხელოვნება და სწავლების მეთოდი, თბილისი;

17. **სურგულაძე, 2003:** სურგულაძე ი., იბერი ე., მასობრივი კომუნიკაცია (თეორიის საკითხები), თბილისი;
18. **ტაბიძე, 2003:** ტაბიძე მ. ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბილისი;
19. **ფოლათი, 2010:** ფოლათი ე., თურქულ-ქართული ლექსიკონი, სტამბოლი;
20. **ღამბაშიძე, 1986:** ღამბაშიძე რ. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი;
21. **ღლონტი, 1988:** ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები. მესამე გამოცემა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი;
22. **ჩლაიძე, 2001:** ჩლაიძე ლ., თურქულ-ქართული ლექსიკონი, სტამბოლი;
23. **წიბახაშვილი, 2000:** წიბახაშვილი გ., თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბილისი;
24. **ჯანგიძე, ჯიქია, 1973:** ჯანგიძე ვ., ჯიქია ს., ქართულ-თურქული ლექსიკონი, თბილისი;
25. **Адамович, 2015:** Адамович С.В., Современные проблемы лексикографии: Материалы конференции / отв. ред. О.Н. Крылова; Ин-т лингв. исслед. РАН. – СПб.: Нестор-История, – 212 с.;
26. **Балтова, Ефтимова, Липовска, Петрова 2003:** Балтова П., Ефтимова А., Липовска А. Петрова К: «Славянски асоциативен речник»;
27. **Беленчикова, 2015:** Беленчикова Р., Современные проблемы лексикографии: Материалы конференции / отв. ред. О.Н. Крылова; Ин-т лингв. исслед. РАН. – СПб.: Нестор-История, – 212 с.;
28. **Бачаева, 2015:** Бачаева С.Е., Современные проблемы лексикографии: Материалы конференции / отв. ред. О.Н. Крылова; Ин-т лингв. исслед. РАН. – СПб.: Нестор-История;
29. **Дамбуев, 2011:** Дамбуев И.А. Современная лексикография: статус и направления развития. Вестник Бурятского государственного университета;
30. **Дронова, 2012:** Дронова Л.П., Лексикографические проблемы в свете антропологической лингвистики /Л.П. Дронова // Вопросы лексикографии;
31. **Дубичинский, 2008:** Дубичинский В.В. Лексикография русского языка : учебное пособие / В. В. Дубичинский. - Москва: Флинта: Наука;

- 32. Жаботинская, 2009:** Жаботинская С.А., Онтологии для словарей тезаурусов: лингвокогнитивный подход;
- 33. Захаренко, Красных, Гудкова, Гнозис, 2004:** Захаренко И.В., Красных В.В., Гудкова Д.Б. М., Гнозис - „Русское культурное пространство“;
- 34. Караулов, 2004:** Караулов Ю.Н. Русский язык и языковая личность – М.: Едиториал УРСС;
- 35. Липовска, 2009:** Липовска А., Русско-болгарская лексикография: Традиции и тенденции развития, Университетско издателство «Св. Климент Охридски»;
- 36. Маслова, 2001:** Маслова В., Лингвокультурология, Москва;
- 37. Мелерович, 2006:** Мелерович А.М., Трансформационный потенциал фразеологических единиц различных структурно-семантических типов (по материалам проспекта учебного словаря «Жизнь русских фразеологизмов в художественной речи». Кострома);
- 38. Прохорова, 2007:** Прохорова Ю.Е., Россия большой лингвострановедческий словарь. ООО «АСТ-ПРЕСС КНИГА»;
- 39. Тюленев, 2004:** Тюленев С.В., Лексикографические аспекты перевода; Учебное пособие / С.В. Тюленев. – М.: Гардарики;
- 40. Фесенко, 2013:** Фесенко О.П., Современная лексикография: проблемы и перспективы развития / О.П. Фесенко // Инновационное образование и экономика;
- 41. ХоХлова, 2004:** ХоХлова Е.Л., „Словарь исторических терминов, понятий и реалий“;
- 42. Шаклеин, 2012:** Шаклеин В.М., ЛИНГВОКУЛЬТУРОЛОГИЯ, ТРАДИЦИИ И ИННОВАЦИИ, Издательство «Флинта» Москва;
- 43. Шестакова, 2012:** Шестакова Л.Л. Русская авторская лексикография: Теория, история, современность. Автореферат дис. на соискание уч.ст. д.филол.н.,Москва;
- 44. Юдина, 2007:** Юдина Н.В., О некоторых «национальных решениях» в современной отечественной лексикографии / Н.В. Юдина // Современная лексикография: глобальные проблемы и национальные решения: Материалы VII Международной школы-семинара, Иваново, 12-14 сентября года. – Иваново: Иван.гос.ун-т, 2007. – С. 219-221;

45. **Мустафаев, Шербинин, 1972:** Мустафаев Э.М.Э., Шербинин В.Г. Русско-турецкий словарь, издательство «Советская энциклопедия», Москва;
46. **Austin, 1973:** Austin J.L., How to do things with words. Oxford UP, New York;
47. **Chandler 2007:** Chandler D. The Basics semiotics NY.;
48. **Crystal, 2003:** *A Dictionary of Linguistics & Phonetics*, Blackwell Publishing, Malden-USA;
49. **Cloutier, 1973:** Cloutier J., La communication audio-scripto-visuelle a l'heure des self-media. Montreal: Press de l'Universite de Montreal;
50. **Foley, 2007:** Joseph A. Foley, English as a Global Language;
51. **Akalın, 2010:** Akalın S. H., "Sozcuk Bilimi ve Sozlukculuk", Turk Dili;
52. **Aksan, 1998:** Aksan, D., "Turklerde Sozlukculuk, Bugun Turkiye'de Sozluk", Kebikec;
53. **Aksan, 2007:** Aksan D., *Her Yonuyle Dil Ana Cizgileriyle Dilbilim*, C. III, TDK Yayınları, Ankara;
54. **Aydın, 2007:** Aydın, M., Dilbilim El Kitabı, 3F Yayınevi, Istanbul;
55. **Ayverdi, 2011:** Ayverdi I., Kubbealtı Lugati-Misalli Buyuk Turkce Sozluk, Kubbealtı Nesriyatı, Istanbul.
56. **BASKIN, 2014:** BASKIN S., International Journal of Language Academy Volume 2/4 Winter 445/457;
57. **BİNGÖL, 2006:** BİNGÖL Z.; sözlük ve sözlükçülük üzerine bir araştırma; *AKADEMİK BAKIŞ DERGİSİ*, S. 9;
58. **Boz, 2011:** Boz E., Leksikografi Teriminin Tanımı ve Türkçe Karşılığı Üzerine, Dil ve Edebiyat Araştırmaları Dergisi, S. 4;
59. **Cumakunova, 2011:** Cumakunova G, Türk Sözlük Biliminin Etkileşim Alanları, Dil ve Edebiyat Araştırmaları Dergisi, S. 4;
60. **Imer, KOCAMAN, OZSOY, 2011:** Imer K; KOCAMAN A ve OZSOY A. S., *Dilbilim Sozluđu*, Bogazici Universitesi Yayınevi, Istanbul;
61. **İnan, 2007:** İnan S., Türkçe deyimler sözlüğü;
62. **Ilhan, 2009:** Ilhan N.: Sozluk Hazırlama İlkeleri, Cesitleri ve Ozellikleri, Turkish Studies;
63. **Kocaman, 1998:** Kocaman A., Dilbilim, Sozluk, Sozlukculuk, **Kebikec**;

- 64. Korkmaz, 2007:** Korkmaz Z., Gramer Terimleri Sozlugu, TDK Yayınları, Ankara.
- 65. Oztokat, 1979:** Oztokat E, "Sozluk ustune gozlemler", "Dilbilim IV";
- 66. Sarıgöl, 2011:** Sarıgöl K, DİL BİLİM, SÖZLÜK BİLİM VE BİLGİSAYAR, DilveEdebiyatAraştırmalarıDergisi, S. 4;
- 67. Türk dil kurumu, 2005:** Türkçe sözlük, Akşam Sanat Okulu matbaası;
(margaliti.com/members/semasiology/lecture6.pdf) - ელექტრონული ვერსია
- 68. Usta, 2010:** Usta H., Modem türklük araştırmaları dergisi, haziran 2010, "Sözlükcülük ve sözlük araştırmacılığı".
- 69. Yuksekkaya, 2001:** Yuksekkaya H. Y., Avrupa'daki Modern Sozluk Araştırmaları ve Bu Araştırmaların Turk Metasozlukculugune Yansımaları", Uluslararası Sozlukbilim Sempozyumu Bildirileri (20-23 Mayıs 1999, Gazimagusa), (Edt. Nurettin DEMİR - Emine YILMAZ), Hacettepe Yayınları, Ankara;
- 70. Yuksel, 2005:** Yuksel T., Dilbilgisi Kavramları Sozlugu, Uyanıs Yayınevi, Istanbul.
- 71. Zengin, 2010:** Zengin D., Turkcenin Tersine Sozlugu, Turkiye'de ve Dunyada Sozluk Yazımı ve Araştırmaları Uluslar Arası Sempozyumu Bildirileri, Kubbealtı Nesriyat, Istanbul.

გამოყენებული მასალები ინტერნეტიდან:

1. [გრამატიკული ლექსიკონი, canoo.net](http://lexiconews.blogspot.com/2010/02/blog-post.html), <http://lexiconews.blogspot.com/2010/02/blog-post.html>;
2. <http://www.margaliti.com/presentation.pdf>
3. <http://blog.dictionary.ge/archives/248>;
4. <http://blog.dictionary.ge/archives/114>;
5. http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/links/4.1.htm
6. http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/links/4.7.htm
7. <http://www.akademikbakis.org/eskisite/pdfs/9/sozluk.pdf>